

ინსტიტუციონალიზმი და კლიენტელიზმი საქართველოში

სარჩევი

სარჩევი	1
I. შესავალი	2
II. კლიენტელიზმი	4
1. პრობლემის არსი	4
2. კლიენტელიზმი და კორუფცია	7
3. კლიენტელიზმის ფესვები	9
4. ახალი "ქართული" კლიენტელიზმი	11
III. ინსტიტუციურ-ეკონომიკური (სოციალური) თეორია	13
1. საკუთრების უფლება	15
2. ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტები და ტრანსაქციზური დანახარჯები	16
3. ინტერესთა ჯგუფები და რენტულორიენტირებული ქცევა	17
4. პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირების საშუალებები	20
IV. კრიზისის მიზეზები და დაძლევის გზები	22
1. საზოგადოება	23
2. პოლიტიკური პარტიები	27
3. სახელმწიფო აპარატის პერსონალია	31
4. საქანონმდებლო ბაზა	36
5. რეალური ფუნქციონირება	39
V. დასკვნები	42
VI. განვითარების პერსპექტივები	46
VII. რეკომენდაციები	48
ბიბლიოგრაფია	51

## I. შესავალი

XX საუკუნის დასასრულს ქართული საზოგადოება მეტად უცნაური განწყობებით ეგებება. ასრულდა ქართველ ინტელექტუალთა ორსაუკუნოვანი ოცნება: საქართველომ მოიპოვა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.

ის მიზეზები, რომლებსაც ქართული ეროვნული მოძრაობა XX საუკუნის 80-იან წლებში ისახავდა, მიღწეული იქნა: საქართველო გახდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი; საბჭოთა კავშირმა - ბოროტების იმპერიამ - არსებობა შეწყვიტა; ქვეყანას, მართალია, ნელა, მაგრამ მაინც ტოვებენ არასასურველი უცხო ქვეფის საჯარისო შენაერთები; ფუნქციონირებს არჩევითი უძალლესი საკანონმდებლო ორგანო - პარლამენტი; იქნება თვითმმართველობის სისტემა; ქვეყანა გაიხსნა უცხოური ინვესტიციებისათვის; საქართველომ მოიპოვა თავისი ადგილი შსოფლიო რუკაზე; ქვეყანას აქვს სუვერენიტეტის ყველა ნიშანი - ეროვნული ვალუტა, დროშა, გერბი და ჰიმნი...

მოკლედ, მივაღწიეთ იმას, რაზეც ჯერ კიდევ ათი წლის წინ შეოლოდ ოცნება თუ შეგვეძლო. და მიუხედავად ამისა, საზოგადოება უკმაყოფილოა. მაინც ვერ მივიღეთ ის, რაც გვინდოდა.

XX საუკუნის დასასრულს საქართველოსთვის საკმაოდ მოულოდნელად აღმოჩნდა, რომ ჩევნ დიდად ჩამოვრჩებით იმ "დასავლეთს", რომლის განუყოფელ და ორგანულ ნაწილადაც მიგვაჩნდა თავი. სამართლებრივი სახელმწიფოს დასავლური მოდელის მსოფლიო მასშტაბით გავრცელების პირობებში გაირკა, რომ სახელმწიფოებრიობა სტატიური მდგომარეობა ან, მით უფრო, ერჯერადი აქტი არ არის და რომ საჭიროა მუდმივი მუშაობა, რათა მაქსიმალურად იქნას დაკმაყოფილებული ქვეფის მოსახლეობის საიცოცხლო ინტერესები.

საქმე ის გახლავთ, რომ დემოკრატიულ და ლიბერალურ ღირებულებებზე ორიენტირებულ საზოგადოებებად ტრანსფორმაციის პერიოდი პოსტკომუნისტური საზოგადოებებისათვის მეტად გამნელდა. ნათელი გახდა, რომ დღევანდელ საზოგადოებას არ გააჩნია არათუ გამოკვეთილი პოლიტიკური ნება, არამედ არც სახელმწიფოებრივი მართვის გამოცდილება. ყოველივე ამას თან ერთვის სახელმწიფო სტრუქტურების უუნარობა, როგორმე გადაწყვიტონ ქვეფის წინაშე მდგარი პრობლემების მთელი კომპლექსი.

იმედგაცრუებამ ქვეფის მართვის დასავლეთში აპრობირებული სისტემების ეფექტიანობის მიღწევის საქმეში ლიბერალური დემოკრატების კამათის სიცხარის შენელება გამოიწვია. აღმოჩნდა, რომ სხვადასხვა საზოგადოებათა პოლიტიკური მენტალობის განსხვავება განაპირობებს ამ საზოგადოებათა დამკიდებულებას საკუთარი მთავრობებისადმი, განაპირობებს, აგრეთვე, ამ უკანასკნელთა ეთიკური ნორმების ჩამოყალიბებას.

საქართველოში, რომლის მოსახლეობის ცხოვრების წესი ახლოს დგას ხმელთაშუაზღვისპირეთის საზოგადოებებისათვის დამახასიათებელ მენტალობასთან, საბჭოურმა ტოტალიტარიზმა ზელი შეუწყო ბიუროკრატიული სისტემისა და ტრადიციულ ღირებულებათა სიმბიოზის წარმოშობას. ტრადიციული კლანური ურთიერთობების ბაზაზე ჩამოყალიბებული ბიუროკრატია, თავის მხრივ, პატრიმონიულ ურთიერთობათა გაძლიერების ხელშემწოდ ფაქტორად იქცა:

ერთ-ერთ უმთავრეს ხელისშემსლელ გარემოებად აღნიშნულ ქვეყნებში კლანური აზროვნების ძლიერი გადმონაშთები უნდა მივიჩნიოთ. ძველი მენტალობის მქონე საზოგადოების მიერ ახალი, ძველისაგან აბსოლუტურად განსხვავებულ ღირებულებებზე დაფუძნებული სისტემის შექმნის მცდელობა არადამაჯერებლად გამოიყურება და საკმაოდ დიდ საფრთხეს შეიცავს:

- ახალი დემოკრატიის ქვეყნებისათვის, როგორც საზოგადოებრივი პროგრესის შემაფერხებელი ფაქტორი;
- დასავლეთის ეკონომიკური სტრუქტურებისათვის, როგორც კორუფციისა და სახელმწიფო მონოპოლიზმის საფრთხის შემცველი სისტემა;
- თვით აღნიშნულ სისტემაში ჩართული სოციალური სტრატებისათვის, როგორც სოციალური უსამართლობისა და, აქედან გამომდინარე, შესაძლო სოციალური მღელვარებების კატალიზატორი.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, დღის წესრიგში დგება საზოგადოებრივი მენტალობისა (იგულისხმება როგორც სახელმწიფო აპარატის წარმომადგენელთა, ისე საერთოდ საზოგადოების აზროვნების წესი) და სახელმწიფო სისტემის ინსტიტუციური მშენებლობის ურთიერთობიმართების პრობლემა.

აქედან თავისთავად ხდება ნათელი, რომ საჭიროა აღნიშნული პრობლემის არსში გარკვევა. საჭიროა დავინახოთ, რა უშლის ხელს ნორმალური სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბებას.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია საზოგადოებაში კლიენტელიზმის ადგილისა და ტოტალიტარიზმთან მისი მიმართების კვლევა, ხოლო კვლევის ობიექტია ხელისუფალთა და მათ ხელქვეითთა სოციალური ურთიერთობები, რომლებიც დაკავშირებულია სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზებასთან და განიხილება, როგორც სოციალური ურთიერთობის ქვესისტემა.

ფაქტია, რომ აღნიშნული საკითხების შესწავლა ჩვენში საერთოდ არ მიმდინარეობს, თუ არ ჩავთვლით საკმაოდ მრავალრიცხოვან საგანგეო პუბლიკაციებსა და პოლიტიკური პარტიებისა თუ ცალკეული პოლიტიკოსების მიერ კონიუნქტურული მოსაზრებით ჩატარებულ ხანმოკლე და წარუმატებელ კამპანიებს.

წინამდებარე კვლევა საქართველოში ამ პრობლემის შესწავლის ჩვენთვის ცნობილი პირველი მცდელობაა.

რა თქმა უნდა, არ შეიძლება იმის თქმა, რომ აღნიშნული საკითხებით ამოიწურება ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემები, რომ კლიენტელური ურთიერთობების გავრცელება ქვეყნის უბედურების ერთადერთ მიზეზს წარმოადგენს. მით უმეტეს არ ვამტკიცებთ, რომ წინამდებარე ნაშრომი გადაწყვეტს ზემოხსენებულ პრობლემებს. საკითხთა თეორიული განზოგადება, რა თქმა უნდა, აუცილებელია, მაგრამ ამან არ უნდა გაგვიტაცოს. ნებისმიერი თეორია იდეალურ მოდელს ქმნის ამა თუ იმ სფეროს შესახებ, ყოველდღიურობა კი ძლიერ განსხვავდება იდეალისაგან.

ვიტოვებთ იმედს, რომ ბროშურა დააინტერესებს მკითხველს და დაეხმარება მას საქართველოში სახელმწიფო ინსტიტუტებზე მოქმედი კლიენტელური ურთიერთობების ხარისხის დადგენაში, ხოლო ბოლოს ჩამოთვლილ რეკომენდაციათა ადრესატები გაიზიარებენ ჩვენეულ ხედვას და ხელს შეუწყობენ საქართველოს სამართლებრივ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების პროცესს.

"დამსახურებანი, ტალანტები, ღირსება/  
გახდით მხოლოდ რომელიმე წრის დამქაშები".  
სტენდალი

## II. კლიენტელიზმი

### 1. პრობლემის არსი

კლიენტელიზმის, ნეპოტიზმის, პატრონაჟისა და, საერთოდ, ტრადიციული პატრიმონიული ურთიერთობების კორუფციასთან მიმართების შესახებ ჩატარებული გამოკვლევები, ისევე, როგორც ინსტიტუციურ-ეკოლუციური თეორიისადმი მიძღვნილი ლიტერატურა, საკმაოდ მრავალრიცხოვანია. ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იშვიაურებს ის თეორიული შრომები, სადაც თავმოყრილია გამოკვლევათა შედეგები და ანალიზი.

სოციალურ თუ ეკონომიკურ მეცნიერებებში დღეისათვის სწორედ აღნიშნული გამოკვლევების შედეგად დამკვიდრდა ისეთი ტერმინები (და შესაბამისი თეორიული სისტემები), როგორიც არის ხომინიზმი, ფუზამორიზმი და ა.შ. მრავალი ქვეყანა და, მათ შორის, არა მარტო მესამე სამყაროს ქვეყნები, არამედ პოსტინდუსტრიალური სახელმწიფოებიც, ცდილობს, შეისწავლოს კლიენტელიზმის ფესვები და გამონახოს მისი დაძლევის გზები.

სამწუხაროდ, პოსტკომუნისტური სამყაროს ქვეყნები ამ მხრივ დიდი ხნის მანძილზე წარმოადგინდნენ გამონაკლისს. დღეს აუცილებელი ხდება იმის აღარება, რომ, ოფიციალური იდეოლოგის მიუხედავად და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, გარკვეულწილად, ამ იდეოლოგის მიზეზით, აღნიშნულ ქვეყნებში ჩამოყალიბდა საზოგადოებრივი ურთიერთობის ისეთი ფორმები, რომლებიც პრინციპულად ეწინააღმდეგებოდა ინსტიტუციური განვითარების პროცესს.

კომუნისტური საზოგადოება მთელი თავისი არსებობის მანძილზე უარყოფდა ჩვენში რაიმე მსგავსის არსებობის თვით ფაქტს. საბჭოთა რეჟიმის სიხისტის შედარებით შერბილების დროსაც კი ისტორიულ-სოციოლოგიური კვლევის ერთადერთი მაგალითი - ნ.პ. პავლოვ-სილვანსკის მიერ წამოწყებული დისკუსია რუსეთში ფეოდალიზმის გენეზისისა და საზოგადოებაზე ტრადიციული ლირებულებების გავლენის შესახებ (1988) - ფაქტიურად ჩაშლილი იქნა დისკუსიის მარქსისტულ იდეოლოგიასთან შეუთავსებლობის გამო.

ამ დროისათვის კი დასავლეთი თავისებურად, არა მაჩქმალვის, არამედ პრობლემის წარმოჩნისა და მისი გადაჭრის გზების დასახვით, უდგებოდა აღნიშნულ საკითხს. მაგალითად შეიძლება მოვიტანოთ მ. დოგანისა და დ. პელასის კლიენტელიზმის უნივერსალობის დამასაბუთებელი თეორია, კ. ლეგის, რ. დემარშანისა თუ რ. პატრიარქის გამოკვლევები და, რა თქმა უნდა, ს. ეიზენშტადტისა და ლ. რონიგერის ფუნდამენტური ნაშრომები.

მათც რაში მდგომარეობს კლიენტელიზმის არსი და რატომ ეთმობა მას ასეთი დიდი ყურადღება?

კლასიკური განსაზღვრით, კლიენტელიზმი წარმოადგენს სოციალურ და პოლიტიკურ ფენომენთა ერთობლიობას, რომელიც ემყარება არასიმუტრიული ურთიერთობის ფორმის მქონე ორმხრივი გაცვლის მექანიზმებს პატრონსა და კლიენტს შორის.

ეს მოვლენა არ/ან სუსტად ინსტიტუციონალიზებული საზოგადოებიდან იღებს სათავეს და, აქედან გამომდინარე, უპირისპირდება თვით ინსტიტუციონალიზმის არსი.

კლასიკური სახით კლიენტელიზმი ძველ რომში გვხვდება, თვით ტერმინიც პირველად აქ იხსენიება, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ძველი მსოფლიოს სხვა ქვეყნებისათვის საზოგადოებრივი ურთიერთობის ანალოგიური ფორმები უცხო იყო.

ქალაქ-რესპუბლიკური (დემოკრატიული) სისტემის კრიზისმა რომის რესპუბლიკის არსებობის ბოლო პერიოდში, განსაკუთრებით კი იმპერიის ეპოქაში, რომში მოქალაქეობის უფლების მქონე ღუმბენიზებული თუ დეკლასირებული ელემენტებისაგან შემდგარი სოციალური ფენა შექმნა. ამ ადამიანებს საარჩევნო ხმის გარდა არაფერი ებადათ და, ბუნებრივია, ეს უკანასკნელი არსებობის ერთადერთ წყაროდ გაიხადეს.

რომაულმა არისტოკრატიამ თუ პლუტოკრატიამ კარგად ისარგებლა ამ სიტუაციით. დაიწყო მოქალაქე-ამომრჩეველთა მასობრივი მოსყიდვის პროცესი. მიზერული კომპენსაციის (ყოველდღიური სადილები თუ იაფთასიანი საჩურქები) სანაცვლოდ არისტოკრატიამ მიიღო საარჩევნო ხმების გარანტირებული მინიმუმი სახელმწიფოს არჩევითი თანამდებობების დასაკავებლად.

ზემოთქმული არ ნიშნავს იმას, რომ კლიენტელიზმი მხოლოდ ეკონომიურ საფუძველს ემყარებოდა. პოლიტიკური ანარქია და არასტაბილური სიტუაცია აიძულებდა სხვადასხვა სოციალურ საფეხურზე მყოფ მოქალაქეებს, ემენათ ძლიერი მფარველი. ამრიგად, იქმნებოდა ორმხრივი დაინტერესება. პოტენციური კლიენტი ეძებდა დამცველს, ხოლო პოტენციური პატრონი - კლიენტთა მასას, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, თანადგომას გაუწევდა მას თავისი მიზნების განხორციელების გზაზე.

საერთოდ, კლიენტელიზმის დევიზად შეიძლება აღებული იქნას დამუკიდებულება და სოლიდარობა. ეს პრინციპი კარგად გამოხატავს ორმხრივი ვალდებულებების სისტემას.

ფეოდალიზმმა პატრონ-კლიენტური ურთიერთობების ინსტიტუციონალიზება მოახდინა. ფეოდალური ვასალიტეტი სწორედ კლიენტელიზმის ძირითად პრინციპს ეფუძნებოდა.

დასავლური, ქალაქურ-ბურჟუაზიული დემოკრატიის წარმოშობამ კლიენტელური ურთიერთობების ახალი ფორმა დაამკვიდრა. გაჩნდა კოლექტიური პატრონი (ქალაქი, ამქარი და ა.შ.) და კოლექტიური კლიენტი (მოქალაქეები, ხელოსნები და სხვ.). ამავე დროს, ბურჟუაზიული ურთიერთობების დამკვიდრებისა და გაძლიერების პირობებში კლიენტელურ ურთიერთობებს ნაკლებად მნიშვნელოვანი როლი ენიჭებოდა. ევროპის ბურჟუაზიულმა რევოლუციებმა და კონსტიტუციური სახელმწიფოების წარმოშობამ მართლაც დიდი როლი ითამაშეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში აღნიშნულ ურთიერთობათა გავლენის შემცირების საქმეში.

თანამედროვე, ინსტიტუციონალიზებული, სამართლებრივი სახელმწიფო თავის თავზე იღებს მოქალაქეთათვის იმ მფარველობით ფუნქციებს, რომლებიც კლიენტელურ ურთიერთობათა პირობებში პატრონებს ეკისრებოდათ. შეიძლება ითქვას, რომ ახლა თვით სახელმწიფო გამოდის პატრონის როლში, ხოლო ქეყნის მოქალაქენი, სახელმწიფოს წინაშე თავისი უფლებებითა და მოვალეობებით, კოლექტიურ კლიენტს წარმოადგენს. რიგითი მოქალაქე თანამედროვე სახელმწიფოში, თავისი მოვალეობის გრძნობითა და ამბიციებით, იგივე როლს თამაშობს, რასაც, ვოქვათ, Chevalier de robe მსხვილი ფეოდალის კარზე.

ლიბერალურად მოაზროვნე ინტელექტუალებში ამ პროცესებმა ჩასახა იმედი, რომ კლიენტელური ურთიერთობები, როგორც საზოგადოებრივი განვთარების გარკვეული დონისათვის დამახასიათებელი მოვლენა, მალე ამოწურავდა თავის შესაძლებლობებს და წარსულის კუთვნილებად იქცეოდა.

მაგრამ მოვლენები სხვაგვარად განვითარდა. დღეს უკვე გაქრა იმის ილუზია, რომ XX საუკუნის ინდუსტრიული საზოგადოება ვერ იგუებდა კლიენტელიზმს. მოხდა პრიმიტიული ბოსიზმის გადაზრდა ლობიზმი, ანუ ძველი დროის, საკრალური კლიენტელური ურთიერთობები შეიცვალა ახალი დროის, მატერიალიზებული და ფორმალიზებული კლიენტელური ურთიერთობებით. საუბარია არა მარგინალიზებულ ან დეკლასირებულ სოციალურ ფენათა ურთიერთობის ფორმებზე ("მაფია", "კოზა ნოსტრა" და ა.შ.), არამედ სახელმწიფოებრივ დონეზე ასულ კლიენტელურ ურთიერთობებზე.

თანამედროვე ბიუროკრატია, სახელმწიფო კლიენტელიზმის უმთავრესი საყრდენი, დღესაც ქმნის მეორად კლანებს, რომელთა საფუძველიც არა "ოჯახისადმი" გენეტიკური კუთვნილებაა, არამედ პატრონისადმი ნებაყოფლობითი მორჩილება. უკვე ნათელია, რომ კლიენტელიზმი თანამედროვე ბიუროკრატის ხვედრია და განვითარებულ ქვეყნებშიც განაგრძობს არსებობას.

თანამედროვე სოციალურ მეცნიერებებში გამოყოფენ კლიენტელური ურთიერთობის შემდეგ ფორმებს:

1. ადგილობრივი, პიროვნებათშორისი;
2. პატრონი-შუამავალი-კლიენტი;
3. ორგანიზაციული შუამავლობა.

თანამედროვე კლიენტელური ურთიერთობა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება წარსულის უბრალო რელიქტად ჩათვალოს. წეო-პატრიმონიალიზმი, რაც უ.ფ. მედარმა პირველად უგანდაში დააფიქსირა და შემდეგ აფრიკის მთელი კონტინენტის საზოგადოებრივ ურთიერთობათა დამახასიათებელ მოვლენად მიიჩნია, მომდინარეობს არა მარტო ტრადიციებიდან, არამედ ახალი რეალიებიდანაც (ე.ი. გარკვეულწილად ჰიბრიდულია). ამავე დროს, იგი სცდება აფრიკის საზღვრებს და, მეტ-ნაკლებად, მთელი მსოფლიოს მასშტაბით არის გავრცელებული სამიერენები ფორმით. სხვადასხვა საზოგადოებაში, ამ უკანასკნელის განვითარების დონისდა შესაბამისად, კლიენტელიზმა შეიძლება პირველ ან მეორეხარისხოვანი როლი ითამაშოს.

ბუნებრივია, ისმის კითხვა: რა არის ამ ფენომენის ცხოველმყოფელობის მიზეზი?

თანამედროვე კლიენტელიზმის საფუძველს რესურსთა სიმცირე (ისევე, როგორც რომში) და სახელმწიფო აპარატის ხელში მათი კონცენტრაცია ქმნის. არასაკმარისი სუბსიდიების განაწილების პრობლემა ისევე აღელვებს თანამედროვე ბიუროკრატს, როგორც ძველი რომის სოციალურად, ეკონომიკურად და ფიზიკურად დაუცველ მოქალაქეს.

ამავე დროს, კლიენტელიზმი არა მარტო აუცილებელი და სასურველი რესურსების, არამედ ნდობის მონოპოლიაც არის. თავისთავად კლიენტელიზმის გაძლიერება საზოგადოებაში სოციალური სოლიდარობის კრიზისზე მეტყველებს. მზარდი ინდუსტრიული საზოგადოების პირობებში იგი საკმაოდ ეფექტური საშუალებაა საზოგადოებრივი გაუცხოების წინააღმდეგ საბრძოლველად.

კლიენტელური ურთიერთობები არბილებს სოციალურ წინააღმდეგობებს და ხელს უშლის საზოგადოების მეტისმეტ მარგინალიზებას. ხდება "ზელმეტი მოსახლეობის" რაოდენობის ნაწილობრივი შემცირება. თანამედროვე საზოგადოებაში ნარჩუნდება სამსახურში აყვანის პატრიარქალური წესი (ნაცნობობით მიღება). ანალოგიური ფორმები იძდენად არის გავრცელებული ყველგან და, მათ მორის, საქართველოში (როგორც სახელმწიფო აპარატში, ისე კერძო ბიზნესში), რომ მათი რეალურობის მტკიცება უბრალოდ დროის კარგვა იქნებოდა.

კლიენტელიზმის ამ "დადებითი" სოციალური მხარის არსებობა სრულებითაც არ მოასწავებს საზოგადოებრივ ზაგვს დაპირისპირებულ სოციალურ სტრატეგის შორის, ვინაიდან კლიენტელიზმი და სხვა პატრიმონიული ფორმები არ ამცირებენ საზოგადოებისათვის არსებულ მარადიულ შიდადაპირისპირებებს - "ყველა ყველას წინააღმდეგ" (ჰობსისეული განმარტებით). ამავე დროს, კლიენტელიზმი ატარებს დესპოტიზმის ნიშნებსაც. მაგალითად შეიძლება აღებული იქნას "ტრადიციული" ქართული საოჯახო კლანების იერარქიული, ე.წ. "დონების" სისტემა, სადაც საზოგადოებრივ ასპარეზზე (ბიზნესი, პოლიტიკა, მეცნიერება და სხვ.) შედარებით წარმატებული პირი ფაქტობრივად წარმართავს თავის, სოციალურ კიბეზე უფრო დაბლა მდგომ, შედარებით "უილბლო" ნათესავთა საქმიანობას. ანალოგიური "მფარველობა" ძალზე ხშირად საკმაოდ ავტოკრატული მეთოდებით ხორციელდება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, კლიენტელიზმი თავისესავე საწყისში არაპუმანურია, არა მარტო ობიექტურად, არამედ კვისტენციალურადაც.

მეორე პრობლემას, რასაც ნათესაური, ნეპოტისტური კლიენტელიზმი ქმნის, წარმოადგენს "უცხოთა" (არანათესავთა) დისკრიმინაცია. ეს უკანასკნელი შეიძლება გამოვლინდეს გლობალურ საკითხებშიც და ყოველდღიურ ცხოვრებისეულ წვრილმანებშიც (ისეთებში, როგორიც არის სამსახურში მიღება ნათესაური პრინციპის მიხედვით).

არ შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული საკითხი მხოლოდ მესამე სამყაროს ქვეყნებში დგას მეტად მწვავედ. ნეპოტიზმი და ნეპოტისტური კლიენტელიზმი აშშ-შიც პრობლემაა. მთელ რიგ შტატებში (მაჩიგანი და ა.შ.) არსებობს სპეციალური კანონმდებლობა, რომელიც აკონტროლებს და ზღუდვას ამგვარ დისკრიმინაციას. საგანგებო იურიდიული დოკუმენტაციით საზოგადოება ცდილობს, არ დაუშვას ინტერესთა კონფლიქტი საზოგადოებრივ ურთიერთობებში.

და მაინც, კლიენტელიზმის უმთავრეს თანამდევ მოვლენად კაცობრიობის მეორე, ჯერ ასევე უკურნებელი სენი - კორუფცია უნდა მივიჩნიოთ.

## 2. კლიენტელიზმი და კორუფცია

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 1979 წლის 17 დეკემბრის 34-ე სესიის ფორმულირების მიხედვით, "კორუფცია არის ნებისმიერი ფორმის საზღაურის სანაცვლოდ, საზღაურის გამლების ინტერესებიდან გამომდინარე, თანამდებობის პირის მიერ, მისი თანამდებობრივი უფლებამოსილების სფეროში, გარკვეული მოქმედების შესრულება ან უმოქმედობა".

სახელმწიფო კორუფცია ხორციელდება იმდენად, რამდენადაც ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღებისას მოხელეს შეუძლია, თავის შეხედულებისამებრ განკარგოს ის რესურსები, რომელთა მესაკუთრეც სახელმწიფო უნდა იყოს.

კორუფციის მასშტაბი განსაკუთრებით დიდია განვითარებადი ქვეყნების სახელმწიფო ინსტიტუტებში. თუ განვითარებულ ქვეყნებში კორუფცია გაიაზრება, როგორც თამაშის წესებზე ძალადობა, განვითარებად და პოსტსოციალისტურ ქვეყნებში იგი თავად წარმოადგენს თამაშის წესს და მას სისტემური ხასიათი აქვს.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დასავლეთის ქვეყნების დიდი უმრავლესობა ცდილობდა, თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა მესამე სამყაროს ეს პრობლემა. პოსტინდუსტრიული ქვეყნების ბიზნესმენები წარმატებით იყენებდნენ მოქრთამვის მექანიზმს გასაღების ახალი ბაზრების მოპოვების პროცესში. მაგალითად, გერმანიის კანონმდებლობა მკაცრად სჯიდა კორუფციის ნებისმიერ გამოვლინებას გერმანიის

ტერიტორიაზე, მაგრამ დაუსჯელს ტოვებდა გერმანული ფირმების ანალოგიურ საქმიანობას განვითარებად ქვეყნებში.

მაგრამ ასეთი პოლიტიკა, საბოლოო ჯამში, თვით დასავლური ეკონომიკის საზიანოდ მოქმედებს. აშშ-ის მთავრობის ოფიციალური მონაცემებით, კორუფციის მიზეზით ამერიკულმა ფირმებმა 1994-1996 წლებში საერთაშორისო კონტრაქტების დადებისა და შესრულების პროცესში დაახლოებით 11 მილიარდი დოლარით იზარალეს.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ კორუფციის მასშტაბი განსაკუთრებით გაიზარდა ცივი ომის დამთავრების შემდეგ. და ეს ეხება არა მარტო პოსტკომუნისტურ, არამედ პოსტინდუსტრიულ ქვეყნებსაც.

კორუფცია განსაკუთრებით იზრდება მაშინ, როდესაც ქვეყანა მოდერნიზაციის პერიოდშია. ამ მოვლენის მიზეზებად პოსტკომუნისტური ქვეყნებისათვის უნდა დასახელდეს:

- ტოტალიტარული მექვიდრეობის სიძნელეთა გადალახვა;
- პოლიტიკური არასტაბილურობა და ეკონომიკური დაცემა;
- კანონმდებლობის არასრულყოფილება და განუვითარებლობა (კანონთა წინააღმდეგობრივი ხასიათი ან დაუსრულებლობა, საკანონმდებლო რეგულირების ნორმათა არარსებობა);
- სახელმწიფო სტრუქტურების უფლებები;
- სამოქალაქო საზოგადოების სისუსტე და მისი მოწყვეტა ზელისუფლებისაგან;
- დემოკრატიული პოლიტიკური ტრადიციების უქონლობა.

კორუფციაზე საუბრისის არ შეიძლება, არ ვახსენოთ ის შედეგები, რომლებსაც ეს მოვლენა იწვევს. უფრო კონკრეტულად ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი საქართველოს წინაშე მდგარი პრობლემების კონტექსტში. ამჟამად უბრალოდ დავაფიქსირებთ ამ შედეგებს სფეროთა მიხედვით.

ეკონომიკური შედეგები:

- ფართოვდება ჩრდილოვანი ეკონომიკა;
- ირლვევა ბაზრის კონკურენციის მექანიზმები;
- ნელღება ევექტიანი კერძო მესაკუთრეების გამოვლენა;
- უფლებოდ გამოიყენება საბიუჯეტო სახსრები;
- კორუფციული "ზედამდები" ხარჯების გამო იზრდება ფასები;
- იკარგება საბაზო აგენტების ნდობა სახელმწიფო სტრუქტურებისადმი;
- ფართოვდება კორუფციის მასშტაბი კომერციულ სტრუქტურებში.

სოციალური შედეგები:

- საზოგადოების განვითარებას აკლდება მნიშვნელოვანი თანხები;
- ძლიერდება ქონებრივი უთანაბრობა;
- ხდება სამართლის დისკრედიტირება;
- იზრდება ორგანიზებული დანაშაული;
- მწვავდება სოციალური დაძაბულობა.

პოლიტიკური შედეგები:

- ხდება პოლიტიკის მიზნების წანაცვლება საერთოეროგნული განვითარებიდან ოლიგარქიული ღაჯგუფების განვითარებისკენ;
- მცირდება ხელისუფლებისადმი ნდობა;
- ეცემა ხელისუფლების პრესტიჟი საერთაშორისო არენაზე;
- ხდება პოლიტიკური კონკურენციის პროფანაცია და შემცირება;
- იზრდება ახლადჩამოყალიბებული დემოკრატიული სისტემის ნგრევის საფრთხე.

ახლა კი, სანამ შევუდგებოდეთ თანამედროვე სიტუაციის მიმოხილვას, ვნახოთ, როგორი წინაპირობები გააჩნდა აღნიშნული პრობლემების აღმოცენებას საქართველოში.

### 3. კლიენტელიზმის ფესვები

კლიენტელიზმზე საუბრისას აუცილებელია, ყურადღება მიექცეს თითოეული ქვეყნის თავისებურებებს, რომლებიც ამ ქვეყნების ისტორიული განვითარებით არის გამოწვეული. ეს ეხება პოსტკომუნისტურ ქვეყნებსაც. ადგილობრივი ტრადიციების გაუთვალისწინებლად შეუძლებელია ვილაპარაკოთ აღნიშნული ქვეყნების მმართველობით სისტემებში არსებული კლიენტელიზმის ზარისხზე, ვინაიდან ახალი პოლიტიკური ელიტის უმთავრეს ნაწილს სწორედ მმართველობის ძველი ტრადიციების მქონე საბჭოური ნომენკლატურა შეადგენს.

ადგილობრივი ტრადიციების გათვალისწინების აუცილებლობას აღნიშნავდა ა. გრინსპანი, ფედერალური რეზერვების საბჭოს თავმჯდომარე. იგი ამბობდა, რომ ცენტრალიზებული საგვამო ეკონომიკის დემონტაჟი ჯერ კიდევ არ ნიშნავს თავისუფალ ბაზარს. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია უცხო ქვეყნის (იგულისხმებოდა რუსეთი) კულტურული თავისებურებანიც.

\* \* \*

რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში?

რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის მომენტისათვის ქართული საზოგადოებისათვის ჯერ კიდევ შუასაუკუნეობრივი მენტალობა იყო დამახასიათებელი. ქართველ განმანათლებელთა მცდელობას, პოლიტიკურად დაქუცმაცებულ და ეკონომიკურად მოშლილ ქვეყნაში ევროპული აზროვნების წესი დაემგვიდრებინათ, მნიშვნელოვანი შედეგი არ გამოულია. ენტროპიული პროცესების არარსებობის გამო მოსახლეობის აბსოლუტური უმეტესობისათვის შეუძლებელი იყო მაშინდელი ქართული ინტელექტუალური ელიტის იდეათა გათავისება.

უცხო ქვეყნის ადმინისტრირების ძალდატანებითმა შემოღებამ და ტრადიციული სამართლებრივი ინსტიტუტების გაუქმებამ საზოგადოებრივი ნიპილიზმის წარმოქმნა-გაძლიერებას შეუწყო ხელი. ამას მნიშვნელოვნად აძლიერებდა თვით რუსული საზოგადოების ტოტალური უნდობლობა საკუთარი სახელმწიფოებრიობის მიმართ.

ბიუროკრატიული აპარატის გაძლიერება, საზოგადოებრივი ნდობის შემცირების ფონზე, იქცა კლიენტელური ურთიერთობების გაძლიერების მიზნზად. საქართველოში ამ ტენდენციამ თავი უკვე XIX საუკუნის ბოლოდან იჩინა და განსაკუთრებით გაძლიერდა სოციალიზმის ეპოქაში.

1917 წლის ოქტომბრის გადატრიალებამ რუსეთში და, შესაბამისად, საქართველოშიც, წოდებრივი ფენები ტოტალიტარული წყობით შეცვალა. ბუნებით ფრონდიორი ინტელიგენციისა და სახალხო ჯანყის სიმბიოზმა, რაც ბოლშევიზმის დოქტრინით გამოიხატა, ახალი იდეოლოგიის ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი. ძველი სისტემა დაინგრა. ვინაიდან ქვეყანაში არ არსებობდა ახალი ცივილიზაციული სისტემის შექმნის პირობები, კონსტიტუციური წყობის ნაცვლად იქ კომუნისტური სისტემა დამკვიდრდა.

ამავე დროსვე იწყება მესაკუთრეთა ახალი კლასის ფორმირების პროცესიც. მიუხედავად იმისა, რომ მარქსიზმი უარყოფდა კერძო საკუთრებას, სკპა იქცა სსრკ-ში უმსხვილეს მესაკუთრედ. იგი ფლობდა ყველაფერს - საგამომცემლო საქმით დაწყებული და სანატორიუმებით დამთავრებული და, ამავე დროს, აკონტროლებდა სახელმწიფო შემოსავალს.

ტოტალიტარიზმი, როგორც წესი, ეწ. "მეორე ეშელონის" ქვეყნებში იმარჯვებს. აქ იგი კონკურენტების "დაჩქარებული დაწევის" ღოზუნგით გამოიდის. საზოგადოება, რომელიც მეტად მტკიცნეულად აღიქვამს სხვა ქვეყნებისაგან, თუნდაც შედარებით ჩამორჩენას, პრობლემის გადაჭრას სწორედ რადიკალური მეთოდებით, თუნდაც საკუთრი ინტერესების შეზღუდვის ხარჯზე, ცდილობს. ეს არის ის, რასაც ე ფრონტი მასის თავისუფლებისაგან გაქცევას უწოდებდა. მასა ცდილობს, იაროვოს თავშესაფარი ყოველდღიური პრობლემებისაგან და სიამოვნებით გადასცემს თავის უფლებებს გარკვეულ რადიკალურ ძალებს.

ტოტალიტარიზმის აღმოცენებას წინ უსწრებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში სახელმწიფოს როლის მეტისმეტი გაძლიერება. საზოგადოება სახელმწიფოს უყერებს არა როგორც "თევზე"-ის დასავლური გაგებით, არამედ როგორც ზეიდეას. საზოგადოება თვით სახელმწიფოს იდეის შეცვლას კი არ მოითხოვს, არამედ ცუდ "წესრიგს" (მართვას) და მართველობის უმაღლეს ეშელონებში სიმართლის (შდრ. ობიექტური ინფორმაციის) დეფიციტის არსებობას მიიჩნევს თავისი უბედურების მიზეზად.

ტოტალიტარული რეჟიმის დამყარება, გარკვეულწილად, ან წინა რეჟიმის მიერ ჩატარებული რეფორმების წინააღმდეგ მიმართულ რეაქციად (რუსეთში ბოლშევიკური ამბობი XIX-XX საუკუნეების კაპიტალისტურ რეფორმებზე რეაქციას წარმოადგენდა (სულ ერთია ამას "წარმოების აზიური წესის" თუ სახელმწიფო დესპოტიის დასაცავად გადადგმულ ნაბიჯად მივიჩნევთ), ან განვითარებულ ქვეყნებთან მეტოქეობის (განვითარებად ქვეყნებში დეკოლონიზაციის შემდეგ წარმართული პროცესები, "დასავლეთის დაწევის" ლოზუნგით რომ მიმდინარეობდა, საბოლოო ჯამში ბევრ ქვეყნაში სახელმწიფო კაპიტალიზმში გადაიზარდა) გამოვლინებად უნდა ჩაითვალოს.

ზ. ბზევინსკის განსაზღვრით, "ტოტალიტარიზმი ეს არის ავტორატია, რომელიც ეყრდნობა თანამდებროვე ტექნოლოგიებს და მასობრივ ლეგიტიმიზაციას."

ამ შემთხვევაში, რაგონდ უცნაურადაც არ უნდა ჩანდეს, ფაშიზმი, რომელიც სახელმწიფოს როლის აბსოლუტურ გაზრდას ისახავდა მიზნად, თავის მოქმედებაში უფრო გულწრფელი ჩანდა, ვიდრე სახელმწიფოს კვირის მარქსისტული იდეის მქადაგებელი ბოლშევიზმი. თუმცა სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ საწყის ეტაპზე ამ უკანასკნელსაც პქონდა წამოყენებული პროლეტარული სახელმწიფოს გაძლიერების ლოზუნგი.

მოგვანებით საბჭოთა კავშირის განვითარებამ გაამართლა მ. ვებერის ვარაუდი ტოტალიტარულ სახელმწიფოში ბიუროკრატიის ხელში დიდი ძალაუფლების კონცენტრირების საფრთხის შესახებ. პროლეტარიატის დიქტატურა შეუმჩნევლად, მაგრამ საკმაოდ ძალე შეიცვალა ბიუროკრატიის დიქტატურით.

სსრკ-ში ჩამოყალიბდა დატაცების იერარქიული სისტემა. გაძლიერდა შუამავლობის ინსტიტუტი. ამ სტრუქტის წარმომადგენლები ("ходоки") ფაქტობრივად კვალიფიციური იურისტების ადექვატურ საქმიანობას ახორციელებდნენ და თავიანთ ქმედებებში, არაფორმალური ურთიერთობის ფორმებს გარდა, საკანონმდებლო ბაზასაც ეყრდნობოდნენ.

თანდათანობით მოხდა ურთიერთობის ამ ფორმის გადაზრდა აღმინისტრაციულ სისტემაში. მოხდა როგორც კლიენტელის (საკავშირო მნიშვნელობის საწარმოთა მაღალკალიფიციური მუშები და ა.შ.), ისე პატრიონთა (მთელი რიგი პრივილეგირებული სახელმწიფო უწყებებისა) დიუკრენცირება დონეთა მიზედვით.

სოციალისტური სისტემის არსებობის ბოლო ეტაპზე დასრულდა მმართველი აპარატის "გაჯერება" და შეწყდა (ან ძალიან შემცირდა) ახალი კადრების წინ წამოწევის პროცესი. თანამდებობრივი რესურსების შემცირებამ და XX საუკუნის 20-40-იან წლებში სსრკ-ში არსებული საყოველთაო ენთუზიაზმის განელებამ მმართველ წრეებში 70-იან წლებში სერიოზული ფიქოლოგიური კრიზისი გამოიწვია.

საბჭოთა სისტემის არსებობის ბოლო ათწლეულებისა და "პერესტროიკის" ეპოქისათვის დამახასიათებელია ნომენკლატურის "ნატურალიზაციის" პროცესი. ნომენკლატურა უარს ამბობს მმართველობის აშკარად ტოტალიტარულ მეთოდებზე და ცდილობს, კორუფციის გზით უზრუნველყოს მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობა. საბჭოური სისტემის კლიენტელიზმისათვის მთავარი იყო არა წარმოშობა, ფინასური ან გონებრივი შესაძლებლობები, არმედ ნომენკლატურის წევრობა. ამ პერიოდში თანდათან იკარგება ორმხრივი შეთანხმების პრინციპი.

საზოგადოების მენტალური კრიზისი კიდევ უფრო გააღრმავა ნომენკლატურული ინტერესთა ჯგუფების ურთიერთბრძოლის შედეგად წარმოშობილმა ორმა ფაქტორმა:

- **დესაკრალიზაციამ** - საზოგადოებრივ ცნობიერებაში "შეუმცდარი ბელადების" იმიჯის გაქრობამ (ნ.ს. ხრუშჩინის მიერ ი.ბ. სტალინის პიროვნების კულტის მხილება, მ.ს. გორბაჩოვის მიერ ლ.ი. ბრეჟნევის მოღვაწეობის კრიტიკა);
- **დემოკრატიზაციამ** (მ. გორბაჩოვი მოწინააღმდეგე პარტიულ კლანებთან ბრძოლის პროცესში მოსახლეობის ფართო მასების მხარდაჭერის მოპოვებას ცდილობდა).

საბჭოთა კავშირის დაშლას სრულებითაც არ გამოუწევია ნომენკლატურის აზროვნების წესის შეცვლა. ნომენკლატურულ ელიტაში და მმართველობის შეა რგოლში კვლავ ძველი სტერეოტიპებით (მითი რუსეთის "უძლეველობის" შესახებ, მოსკოვში "საქმის ჩაწყობის" სიოლე, პიროვნული ურთიერთობებით პოლიტიკური პრობლემების მოგვარების იმედი და სხვ.) განაგრძობდნენ საქმიანობას.

#### 4. ახალი "ქართული" კლიენტელიზმი

კლიენტელიზმი სსრკ-ში განპირობებული იყო იმით, რომ არ არსებობდა არავითარი პოლიტიკური ხელისუფლება ბიუროკრატიულ-იერარქიულის გარდა. რეალურად, ძალაუფლების დაკარგვა სოციალური, ზოგჯერ კი ფიზიკური სიკვდილის ტოლფასი იყო. ამიტომ დაპირისპირებულ ჯგუფებს შორის მიმდინარეობდა დაუნდობელი ბრძოლა რესურსებისა და პრივილეგიების ხელში ჩასაგდებად, რაც საბოლოოდ ისევ ძალაუფლების შენარჩუნებას ხმარდებოდა.

საბჭოთა ნომენკლატურის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ეს ბრძოლები საზოგადოებისგან დაფარულად მიმდინარეობდა. მოსახლეობას ქვეყნის პოლიტიკური ლიდერის ან (რაც მთავარია) პოლიტიკური კურსის შეცვლა მხოლოდ სახელმწიფო ტელევიზიაში მოჰარბებული კლასიკური მუსიკის კონცერტებით შეეძლო ეგრძო.

სსრკ-ის დამხობის შედეგ პატრიმონიული ნომენკლატურის საქმიანობა, უბრალოდ, დაუფარავი გახდა. მოსკოვურ მფარველობას მოკლებულმა ქართულმა ნომენკლატურამ შეუნიდაბავი პოლიტიკური ნაბიჯები გადადგა და საზოგადოების არასასურველი ყურადღება მიიპყრო. პირველი ასეთი დიდი ნაბიჯი 1991-1992 წლების "თბილისური ზამთარი" იყო. ქვეყნის დედაქალაქში სამხედრო დაპირისპირების გამომწვევ მრავალ ობიექტურ თუ სუბიექტურ მიზეზს შორის გამოვლით სამს, რომლებიც მეტ-ნაკლებად არის დაკავშირებული ყოფილი საბჭოთა ნომენკლატურის კლიენტელურ ურთიერთობებთან:

- რა თქმა უნდა, ფაქტად ქცეული ყველა რევოლუცია თუ სახელმწიფო გადატრიალება იმის მაჩვენებელია, რომ როგორც ხელისუფლებას, ისე მის მოწინააღმდეგებს პოლიტიკური ტაქტი აკლიათ;
- არანაკლებ მნიშვნელოვანია ის მოტივაცია, რომელიც პრეზიდენტ ზ. გამსახურდიას პოლიტიკურად საკმაოდ ჭრელ ოპოზიციაში მყოფ ნომენკლატურას გააჩნია. ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად მათ მიერ რეალური ძალაუფლების დაკარგვის გამო დაწყებული რეაქცია უნდა იქნას მიჩნეული. საქართველოს რესურსთა სიმწირე (რა თქმა უნდა, იგულისხმება არა მხოლოდ ბუნებრივი რესურსები) სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფების დაპირისპირების მიზეზად იქცა;
- და ბოლოს, ადგილი ჰქონდა კლიენტელური ჯგუფების დაპირისპირებას მეტისმეტად სოციალიზებულ საზოგადოებასთან. როგორც თავის დროზე სიცილიურმა მაფიამ მუსოლინის ფაშისტური დიქტატურის წინააღმდეგ ბრძოლაში, თბილისის ელიტარულმა კლიენტელამ (ე.წ. "ნაღდი ქალაქელები") მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ზ. გამსახურდიას ნაციონალ-მარგინალური რეჟიმის დამხობაში.

ამასთან დაკავშირებით მეორე მსოფლიო ომის ერთი ნაკლებად ცნობილი ფაქტის განსხვება შეიძლება. ამჟრიკის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, ქვეყნაში იტალიური მაფიის ქმედებებისადმი ლოიალური დამოკიდებულების სანაცვლოდ, მაფიას თავისი ზეგავლენა უნდა გამოეყენებინა და ხელშემწყობი პირობები შეექმნა ამერიკული არმიისათვის საცილიაზე და კონტინენტზე მათი წინსვლისა და გმაგრებისთვის, რამაც თავისი დაღვითი შედეგი მოიტანა. ომის შემდგომ პერიოდში, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეწ. ჰუგრის კომისიის შექმნით, ამერიკულმა მაფიამ ხელისუფლების მხრიდან სასტიკი დარტყმა განიცადა (ეს კომისია შემდგომ გადაკეთდა გამოძიების ფედერალურ ბიუროდ).

თუ საქართველოს უახლეს ისტორიას, კერძოდ, მხედრიონის ლიდერის, ჯ. იოსელიანის ბედს გავიხსენებთ, შესაძლოა, საქართველოსა და აშშ-ის მთავრობების კრიმინალურ სამყაროსთან ურთიერთობის სტრატეგიებს შორის გარკვეული პარალელებიც მოინახოს.

კლიენტელიზმის გამოვლენის ახალი ეტაპი 1992 წლიდან იწყება. ცნობილია, რომ კლიენტელიზმი სამოქალაქო არეულობის ბოლო ეტაპზე ზოგჯერ მეტად აგრესიულ სახეს ღებულობს (გენერალთა ხროვბი ჩინეთში 1911 წლის რევოლუციის შემდეგ, იტალიური მაფია), რაც განსაკუთრებით საშიშია საზოგადოებისათვის.

საქართველოში ამ მხრივ კლასიკური სცენარი გათამაშდა. დეკლასირებული კლიენტელის - "მხედრიონის" მოღვაწეობამ ექსკომუნისტურ ნომენკლატურას მასების მხრიდან სოციალური ანგარიშსწორების საფრთხე მოუხსნა. თუმცა ამის შემდეგ თვით "მხედრიონის" არსებობა გახდა მიუღებელი როგორც საზოგადოებისათვის (რომელიც არასდროს არ ამჟღავნებდა დიდ სიმპათიებს შეიარაღებული ფორმირებებისადმი), ისე ზ. გამსახურდიას იმ ოპონენტებისათვის, რომლებიც, ანტიზვიალისტური დემოკრატიული მოძრაობისგან განსხვავებით, რევანშისა და დაკარგული პოზიციების აღსადგენად იძრძოდნენ.

1995 წლიდან იწყება ახალი ეტაპი - სტაბილიზაციის ხანა. ამ პერიოდში ნომენკლატურა სრულიად დაუუფლა სიტუაციას და მის ერთადერთ საზრუნვად status quo-ს შენარჩუნება იქცა.

დღეისათვის როგორც ეკონომიკის ამოქმედების მცდელობა, ისე ეროვნული ბურჟუაზიის წარმოშობა-განვითარების პროცესი კლიენტელურ ურთიერთობათა ფონზე მიმდინარეობს. ამ უნთიერთობების გარეშე (ე.წ. "კრიშების" სისტემა) მეტად რთულდება სამწიარმეო საქმიანობა. არ არის გასაკვირი, რომ ქართველ ნუვორიშთა ასოლუტურ უმეტესობას პოლიტიკური ელიტისა და სახელმწიფო აპარატის ყოფილი და ამჟამინდელი ფუნქციონერები ქმნან. კორუმპირებული ბურჟუაზიის არსებობა კიდევ უფრო ზრდის ერთი პიროვნების მეორეზე დამოკიდებულებისა და მფარველობის ხარისხს.

მოქმედი ყოველთვის უსინდისოა,  
სინდისი აქვს მხოლოდ მაყურებულის.  
გოთვა

### III. ინსტიტუციურ-ეკონომიკური (სოციალური) თეორია

ამ თავის მიზანია, საზოგადოებას გავაცნოთ ინსტიტუციური ეკონომიკის და მის მიერ ოპერირებული ტერმინებისა და ინსტრუმენტების არსი, განვმარტოთ რენტულორიენტირებული ქცევის კონცეფცია, კლიენტელიზმის ფენომენის სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური გამოვლინების შედეგები და მთელი ეს ცოდნა მივმართოთ დღევანდელ ქართულ რეალობაში არსებული, სახელმწიფო რანგში აყვანილი ინსტიტუციის კორუუციის გამომწვევი მიზეზებისა და მათი დაძლევის გზების ძიებისაკენ.

ვინაიდან ქვემოთ ხშირად შეგვხვდება ახალი ტერმინოლოგია, ამიტომ დავიწყოთ სემანტიკური დაზუსტებებით.

ინსტიტუციურ ქმედებათა შესწავლის პროცესში მსოფლიო ეკონომიკურ მეცნიერებაში სამი სკოლა ჩამოყალიბდა. ამ სკოლათა წარმომადგენლებისათვის კვლევის პრიორიტეტულ სფეროს ქმნიდა:

- ინსტიტუციური პროექტი (XIX ს. - XX ს. I ნახ. - ჯ.ს. მიღლის თეორია და მისი მიმდევრები) უმნიშვნელოვანეს ფაქტორად მიიჩნევს სტრუქტურულ და პროცედურულ გაუმჯობესებას. XX ს. შუახნების მსოფლიო პოლიტიკურმა კრიზისმა (ფაშიზმის გამარჯვება იტალიასა და გერმანიაში, კომუნისტური ტოტალიტარიზმის გავრცელება პლანეტის ტერიტორიის 40%-ზე, III და IV რესპუბლიკების კრიზისი საფრანგეთში და ა.შ.) ხელი შეუწყო ე.წ. "ახალი ინსტიტუციონალიზმის" წარმოშობას, რომელშიც დიდი ყურადღება დაეთმო ინსტიტუციურ პრობლემებს;
- სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები (ნეოარისტოტელისტური და, ნაწილობრივ, მარქსისტული შეხედულებანი - რ. დალი, ს. ლიპსეტი) მიიჩნეოდა განვითარების მთავარ მამოძრავებელ ძალად;
- სოციალურ-კულტურული ფაქტორების (პლატონის მიმდევრები, მ. ვებერი, ა. დე ტოკვილი) აპოლოგეტები, უპირველეს ყოვლისა, ახდენდნენ იმ გარემოს შესწავლას, რომელში არსებობაც უწევდა ამა თუ იმ საზოგადოებრივ ინსტიტუტს.

აღნიშვნულ მიმდინარეობათა დაწერილებითი განხილვა არ წარმოადგენს წინამდებარე ნაშრომის მიზანს. ჩვენ ყურადღებას მხოლოდ იმაზე გავამახვილებთ, რაც საერთოა ამ მიმდინარეობებისთვის და რაც საფუძვლად დაედო უახლეს შეხედულებებს ინსტიტუციური ქმედებების შესწავლის სფეროში.

უპირველეს ყოვლისა, განვიხილოთ ახალი ინსტიტუციური ეკონომიკის ძირითადი ელემენტები: რენტულორიენტირებული ქცევა, კერძო საკუთრების ფლობის და განკარგვის უფლება და ჯგუფური ინტერესების თეორია.

ინსტიტუციური ეკონომიკის თვალსაზრისით, ინსტიტუტში იგულისხმება ყველა სტრუქტურა და წესი, რომელიც სტაბილურს ხდის და არეგულირებს ეკონომიკური აგენტების მოლოდინს და, ამავე დროს, ხელს უწყობს ინდივიდების ქცევის წინასწარ გათვლას. სხვაგარად რომ ჩამოვაყალიბოთ, ინსტიტუტები პუმანურ პრინციპზე დაფუძნებული შეზღუდვებია, რომლებიც განსაზღვრავს პოლიტიკური, სამეურნეო და პუმანურ პრინციპზე დაფუძნებული ურთიერთობების ხასიათს. როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, აქ მთავარია მარგულირებელი ქცევა და ინსტიტუტის მოლოდინის სტაბილიზების ხარისხი. ამით ინსტიტუტი, ერთის მხრივ, ხსნის შესაძლებლობებს ინდივიდებისთვის (პოზიტიური ასპექტი), მაგრამ, მეორეს მხრივ, ზღუდავს ამ შესაძლებლობებს (ნეგატიური ასპექტი).

მოლოდინის შექმნა და სტაბილიზება ხორციელდება ფორმალური ან არაფორმალური ინსტიტუტებით.

ფორმალური ინსტიტუტების მაგალითებია: კაპიტალის, შრომის და საქონლის ბაზრის ფუნქციონირების და კონკურენციის წესის დაღვენა, რომელიც განსაზღვრავს ამა თუ იმ ეკონომიკური მოღვაწეობის მონაწილეების ზოგადი და სწორი ქცევის წესებს; ხელშეკრულებები (ექსპლიციტური და ინპლიციტური), რომელებიც მოიცავს მონაწილე მხარეთათვის აუცილებლად შესასრულებელ გარკვეული ქცევის წესებს (მაგალითად, მყიდველის ვალდებულება, გადაიხადოს და გამყიდველის ვალდებულება, მიაწოდოს საქონელი); საკუთრების უფლება.

არაფორმალური ინსტიტუტების მაგალითებია: ტრადიციები, მორალური წესები, ჩვევები და კონვენციები.

სახელმწიფო სტრუქტურებში ინსტიტუციური ცვლილებების აგენტად ითვლება სახელმწიფო მოხელე - პირი, რომელიც ღებულობს გადაწყვეტილებებს. მის არჩევანს განსაზღვრავს მოხელის სუბიექტური აღქმა (მენტალიტეტი), ხოლო ცვლილებების ფაქტორებია (წყაროებია) შესაძლებლობები იმ სახით, როგორც ეს აღიქმება მოხელის მიერ. მისი ამოსავალი წერტილია ცვლილებები გარემოში, განპირობებულია, აგრეთვე, ცოდნის და გამოცდილების დაგროვებით და ამ ფაქტორების გაერთიანებით მოქმედი პირების აზრობრივ (მენტალურ) კონსტრუქციებში. ინსტიტუციური ცვლილებების მექანიზმების რელიზება ხდება გარემო ცვლილებების და ცოდნის შიდა დაგროვების გაურთიანებით.

ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტების ურთიერთმიმართების განხილვა აგენტის (სახელმწიფო მოხელე) სუბიექტური გადაწყვეტილებების ფონზე მეტად საინტერესოა, მთო უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემდეგ საქართველოში გამეფებულ კოლექტიურ აკათიასა და საჯარო ქარიზმის რუტინზაციას (1995-1999 წლები).

ფორმალური წესების ცვლილებები შეიძლება გახდეს ისეთი იურიდიული ცვლილებების შედეგი, როგორიც არის: ახალ სტატუსზე გადასვლა; საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც საკანონმდებლო გადაწყვეტილებებით მიიღება და ქმნის პრეცედენტს არსებული კანონმდებლობის ფარგლებში; მარეგულირებელი წესების ცვლილებები, რომლებიც სახელისუფლებო სტრუქტურებს შემოაქვთ; ასევე ცვლილებები კონსტიტუციაში - იმ მირითადი წესების (მეტაწესების) განსაზღვრით, რომელთა მიხედვითაც ხდება წესების მთელი სისტემის შენება.

ცვლილებები არაფორმალურ შეზღუდვებში - ნორმები, შეთანხმებები, კეთილსინდისიერების პირადი სტანდარტები - განპირობებულია იმავე ფაქტორებით, რითაც ფორმალური; მაგრამ ისინი თანდათანობით და, არც თუ იშვიათად, ქვეცნობიერად ხორციელდება, უყალიბებს რა ინდივიდებს ქცევის აღტერნატიულ მოდელებს, რომლებიც დაკავშირებულია დანახარჯების და სარგებლის ახალ აღქმასთან.

დღევანდელი ქართული სახელისუფლებო სტრუქტურების კრიზისის გამომწვევი მიზეზები სწორედ ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტების ურთიერთმიმართების ჩამოუყალიბებლობაში უნდა ვეძებოთ.

ქვემოთ შევეხებით პარლამენტის საკანონმდებლო ინიციატივებს, რომლებსაც ანტიკორუფციული შინაარსი აქვთ და აშკარად არიან მიმართული სახელისუფლებო სტრუქტურების კორუფციის აღმოფხვრისაკენ, მაგრამ მათი უმოქმედობის მიზეზი სწორედ არაფორმალური ინსტიტუტების ფუნქციონირების გაუთვალისწინებლობაა.

ფორმალური წესები შეიძლება შეიცვალოს ერთ დღეში, არაფორმალური შეზღუდვები - არა. ფორმალური წესების და არაფორმალური შეზღუდვების შეუთავსებლობა (რაც კულტურული

მეტკვიდრეობის სიღრმის შედეგი შეიძლება იყოს), რომლის ჩარჩოებში გამომუშავებული იყო გაცვლის ძირითადი პრობლემების გადაწყვეტის ტრადიციული საშუალებები, აჩენს წინააღმდეგობას. ეს უკანასკნელი შეიძლება შესუსტდეს ყველა შეზღუდვის გარდაქმნით ორივე მიმართულებით. სწორედ ამ შემთხვევაში მიღწევა ახალი წონასწორობა, გაცილებით ნაკლებად რევოლუციური, ვიდრე გარდაქმნათა რიტორიკაა.

## 1. საკუთრების უფლება

საკუთრების უფლება შეიძლება გამოვიკვლიოთ ფორმალური და მატერიალური თვალსაზრისით. ერთის მხრივ, იბადება კითხვა, განსაზღვრულია თუ არა, და რამდენად არის განსაზღვრული, საკუთრების უფლება. მეორეს მხრივ, ის შეიძლება განვიხილოთ მატერიალური თვალსაზრისით. საკითხი მდგომარეობს იმაში, თუ რამდენად შეიძლება ამ უფლების რეალიზება და ამით, ფაქტიურად, მოქმედების შესაძლებლობის გამოყენება. საკუთრების უფლების რეალიზების არასაკმარისი შესაძლებლობა, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების არასაკმარისად სრულ არსებობასთან ან საერთოდ არარსებობასთან, საზოგადოდ განუსაზღვრულობასთან და ზოგჯერ - პორიზონტალური და გერტიკალური სახელისუფლებო უფლებამოსილების არასაკმარისად მკვეთრ გამოჯვნასთან.

ჩვეულებრივ, საკუთრების უფლების განსაზღვრას და შინაარსობრივ დადგენას ახორციელებს სახელმწიფო, ვთქვათ, კონსტიტუციის დებულებით, კანონებით და სხვა აქტებით. მაგალითად, კერძო საკუთრების უფლება ყველა თავისუფალი ქვეყნის ძირითადი კანონით არის განსაზღვრული. საკუთრების უფლების რეალიზების მატერიალური ასპექტი, პირიქით, შედგება საკუთრების ფორმალური ტიტულის უფლებიანი გამოყენების შესაძლებლობისაგან, როგორც სხვა ინდივიდებთან მიმართებაში, ისე სახელმწიფოსთან დამოკიდებულებაში. ეს ნიშნავს, რომ ფაქტიურად შეიძლება არ იქნას დაშგებული საკუთრებით სხვა პირების მიერ სარგებლობა. ამასთან, დამოუკიდებელი სამართლებრივი სისტემა უფლებას აძლევს ადამიანს, მშვიდობიანი გზით დაიცვას თავისი უფლებები სხვა პირის მიერ უკანონო ქმედების დროს ან ასეთის მცდელობისას.

ამიტომ საკუთრების უფლების რეალიზებისას დიდი მნიშვნელობა აქვს დამოუკიდებლად მოქმედ სამართლებრივ სისტემას და ეფექტურ სახელმწიფოებრივ მართვას. დემოკრატიულ ქვეყნებში სახელმწიფოს, თავისი უზენაესი მდგომარეობის გამო, ხელისუფლებაზე ლეგიტიმური მონოპოლია აქვს. ეს მონოპოლია დაკანონებულია დემოკრატიული თამაშის წესებით და მოსახლეობის აქტიური მონაწილეობით. ადმინისტრაციული ორგანოები და პოლიცია იმ ინსტრუმენტების როლს ასრულებენ, რომელთა საშუალებითაც, თუ ეს აუცილებელია, სახელმწიფოს, ცალკეული პიროვნების წინააღმდეგობის მიუხედავად, შეუძლია საკუთრების უფლების რეალიზება და, ამგარად, ახორციელებს ამას იძულების წესით.

ამავე დროს, სახელმწიფოს და მისი წარმომადგენლების ეს უზენაესი ლეგიტიმური მონოპოლია თავად ხელისუფლების ბოროტად გამოყენების დიდ საშიშროებას მოიცავს (მაგალითად, სახელმწიფოს წარმომადგენელთა პირადი მიზნებისთვის, ე.ი. არა დანიშნულების მიხედვით, არამედ მოქალაქეთა ნების წინააღმდეგ). ამ გაორებად ფუნქციას ჩიკაგოს ეკონომიკური სკოლის წარმომადგენელი დ.კ. ნორტი სახელმწიფოს ორლესულ იარაღს უწოდებდა.

საქართველოს სინამდვილეში, ყოველ ნაბიჯზე შეიძლება შეგვხდეს ორგანიზაციები, რომელთა მართვის და ფლობის ფორმა (შერეული - სახელმწიფო და კერძო - სახით) თითქოს ჯდება საკანონმდებლო ჩარჩოში, მაგრამ რეალურად საქმე გვაქვს პოსტსაბჭოური საკუთრების ფორმის რეციდივებთან, როდესაც ორგანიზაციის სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული წილი ფაქტიურად დირექტორატის განკარგულებაშია და საკუთარი ინტერესების დაქმაყოფილებას ემსახურება. შედეგად წარმოიქმნება ინტერესთა კონფლიქტი, რომელიც კორუფციის ფორმალურ საფუძვლად იქცევა.

მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ საკუთრების უფლების განსაზღვრისას (რაც უფრო აშკარად ჩანს ამ უფლების ყოველდღიური რეალიზებისას) გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამართლებრივ, პოლიტიკურ და ეკონომიურ წესრიგს, ასევე სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელთა ქცევას. როგორც ნაჩვენები იქნება, საკუთრების ფორმალური ტიტული, მისი ფაქტიური განხორციელების რეალური შესაძლებლობის გარეშე, საერთოდ არაფერს არ წარმოადგენს. გარდა ამისა, სახელმწიფოს მიერ საკუთრების ფორმების რეალიზება, მესაკუთრის ვინაობის მოუხდავად, არის კანონის წინაშე ინდივიდების გათანაბრების მნიშვნელოვანი წინაპირობა და ფორმალური სამართლიანობის ცენტრალურ ელემენტს წარმოადგენს; სხვანაირად ამას სამართლის პრინციპის ბატონობას უწოდებენ.

## 2. ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტები და ტრანსაქციზური დანახარჯები

ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტების ურთიერთშესაბამისობისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ამასთან დაკავშირებულ ტრანსაქციზურ დანახარჯებს, ვინაიდან არც ეკონომიკური ქცევა, არც ინსტიტუციური ქმედების სწორად გაგება არ შეიძლება ტრანსაქციზური დანახარჯების გარეშე. ლიტერატურაში ასეთ დანახარჯებში ზოგადად იგულისხმება დანახარჯები წესების სისტემის მომზადებასა და გამოყენებაზე, რამდენადაც მან უნდა უზრუნველყოს მეურნეობითობა შრომის განაწილების ხარჯზე. ტრანსაქციზური დანახარჯები შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც დანახარჯები საკუთრების უფლების გაცვლაზე.

ინსტიტუტების ფორმირებას საფუძვლად უდევს მოქმედი პირების მიერ ინფორმაციის დამუშავება, როგორც დანახარჯების არარსებობის შედეგი. საკითხის არსი მდგომარეობს იმაში, რომ შეფასებული იყოს რაციონალურობის მნიშვნელობა და გაცვლის მახასიათებლები, რაც საშუალებას არ მისცემს მოქმედ პირებს, მიაღწიონ მაქსიმალურ ჯამურ შედეგს ნულოვანი ტრანსაქციზური დანახარჯების მქონე გაცვლის მოდელის ჩარჩოებში.

ტრანსაქციზური დანახარჯები წარმოიქმნება იმის შედეგად, რომ ინფორმაციას აქვს ფასი და ასიმეტრიულად არის განაწილებული გაცვლის მხარეებს შორის. ამის გამო მოთამაშეების მიერ ინსტიტუტების ფორმირების ნებისმიერი მოქმედების შედეგი, ურთიერთქმედების სტრუქტურირების მიზნით, არის ბაზრის არასრულყოფილების ხარისხის გაზრდა. ეფექტი ის გახლავთ, რომ ინსტიტუტების მიერ გენერირებული გამღიზიანებელი სტიმულები გაცვლის მონაწილეებს შორის შერეულ სიგნალებს გადასცემენ და ამიტომ იმ შემთხვევაში, როდესაც ახალი ინსტიტუციური სტრუქტურა უფრო მეტად უწყობს ხელს გაცვლის სარგებლის მიღებას, ვიდრე ძველი, წარმოიქმნება მოტყუების სტიმულები, "უბილეთო მგზავრად" ქცევის სურვილი და ა.შ. ამას კი მივყავრთ ბაზრის არასრულყოფილების ხარისხის გაზრდამდე.

წარმატებული ეკონომიკური განვითარების მაგალითების აღწერისას შესაძლებელი ხდება ტრანსაქციზური დანახარჯების შემცირება, ანუ გაცვლისგან მეტი სარგებლის მიღება. შედეგად ხდება ბაზრის გაფართოება და გაფართოებული ბაზრის მახასიათებლები თავსდება ინსტიტუციური განვითარების ჩარჩოებში. მაგრამ ასეთი ინვაციები, ნეოკლასიკური საკუთრების მოდელის თანახმად, უმრავლეს შემთხვევაში, არ ქმნიდნენ ეფექტური ბაზრის ჩამიყალიბების საშუალებას. პოლიტიკა განსაზღვრავს უფლებებს ბაზარზე და ამულებს აგენტებს მის დაცვას, ხოლო პოლიტიკური ბაზრის მახასიათებლები შეიძლება გამოყენებული იქნას ბაზრის არასრულყოფილების გაგებისათვის.

ზუსტად ისევე, როგორც ეკონომიკური ბაზრის ფუნქციონირების ხარისხი შეიძლება გაიზომოს მაჩვენებლით, რომლის შესაბამისად კონკრეტული სტრუქტურა არბიტრაჟით და ეფექტიანი უკუკავშირის

გზით იმიტაციას უკეთებს ან მიახლოებულია ნულოვანი ტრანსაქციზური დანახარჯების პირობებთან, პოლიტიკური ბაზრის უფლებითობის იზომება:

- კონკურენტული კანდიდატების მიერ შემოთავაზებული პოლიტიკური პროგრამების შესაბამისობით, რომლის შედეგი ამომრჩეველთა კეთილდღეობის ზრდაა თვით ამ უკანასკნელთა შეფასებით; კანონმდებლების მიერ მიღებული კანონების შესაბამისობის ხარისხით (მარეგულირებელი წესები);
- კერძო მოგების მაქსიმალიზების ამოცანით (რომელიც რეგულირდება გაცვლაში მონაწილე მსარეების მიერ) და
- კანონმდებლების და ამომრჩევლების დარწმუნების ხარისხით (როგორც მარეგულირებელი ზემოქმედებით, რადგან პერსპექტივაში მიღებული უნდა იქნას შესაბამისი კომპენსაცია).

თუ დავეყრდნობით ეკონომიკური თეორიის ძირითად დებულებებს (კერძო, ინდივიდების სწრაფვას, რაციონალური ქცევით მიიღონ მაქსიმალური სარგებელი), რომ ადამიანების ქცევა განპირობებულია როგორც იმით, თუ რას ანიჭებენ ინდივიდები უპირატესობას, ისე ამ ქცევის შესაძლებლობების და შეზღუდვების განმსაზღვრული ინსტიტუციური სტრუქტურების ზეგავლენით. რადგანაც (მეთოდოლოგიური მოსაზრებით) ვარაუდობენ, რომ ცალკეული სამეურნეო სუბიექტების ინდივიდუალური მისწრაფება, ძირითადად, სტაბილურია, მათი ქცევის თავისებურება შეიძლება ავხსნათ არსებული ინსტიტუციური სტრუქტურების სტიმულირებით. ამის შედეგად სამართლიანია გაკეთდეს პირუკუ დასკვნაც - გარკვეული ინსტიტუციური სტიმულების არსებობისას შეიძლება ვიწინასწარმეტყველოთ ინდივიდების სხვა ტენდენციები.

საზოგადოდ, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ინსტიტუციური განვითარების ყველა თეორია თანხმდება ორ ფუნდამენტურ პოზიციაზე:

- ინსტიტუტები ახდენენ ისტორიის ფორმირებას;
- ისტორია ახდენს ინსტიტუტების ფორმირებას.

სწორედ ამიტომ ახალ ინსტიტუციურ ეკონომიკაში წინა პლანზე დგება ინსტიტუციონალიზმის საზოგადოებრივი არსის შესწავლის საკითხი. თუ მოქმედების წესები ქცევის რეგულირების ფუნქციას ასრულებს, აქედან გამომდინარეობს, რომ შეიძლება შევაფასოთ და ვაწინასწარმეტყველოთ ინდივიდების ქცევა (უკიდურეს შემთხვევაში, ტენდენცია მაინც). ამგვარად, ინდივიდების ასეთი ქცევით ხდება მოლოდინის სტაბილიზების მიღწევა და ამით - საზოგადოებაში განუსაზღვრულობის რეაქციის შემცირება. ამიტომ სახელმწიფოს მიერ დაწესებული ქცევის წესები, უპირველეს ყოვლისა, მდგომარეობს ინდივიდუალური ქცევის მიმართვაში წინასწარგანსაზღვრულ "არხებში" და ამის საშუალებით საზოგადოების სტაბილურობისთვის არსებული საფრთხის მინიმუმამდე დაყვანაში.

სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ქცევის ისეთი წესების შემოღება ყველასათვის და ცალკეული ინდივიდებისათვის, რომელთა საშუალებითაც ცალკეული ინდივიდების მოლოდინის სტაბილიზება გრძელვადიანი, თანმიმდევრული და წინასწარ განჭვრეტადი იქნება აღნიშნული პოლიტიკის დახმარებით. პოლიტიკის სფეროში სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპია, ხელი შეუწყოს სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელთა კანონმოშიშობის დაფუძნებას და შედეგად სახელმწიფო პოლიტიკის ამოცანების ზუსტ შესრულებას. ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ე.წ. ლეგალური ან არალეგალური ინტერესთა ჯგუფების არსებობას.

### 3. ინტერესთა ჯგუფები და რენტულორინტირებული ქცევა

ინტერესთა ჯგუფი არის ინდივიდების ფორმალური და არაფორმალური გაერთიანება ერთი საზოგადოებრივი ჯგუფის ფარგლებში, რომელიც პრინციპში გამოხატავს თითოეული ინდივიდის მსგავს ინტერესებს. ინდივიდები მაშინ ერთიანდებიან ინტერესთა ჯგუფებში, როდესაც მათვის აუცილებელია საკუთარი პოლიტიკური ინტერესების რეალიზება და განაწილებისაგან უპირატესობის მიღება.

არალუგალურ ინტერესთა ჯგუფს ძირითადად შეადგენენ ორგანიზებულ დამნაშავეთა ბანდები, რომელთაც ხშირად ადარებენ იტალიურ მაფიას ან დანაშაულებრივ სინდიკატებს, მათი მნიშვნელობის და ორგანიზებულობის მიხედვით.

მაგალითად, საქართველოში ძირითად საზოგადოებრივ ინტერესთა ჯგუფებს დღეისათვის წარმოადგენს კონსტიტუციური ორგანოების წარმომადგენლები - პირველ რიგში, დიდი ძალაუფლების მქონე პრეზიდენტი და ძლიერი აღმასრულებელი ხელისუფლება, ყოფილი ნომენკლატურული პოლიტიკოსები, ძველი კომუნისტური სისტემის მოხელეები და პარტიული ფუნქციონერები, საკანონმდებლო ხელისუფლება პარლამენტის სახით და პოლიტიკური პარტიები.

\* \* \*

საზოგადოების რენტულორიენტირებული ქცევის კონცეფცია იძლევა თეორიულ ინსტრუმენტს, რის საშუალებითაც შეიძლება განაწილების სფეროს საზოგადოებრივი კონფლიქტის გამოკვლევა. რენტულორიენტირებულ ქცევაში გამარტივებულად მოიაზრება მრავალგვარი ძალისხმევა, მიმართული რესურსების საბაზრო განაწილებაში სახელმწიფო ჩარევის განსახორციელებლად - ხელოვნურად შექმნილი რენტის სახით მოგების მითვისების მიზნით. ამ კონცეფციის უფრო ფართო გაგებისას აუცილებელია, ძირითადი ფურადღება იმ მოგებას დაეთმოს, რომელიც პოლიტიკური მხარდაჭერის შედეგად მიიღება.

რენტულორიენტირებული ქცევის კონცეფციის ამოსავალია გ. ტულოკის და ა.ო. კრიუგერის თეორია ეკონომიკური რეგულირების და კონკურენციის სფეროდან. იგი დაფუძნებულია სამეურნეო პროცესში დისკრეციული სახელმწიფო ჩარევის დროს საზოგადოებრივი დანახარჯების ანალიზზე (მაგალითად, სახელმწიფო მონიპოლიის ფორმით). რენტად (შემოსავლად) ითვლება გადასახადები რესურსებზე უფლების ფლობისთვის; ეს შემოსავალი აჭარბებს რესურსების არამონოპოლიური გამოყენებისას მიღებულ შემოსავალს. რენტა, უპირველეს ყოვლისა, წარმოიქმნება იქ, სადაც სახელმწიფო ჩარევას და რეგულირებას პირდაპირ ან ირიბად მივყავართ ფასების და კონკურენციის პირობების დამახინჯებასთან და ამ გზით სახელმწიფოსგან შემოსავლის და გადახდის მიღებასთან. ამგვარად, სწორედ სახელმწიფო მოხელეების და პოლიტიკოსების ჩარევა ქმნის ახალ და ცვლის უკავე არსებულ საკუთრებით ურთიერთობებს, რომლებიც დაკავშირებულია რენტის ამოღებასთან.

ნომენკლატურა ცდილობს, ცხოვრების ყველა სფეროზე აბსოლუტური კონტროლი დააწესოს და გააკონტროლოს ყველაფერი, დაწყებული ჭეშმარტებაზე მონიპოლიიდან და დამთავრებული ე.წ. "ბლატიანი" შემსრულებლისათვის კანალიზაციის სისტემის შეკეთების თაობაზე დაკვეთის მიცემით.

ამ პოზიციებისთვის მიმდინარეობს ბრძოლა როგორც ცალკეულ პირებს (ინდივიდუალური რენტულორიენტირებული ქცევა), ისე ორგანიზებულ ჯგუფებს შორის (კოლექტიური რენტულორიენტირებული ქცევა).

ამასთან დაკავშირებით, რენტულორიენტირებული ქცევა, პრინციპში, ნიშნავს შემოსავლის მიღებისთვის (სტაბილური პოლიტიკური რენტის მისათვისებლად) პოლიტიკური შესაძლებლობების გამოყენებას, ხოლო მოვების მიღებაზე ორიენტირებული ქცევა, პირიქით, ნიშნავს შემოსავლების ამოღების ეკონომიკური შესაძლებლობების გამოყენებას დროებითი ეკონომიკური რენტის მისაღებად.

დღოთა განმავლობაში რენტულორიენტირებული ქცევის ცნება უფრო ფართო გახდა. იგი აისახა ჯ. ბიუქენის განსაზღვრაში: "ტერმინი "რენტულორიენტირებული ქცევა" ემსახურება ქცევის საზოგადოებრივი ინსტიტუტებით ახსნას, სადაც ფასის მაქსიმალიზების ინდივიდუალური ძალის სხვა იწვევს სოციალურ დანაკარგებს და არა შენაძენს". სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფის მოქმედების საგანი არის არა მარტო მონოპოლური მოგება ან რენტა, არამედ სახელმწიფოს მიერ წარმოდგენილი ყველა სახის მოგება და პირდაპირი პრივილეგიები, რომელებიც რეალიზდება ეკონომიკური ბაზრის პირობების დამახინჯებით, პოლიტიკური და ბიუროკრატიული საშუალებებით. შესაბამისად, საუბარია შემოსავლის ყველა სახეზე ან განსაკუთრებულ პრივილეგიებზე, რომელებიც იქმნება არა ეკონომიკური ბაზრით, არამედ ნაწილდება პოლიტიკის საშუალებით.

თუ დაგუშვებთ იმას, რომ პოლიტიკოსები და მოხელეები იქცევიან, როგორც კორუფციონერები და ამით გადალახავენ მოქმედების ლეგიტიმურ საზღვრებს, კორუფცია შეიძლება განვიხილოთ, როგორც არალეგალური რენტულორიენტირებული ქცევის ფორმა. ამიტომ სახელმწიფო კორუფცია შეიძლება განსილული იქნას, როგორც ჩარევა საკუთრების უფლებაში ან ამ უფლებაზე ზეგავლენა და ამით არალეგალური შემოსავლების მიღების პოლიტიკური შესაძლებლობების წარმოქმნა. პოლიტიკოსებს და მოხელეებს შეუძლიათ გამოიყენონ თავიანთი მნიშვნელოვანწილად არაკონტროლირებადი უზენაესი ძალაუფლება იმისთვის, რომ საკუთარი შეხედულებით ახლებურად (ან სხვაგვარად) განსაზღვრონ საკუთრების უფლება - როგორც უწინდელ სახელმწიფო წარმოებებზე, ასევე კერძო საკუთრებაზე. ამიტომ სახელმწიფო კორუფციას განიხილავენ, როგორც საკუთრების უფლების არალეგალურ ბაზარს, სადაც სახელმწიფო თანამდებობის პირები საკუთარი მიზნებისთვის არალეგალურად ყიდიან სახელმწიფო საკუთრების განკარგვის უფლებას.

ლეგალური და არალეგალური რენტულორიენტირებული ქცევის ცნება მნიშვნელოვან გასაქანს იღებს, როცა მოგების მიღების პოლიტიკური შესაძლებლობა ეკონომიკურზე მეტი და მომგებიანია. თუ ინსტიტუციური გარემო (მაგალითად, პოლიტიკური სისტემა და პოლიტიკური კულტურა), სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკა ხელს უწყობს იმას, რომ შემოსავლების მიღების პოლიტიკური შესაძლებლობები აჭარბებს ეკონომიკურს, ამას მივყავართ არასასურველ შედეგებამდე - მთელ საზოგადოებაში არაპროდუქტიული რენტულორიენტირებული ქცევა მეტია, ვიდრე მოგების მიღებაზე ორიენტირებული პროდუქტიული მოღვაწეობა.

ლეგალური და არალეგალური რენტულორიენტირებული ქცევა პირდაპირ არის დამოკიდებული პოლიტიკოსების და მოხელეების ძალაუფლების მასშტაბზე და ხასიათზე, ასევე მათ შესაძლებლობებზე გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების სფეროში. ამიტომ რენტულორიენტირებული ქცევის ფართო გავრცელებას შეიძლება ველოდოთ იმ ქვეყნებში, სადაც მიმდინარეობს კერძო წარმოების აქტიური სახელმწიფო რეგულირება, არსებობს მრავალრიცხოვანი სახელმწიფო მმართველი აპარატი. პირველ რიგში, საუბარია ეკონომიკის ცენტრალიზებული მართვის ძველი ტრადიციების მქონე ქვეყნებზე, რომელთა ეკონომიკური სისტემა დაფუძნებულია ფართო დისკრეციულ ხელისუფლებაზე და ხანგრძლივ პირად ურთიერთობებზე.

აქედან გამომდინარე, ბუნებრივია რომ მესამე სამყაროსა და გარდამავალი პერიოდის სახელმწიფო სისტემები (იგულისხმება ცალკეული ინტერესთა ჯგუფები) წავლენ დანახარჯებზე იმისათვის, რომ "პოლიტიკურ ბაზარზე" საკუთრების უფლების ცვლილებით მიითვისონ ეკონომიკური უპირატესობები.

ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ ამ ქვეყნებში ჭარბობს მოგების მიღების პოლიტიკური შესაძლებლობების ინმანენტური სისტემები. განსაკუთრებით საინტერესოა ასეთი სოციუმების "რენტულორიენტირებული ქცევის საზოგადოებად" გარდაქმნის პროცესები. თუ არსებული პოლიტიკური და ბიუროკრატიული პირობები ცალკეულ სამეურნეო სუბიექტებს ან საზოგადოებრივ ჯგუფებს

მატერიალურ კეთილდღეობას პპირდება, მაშინ, როგორც ჩანს, სავსებით რეალურია ვივარაუდოთ, რომ ეს უკანასკნელი წავლენ დანახარჯებზე და ყველა ღონეს იხმარენ იმისათვის, რომ "პოლიტიკურ ბაზარზე" საკუთრების უფლებათა ცვლილებებით მიითვისონ ეკონომიკური უპირატესობები. რადგან ამასთან დაკავშირებით საზოგადოებრივი რენტულორიენტირებული ქცევა მნიშვნელოვანწილად არის განპირობებული ინსტიტუციური საზოგადოებრივი გარემოთი, ამ მოვლენის შესწავლისას აუცილებელია ქვეყნის პოლიტიკური კულტურის და პოლიტიკური სისტემის გათვალისწინება.

#### 4. პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირების საშუალებები

ავტორიტარულ პოლიტიკურ სისტემებში, ამ ტიპის პოლიტიკური სისტემის ფუნქციონალური მოთხოვნის გამო, მმართველ პოლიტიკოსებს უხდებათ რეგულარული ბრძოლა როგორც საკუთარი თავის გადასარჩენად, ისე ძლიერი საზოგადოებრივი ჯგუფების პოლიტიკური მხარდაჭერის მოსაპოვებლად. ამისათვის ისინი ხშირად ახდენენ უშუალო მატერიალური შეღავათების გაცვლას პოლიტიკური მხარდაჭერის სანაცვლოდ. გაცვლას, რომელიც ითვლება სახელმწიფოს და ლეგიტიმაციის პრინციპულ ავტორიტარულ ლეგიტიმურ სტრატეგიად. ავტორიტარული პოლიტიკური სისტემის სტაბილიზაციის მიზნით და საკუთრივ მმართველი პოლიტიკური ძალაუფლების შესანარჩუნებლად, ცხადია, გამოყენებული იქნება მიზანმიმართული სახელმწიფო გადანაწილების პოლიტიკა (პირველ რიგში, განსაკუთრებული პოლიტიკა ინტერესების ჯგუფებთან მიმართებაში).

ავტორიტარული პოლიტიკური სისტემების ამ ფუნქციონალური მოთხოვნებიდან გამომდინარეობს, რომ მმართველმა პოლიტიკოსებმა და მოხელეებმა უნდა აწარმოონ (და აწარმოებენ კიდეც) ბრძოლა თავისი უფლებების ნებისმიერი შეზღუდვის, და ამით საკუთრების ინდივიდუალური უფლების ნებისმიერი ცვლილების შესაძლებლობის, წინააღმდეგ, თავისთვის დაიტოვებენ რა ამ შესაძლებლობათა ახლებურად განსაზღვრის ან საკუთარი ძალაუფლებით მათი მოტივირებული ცვლილების უფლებას. ამიტომ ავტორიტარული პოლიტიკური სისტემები, პრინციპში, შეუთავსებელია როგორც დემოკრატიულ კონტროლთან, რომელიც ხელისუფლების გაყოფის პრინციპზე დაფუძნებული, ისე სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობის პრინციპთან, რომელიც ადამიანის შემზღვდავი ძალაუფლების ნაცვლად ამკიდრებს სამართლის წინასწარდაგეგმილ ბატონობას.

აქედან აუცილებლად გამომდინარეობს დასკვნა, რომ პოლიტიკოსებმა და მოხელეებმა ეკონომიკაში არ უნდა დაუშვან არაპერსონიფიცირებული საბაზრო მექანიზმები, მუდამ უნდა მიისწრავოდნენ, პერსონიფიცირება და პოლიტიზირება გაუკეთონ რაც შეიძლება მეტ საზოგადოებრივ გადაწყვეტილებას და ამით ისინი საკუთარ თავთან დამოკიდებულებაში მოაქციონ. ჯერ კიდევ 1513 წელზე ნ. მაკიაველი წერდა, რომ "ხელისუფლების ბატონობის მთავარი ელემენტი უნდა იყოს სახელმწიფოს თვითნებობის და არა წინასწარგანჭვრეტის გარკვეული ზომა".

ბიუროკრატიულ იერარქიაში ქვედა დონის წარმომადგენელთა მიმართ ზედა დონის წარმომადგენლის მიერ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისას სრულიად მისაღებია მ. კროზეს განსაზღვრა - "A მართავს B-ს იმდენად, რამდენადაც A-ს შეუძლია გამოიცნოს B-ს შემდგომი ქმედება, ხოლო B გაურკვეველია A-ს შემდგომ ქმედებასთან დაკავშირებით."

პისტინდუსტრიულ სამყაროში (საფრანგეთი და სხვ.) ბიუროკრატიული იერარქიული კიბის სხვადასხვა საფეხურზე მდგომ ჩინოვნების შერის შესაძლებელი კონფლიქტების დასაძლევად უკვე შექმნილია სპეციალური სამსახურები - ერთობლივი საბჭოები რიგით თანამშრომლებისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელთა მონაწილეობით, რომლებიც წავეტენ ხელმძღვანელობის მიერ ხელქვეთოთან დაკავშირებული ამა თუ იმ გადაწყვეტილების სისწორეს.

მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი თანდათან სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობს აღნიშნულ საკითხს. გაერო-ს შესაბამისმა სტრუქტურებმა მიიღეს მთელი რიგი ისეთი საერთაშორისო დოკუმენტებისა, როგორებიცა:

- 1948 წლის კონვენცია გაერთიანებათა თავისუფლების შესახებ;
  - 1949 წლის კონვენცია პროფესიონალური მოღაპარაკების უფლების შესახებ;
  - 1958 წლის კონვენცია შრომის დისკრიმინაციის შესახებ.
- 1978 წელს მიღებულმა სპეციალურმა კონვენციამ 1949 წლის კონვენციის მოქმედების სფერო გაავრცელა სახელმწიფო მოხელეებზეც.

ეს პრინციპი, მართალია, ხშირად ქვეშეცნეულად, მაგრამ კარგად იციან ნომენკლატურის წარმომადგენლებმა. მათი მცდარი ან უკანონ მოქმედების მიზეზია არა ინფორმაციის უქონლობა ან დაბალი კვალიტეტიკაცია, არამედ შიში ყოველგვარი სიახლის წინაშე. ამიტომ საფუძველშივე მცდარია თეზისი იმის შესახებ, რომ თუ სახელმწიფო აპარატს საქმიანობის პრინციპებს დავანახებთ და გავანათლებთ, ისინი კარგად იმუშავებენ. ზემოთქმული, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ ხელადებით უარვყოთ სახელმწიფო მოხელეთა კვალიტეტიკაციის ასამაღლებლად მიმართული საქმიანობა. პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ განვსაზღვროთ - ნომენკლატურის მცდარ ქმედებაში რა ხდება არაკვალიფიციურობის შედეგად და რა - წინასწარგანზრახულად.

ამასთან დაკავშირებით ბიუროკრატიას შეუძლია მხარი დაუჭიროს "საკუთარ ყოვლადკომპეტენტურობას" ყველა ძირითადი საკითხების გადაწყვეტაში და უზრუნველყოს თავისი მოქმედების მინიმალური წინასწარგანჭვრეტა (რაც აუცილებელია ხელისუფლების განხორციელების თვალსაზრისით). ამგვარად, სტატისტიკური კუთხით, რენტულორიენტირებული ქცევა არის უკვე არსებულ შემოსავალზე (რენტაზე) საზოგადოებრივი ბრძოლის გამოხატულება. დინამიკაში იგი ასახავს ძალისხმეულ ჯერ თავდაპირველი პირობების ხელოვნურად შესაქმნელად (რომლებიც შემოსავლების მიღებას სახელმწიფოს ჩზით ჰქით ჰპირდება), შემდეგ კი პოლიტიკური საშუალებებით განპირობებული დივიდენდების მისათვისებლად ან უკვე მიღწეული მდგომარეობის დასაცავად.

შემოსავლების განაწილების საზოგადოებრივი დინამიკა გამომდინარეობს იქიდან, რომ ცალკე აღებული სახელმწიფო ღონისძიება და მასთან დაკავშირებული პრივილეგიები - შემოსავლების პირდაპირი მიცემით ან კონკურენტული უპირატესობით - წარმოშობს რენტულორიენტირებული ქცევის მრავალ სხვა ფორმას. შედეგად წარმოიქმნება მრავალრიცხოვანი საზოგადოებრივი ჯგუფები, რომლებიც ახალ პრივილეგიებს მოითხოვენ პოლიტიკოსებისაგან და მოხელეებისაგან. ეს უკანასკნელნი, თავის მხრივ, დათმობაზე მიღიან იმ ინტერესთა ჯგუფების მიმართ, რომლებზეც არის დამოკიდებული მათი ძალაუფლება ავტორიტარული რეჟიმის ჰირობებში. შედეგად წარმოიქმნება "გამყიდველების" და "მყიდველების" დინამიური ურთიერთქმედება, რაც რეგულირდება სახელმწიფოს მიერ და იძლევა სახელმწიფოს ჩარევით მიღებული მოგების მითვისების გარანტიას. ურთიერთობის ეს ფორმა ხელს უწყობს ავტორიტარული პოლიტიკური სისტემის სტაბილიზებას და არსებული ხელისუფლების შენარჩუნებას. საეჭვოა, რომ ასეთმა სისტემამ შექმნას ეკონომიკური ზრდისა და საზოგადოებრივი განვითარებისათვის საჭირო სტიმულები.

*"Подарки создают рабов,  
как кнуты собак."  
ესკიმოსური ანდაზა*

#### IV. კრიზისის მიზეზები და დაძლევის გზები

ახლა ვნახოთ, რამდენად არის ურთიერთგადაჯაჭვული კლიენტელური ურთიერთობები და ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობის პროცესი.

როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, საჭიროა ცალ-ცალკე იქნას განხილული საზოგადოების, პოლიტიკური ელიტისა და სახელმწიფო აპარატის დამოკიდებულება არსებული საკითხისადმი. ამავე დროს, საჭიროა გავაანალიზოთ როგორც არსებული საკანონმდებლო ბაზა, ისე უმთავრეს აგენტთა (იგულისხმება გადაწყვეტილების მიმღები უმაღლესი ეშელონი) მენტალობის ტიპი, მათი სოციალური წარმოშობიდან თუ ადრეული გამოცდილებიდან გამომდინარე.

ზემოთ უკვე განხილული იყო კლიენტელიზმი და ინსტიტუციონალიზმი, როგორც საყოველთაო უნივერსალია, მაგრამ თეორიისათვის ბრძად მიძღვა ამ შემთხვევაში სახიფათოა, ვინაიდან თეორიები ქმნის საზოგადოების და, შესაბამისად, ბიუროკრატის, იდეალურ სქემას. რეალობა, როგორც წესი, შორს დგას იდეალური მოდელისაგან და ჩვენს მიზანს სწორედ ლოკალური თავისებურებების მომცველი სურათის დადგენა წარმოადგენს შედარებითი ანალიზის გამოყენებით.

დღეისათვის უკვე აშკარაა, რომ საზოგადოების ეიფორიული იმედი იმასთან დაკავშირებით, რომ საბჭოთა კავშირის დაშლითა და საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარირებით რეალიზდებოდა თავისუფალი და აყვავებული სახელმწიფო, რბილად რომ ვთქვათ, არ გამარლოდა.

ერთ-ერთი უმთავრესი შეცდომა, რომელიც კომუნისტური იდეოლოგიის ოპონენტებმა დაუშვეს, ის იყო, რომ ტოტალიტარიზმის ნგრევა თავისთვად იქნა გაიგივებული დეტატიზაციასთან.

აღნიშნული მოსაზრება კი საფუძველშივე მცდარია, ვინაიდან თუმცა ნომენკლატურის ბატონობის დამხობა ძალაუფლების პრივატიზაციას იწვევს, მაგრამ იგი არ ქმნის სახელმწიფოს. დღეისათვის საქართველოში, ფაქტობრივად, ურთიერთობის ფეოდალიზაცია მოხდა. კლიენტელური ურთიერთობების არააზულმა გაძლიერებამ თუ ლეგიტიმაციამ ქართული საზოგადოების ყველა ფენა მოიცვა.

ზემოთქმული არ ნიშნავს იმას, რომ ქართული სახელმწიფოს კრიზისის ერთადერთ მიზეზად მხოლოდ ზემოთ ნახსენები პრობლემა მიგაჩნია. აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული ის გარემოება, რომ სისტემას მხოლოდ კლიენტელურ-ინსტიტუციური ურთიერთობები არ განსაზღვრავს. ცხოვრებისეულ პროცესში მონაწილე აგენტები (მონაწილე მხარეები თუ ცალკეული პირები), როგორც წესი, თავისებურად იაზრებენ და "ითავისებენ" სიტუაციას. ეს კი, თავის მხრივ, იდეალური მოდელისათვის საქმაოდ მოულოდნელ ეფექტებს იწვევს.

საკმაოდ დიდი ხნის გამავლობაში ჩვენში იგნორირებული იყო ის როლი, რომელსაც გადაწყვეტილების მიმღები პირის ცნობიერება ასრულებდა და რაც პირდაპირ აისახებოდა ამა თუ იმ ქმედების შედეგებზე. დღეს უკვე საყოველთაოდ არის აღიარებული, რომ სუბიექტური გადაწყვეტილებების ფაქტორი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს არა მარტო რომელიმე ისტორიული მოვლენის შეფასების, არამედ თანამედროვე სოციალური, ეკონომიკური თუ პოლიტიკური მოძღვრებების რეალიზების პროცესში.

სწორედ ამ ფონზე მიმდინარეობს სოციალური ურთიერთობები, ერთის მხრივ, საზოგადოების ელიტარულ ნაწილსა და "უბრალო" მოსახლეობას, ხოლო, მეორეს მხრივ, თვით "ელიტაში" შემავალ ჯგუფებს შორის.

ამ მოვლენას საფუძველი კერ კიდევ სოციალისტური რეჟიმის დროს ჩაეყარა. ერთობა "საბჭოთა ხალხი," ფაქტობრივად, პატრიმონიულ საზოგადოებას წარმოადგენდა: ზედა ფენას ქმნიდა პატრინი - ნომენკლატურა, ქვედას კი - კლიენტელა - მოსახლეობის ფართო ფენები.

დღეისათვის ანალოგიური ურთიერთობების დანახვა შეიძლება როგორც სახელმწიფო აპარატის, ისე ნებისმიერი - სახელმწიფო თუ არასახელმწიფო - ორგანიზიციის განვითარების პროცესში:

- "უფროსები" (მინისტრი, დირექტორი, გამგებელი) ხშირად ავლენენ თავიანთ კეთილგანწყობას მათ დაქვემდებარებულ ორგანიზაციაში დასაქმებულ სტაჟიან თანამშრომელთა მიმართ. ამის ახსნა ხდება "გამოცდილი კადრების" შენარჩუნების ლოზუნგით. "ძელებს" უპირატესობა ენიჭებათ ახალმოსულთა წინაშე, თუმცა ისიც უნდა აღნიშნოს, რომ "ახლადმოსულთა" რაოდენობა მეტად მცირეა. ამგვარი პოლიტიკით ხელმძღვანელი, იცავს რა "თავის ხალხს" უმუშევრობისა თუ გარკვეული სოციალური პრივილეგიების დაკარგვისაგან, აღწევს მათ უსიტყვო მხარდაჭერას იქ, სადაც ეს აუცილებელია უშუალოდ ხელმძღვანელის პირადი ინტერესების განხორციელებისათვის;
- ამავე დროს, მიმდინარეობს ბრძოლა თვით მმართველ ფენაში. დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოს (რესურსების მონოპოლისტი მფლობელის) მხრიდან არა მარტო გარკვეული შედავათების მიღების შესაძლებლობას, არამედ მიღწეული მაღალი პირადი მდგომარეობის სოციალური ლეგიტიმაციის საკითხს. აქ დიდი ყურადღება ექცევა ნებისმიერ ფორმას, დაწყებული კითხვით - შედის თუ არა ესა თუ ის პიროვნება პრეზიდენტის გარემოცვაში არსებული არაარჩევითი სამუშაო ჯგუფების შემადგენლობაში, დამთავრებული - რომელ სუფრასთან და პრეზიდენტთან რამდენად ახლოს იჯდა იგი ამა თუ იმ ოფიციალური მიღების დროს.

სწორედ ანალოგიური ურთიერთობები განსაზღვრავს საზოგადოების პრივილეგირებული ნაწილის ქმედებებს და სწორედ ეს ურთიერთობები წარმოადგენს საქართველოში კლიენტელიზმის მამოძრავებელ ძალას.

ამავე დროს, შეინიშნება კიდევ ერთი კანონზომიერება: რეჟიმის შედარებითი სტაბილიზებისა და ეროვნული მოძრაობის პერიოდში შერყეული ძალაუფლების ხელახლი განმტკიცების შემდეგ უფრო და უფრო ნაკლები ყურადღება ექცევა ურთიერთობის პირები ფორმას (ელიტა-ხალხი) და აქცენტები მეორე ფორმაზე (ელიტა-ელიტა) გადადის.

ახლა ცალ-ცალკე განვიხილოთ საერთოდ საზოგადოების, პოლიტიკური პარტიების, სახელმწიფო ინსტიტუტებისა და ნომენკლატურის ფორმალური და არაფორმალური ქცევის წესები.

## 1. საზოგადოება

უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს საზოგადოებრივი მენტალობისა და სახელმწიფო სისტემის ინსტიტუციური მშენებლობის ურთიერთშემართების პრობლემა.

ისტორიული განვითარების სპეციფიკიდან და პოსტკომუნისტური მენტალობიდან გამომდინარე, კლიენტელური ურთიერთობები საქართველოში ასრულებდა და ასრულებს უმნიშვნელოვანეს როლს, როგორც ყოველდღიურ ცხოვრებაში, ისე ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში.

დღევანდელი ქართული საზოგადოება სათავეს საბჭოური პერიოდიდან იღებს. თუ გავიხსენებთ, რომ საბჭოთა ადამიანის ინდივიდუალობის რეალიზება, მკაცრად სისტემატიზებული ურთიერთობის ჩარჩოებში, მხოლოდ პირად ურთიერთობათა სფეროში ხდებოდა, ადგილი გასაგები გახდება ის გარემოება, რომ კლიენტებურ ურთიერთობებს საზოგადოებრივ მენტალობაში საკმაოდ ღრმა ფესვები გააჩნია.

ქართული საზოგადოება ამ მხრივ კიდევ უფრო მეტად იყო "განვითარებული", ვიდრე რუსული. პიროვნული თავისუფლების შეზღუდვას თან ერთვოდა ეროვნული დისკრიმინაციის მწვავე ვრძნობა. ფაქტია, რომ საქართველოში, ისევე, როგორც სხვა პატარა საბჭოთა რესპუბლიკებში, სსრკ სრულიადაც არ მოიაზრებოდა, როგორც სამშობლო. რა თქმა უნდა, ქართველთა უმრავლესობა თავს საბჭოთა იმპერიის მოქალაქედ ცნობდა, მაგრამ, ამავე დროს, სამშობლოდ საქართველოს თვლიდა და არა სსრკ-ს.

ზემოთქმული იმასაც ნიშნავდა, რომ საბჭოთა სახელმწიფო არ მოიაზრებოდა, როგორც საკუთარი სახელმწიფოებრიობის რეალიზაცია. და ეს განწყობა შეინიშნებოდა ყველა დონეზე, დაწყებული სკპ-ის იდეოლოგიისადმი ორინიულ-ნიპილისტური დამოკიდებულებით (თვით ნომენკლატურას შორისაც კი) და დამთავრებული ფეხბურთის გულშემატკივართა კვაზიპატრიოტული და ანტირუსული განწყობების გამოვლენით.

საზოგადოების აბსოლუტური უმეტესობა სახელმწიფოებრიობის ცნებას მეტად გულგრილად ეკიდებოდა და ცხოვრებისეულ მიზნად პიროვნულ ან ახლობელთა კეთილდღეობაზე ზრუნვა მიაჩნდა. და ვინაიდან ინდივიდუალიზმის გამოვლენა მხოლოდ არაფორმალური ურთიერთობების საშუალებით მიმდინარეობდა, სახელმწიფო სისტემის მოტყუება და კანონისთვის გვერდის ავლა სრულებითაც არ ბადებდა არაეთიკურობის განცდას.

სწორედ აღნიშნული პრინციპი იქცა მასობრივი კლიენტელის იდეოლოგიად. დამკვიდრდა აზრი, რომ "მოჩალიჩები", "უულის მკეთებელმა" დაიმსახურა კარგი ცხოვრება - მთავარია, იყო კლანის, სისტემის ერთგული. არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რა ინტელექტუალური თუ ეთიკური მონაცემები აქვს შენს "ბოს". ამ მოვლენამ ასახვა ჰქონა ეწ. "ფოლკლორულ იდეოლოგიაშიც": პოლიტიკური ანეკდოტების სიმრავლე და დამცნავი დამოკიდებულება ზემდგომთა მიმართ სრულებითაც არ უშლიდა ხელს კლიენტს, ბოლომდე დაუცვა თავისი პატრონის ინტერესები.

ამავე დროს, საზოგადოება, რომელმაც ნებით თუ იძულებით ყველა საკუთარი პრობლემის გადაწყვეტა სახელმწიფოს მიანდო, სრულებით არ უწევდა წინააღმდეგობას სახელმწიფოს მიერ ორგანიზებულ ძალადობას. უფრო მეტიც, სოციალურად ორიენტირებული საზოგადოების პროპაგანდამ და საბჭოთა სისტემის მიერ საზოგადოების ყველა სასიცოცხლო ფუნქციის შესრულებაზე მონოპოლიის დაწესებამ წარმოშვა იღუზია, რომ სახელმწიფო მუდმივად უნდა ასრულოს საზოგადოების საყოფაცხოვრებო მომსახურების აგენტის როლი.

დველი სისტემის ნგრევამ და ქაოსმა ჩვენს ქვეყანაში ჯერ შოკი, შემდეგ კი იმედგაცრუება და უნდობლობა მოიტანა, რამაც კიდევ უფრო გააძლიერა არაფორმალურ ურთიერთობათა როლი.

სოციალური სტრუქტურების რღვევამ და ცალკეული ინდივიდის ინტერესებზე ყურადღების ტოტალურმა გადატანამ ინდივიდები აგენტებიდან (თუნდაც მორჩილი აგენტებიდან) ახალი სისტემის რიგით ფუნქციონერებად აქცია. დაიწყო ანომია (თუ ე. დურკჰეიმის ტერმინს მოვიშველიებთ). ძველი მსოფლმხედველობის კრახმა გამოიწვია საყოველთაო ნიპილიზმი და, უპირველეს ყოვლისა, ნიპილიზმი ნომენკლატურაში.

პარადოქსია, მაგრამ ძველი სისტემის მიმართ ნიპილიზმა, ახლის შენების სურვილის ნაცვლად, საყოველთაო აპათია დამკვიდრა. ნიპილისტური განწყობით დასავლური, მობილური ცხოვრების წესის დამკვიდრების მცდელობა (რომელიც საფუძველშივე უპირისპირდება აპათიასა და ნიპილიზმს) თავიდანვე განწირული იყო.

ამავე დროს იზრდება ინდივიდთა სურვილი, სწრაფვა და აქტივობა სოციალური ურთიერთობებისადმი. ბუნებრივია, რომ ისეთ გარემოში, სადაც სახელმწიფოს არ შეეძლო, სახელმწიფოებრივი "ზრუნვით" ესოდენ განებივრებული მოსახლეობა თუნდაც ელემენტარული საარსებო პირობებით უზრუნველევო, ძველი მენტალობისა და ახალი გარემოებების სიმბიოზმა კიდევ უფრო გააძლიერა ცალკეულ ინდივიდთა მცდელობა, არაფორმალური (იგულისხმება კლიენტელური) ურთიერთობების გზით დაუფლებოდა თუნდაც მინიმალურ სასიცოცხლო რესურსებს.

ეს იყო ძველი სტრუქტურების (მეცნიერება, შემოქმედებითი ინტელიგენცია, ნომენკლატურა) წევრთა კლანური სისტემების შემადგენელ ნაწილებად ტრანსფორმირების პროცესი. უფრო მეტიც, დასახული მიზნების მისაღწევად და დაკარგული ეკრნომიკური თუ სოციალური პრივილეგიების დასაბრუნებლად საზოგადოების პრივილეგირებული ნაწილი არც კრიმინალურ სამყაროსთან კავშირზე ამბობს უარს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კლანური აზროვნება დამახასიათებელია არა მარტო გარკვეული სოციუმისათვის, არამედ დეკლასირებული სტრატებისთვისაც, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ სოციალიზებული მარგინალებისადმი მათ აშკარად შეურიგებელ დამოკიდებულებას.

მოსახლეობის ფართო ფენებისადმი უნდობლობის გრძნობამ ხელი შეუწყო საზოგადოებრივ ურთიერთობათა ახალი ფორმების ჩამოყალიბებას. დედაქალაქის პრივილეგირებულ ნაწილში აღმოცენებული თბლისური ტრაიბალიზმის ("ძირძეველი ქალაქელი", "ნაღდი თბილისელი") რეციდივები სწორედ ქართული საზოგადოების სხვადასხვა სტრატას შორის გაჩენილი სოციალური დაპირისპირების ნიშნად შეიძლება ჩავთვალოთ.

ამავე დროს, პოლიტიკური თუ ეკრნომიკური ელიტა ხვდება, რომ აუცილებელია, გარეგნულად მაინც, მის ხელთ არსებული ძალაუფლების საშინაო თუ საგარეო ლეგიტიმაციაც. სწორედ ამიტომ ბოლო წლებში შეინიშნება არჩევნების, როგორც დემოკრატიული ლეგიტიმაციის საშუალების, როლის ზრდა.

აქვე შევნიშნავთ, რომ აღნიშნული პროცესი სრულებითაც არ ნიშნავს დემოკრატიული აზროვნების წესის დამკვიდების მცდელობას. ლეგიტიმაციის პროცესს მნიშვნელობა აქვს არა საზოგადოებისთვის, არამედ პოლიტიკური მოძრაობებისათვის, რომლებიც ცალკეული კლანური დაჯგუფებების ინტერესებს გამოხატავენ და რომელთათვისაც სადეპუტატო მანდატების მოპოვება სახელმწიფოს ხელთ არსებულ, საკმაოდ შეზღუდულ ყველა სახის რესურსზე კონტროლის აუცილებელ საშუალებად მიიჩნევა.

დღეისათვის საქართველოში არჩევნის უფლება და საარჩევნო უფლების ფორმალური გაფართოება არაფერს ნიშნავს, არსებობს მხოლოდ საარჩევნო ტექნიკის მოქნილობა. რაც შეეხება პრესას, როცა მის თავისუფლებაზე ვლაპარაკობთ, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის არაფორმალური ურთიერთობები, რომლებიც ე.წ. დამოუკიდებულ გაზეთებსა და მათ ფარულ მფარველებს შორის არის დამყარებული.

დებულება, რომ ამომრჩევლების მთელი მასა თავისი სურვილით თავის წარმომადგენელს თავისი საქმისათვის პარლამენტში გზავნის, მანამ რჩება ძალაში, სანამ კიდევ ვერ ხერხდება გარკვეული ჯგუფების ორგანიზება. ამავე დროს, რამდენადაც საყოველთაო საარჩევნო უფლება, იმდენად მცირეა რიგითი ამომრჩევლის გავლენა.

ის მცირერიცხოვანი პოლიტიკური მოღვაწენი, რომელთა მიზანი მართლაც ქვეყანაში ლიბერალური ღირებულებების დამკვიდრებაა, როგორც წინასაარჩევნო ბატალიებში, ისე პარლამენტში (ამ უკანასკნელში მოხვედრის შემთხვევაში) იძულებულნი არიან, ანგარიში გაუწიონ ყოვლისმომცველ კლიენტელურ ურთიერთობებს, შეეგუონ მათ ანდა მთელი თავიანთი დრო და ენერგია კლიანების წინააღმდეგ უშედეგო ბრძოლას შეალიონ.

ო. შპენგლერის სიტყვებს თუ მოვიშველიებთ, "თუ ფულმა არჩევნების დროს ვერ გაიმარჯვა (რაც საქართველოში იშვიათად ან საერთოდ არ ხდება), მაშინ ის არჩეულთა მიმართ მაინც გაიმარჯვებს."

ნომენკლატურა საზოგადოებასთან ურთიერთობისას ფართოდ იყენებს კლასიკურ კლიენტელურ მეთოდებს, იქნება ეს მოსახლეობის დაშინება თუ გარკვეული ეკონომიკური კონპენსაცია (სელფასებისა და პენსიების გაცემით დაწყებული და არჩევნების პერიოდში სურსათის დარიგებითა თუ გზის მოასფალტებით დამთავრებული).

სიტუაცია კარდინალურად იცვლება არჩევნების შემდეგ. პოლიტიკური ძალები, რომლებმაც წინასაარჩევნო მოსყიდვებისა თუ მოწინააღმდეგებ კლანებთან ბრძოლის გამო საკმაოდ დიდი ოდენობის სახსრები დახარჯეს, ცდილობენ, თავიანთი საღეპუტატო უფლებამოსილების პერიოდში ანაზღაურონ დანაკარგი და გაზარდონ პირადი თუ საკუთარი კლანის ქონება, რათა უკეთ მომზადებულნი შეხვდნენ მომავალ არჩევნებს.

გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ საზოგადოება ვერ ხედავს ყოველივე ამას. სწორედ ამის შედეგია პოსტსაბჭოური სტილის დამკვიდრება ხმის მიცემის პროცესში - ბევრი ამომრჩეველი ხმას აძლევს არა ვრმეს სასარგებლოდ, არამედ ხელისუფლების საწინააღმდეგოდ. ამავე დროს, ცოტას თუ აქვს იმედი, რომ მისი ხმა რეალურ გავლენას მოახდენს არჩევნების შედეგებზე.

მოსახლეობის იმედგაცრუების მაჩვენებლად შეიძლება 1990 წლიდან მოყოლებული არჩევნებზე მისულ ამომრჩეველთა რაოდენობის მნიშვნელოვანი შემცირება დავინახოთ. და ამ ტენდენციას არა შენელების, არამედ ზრდის მიმართულება აქვს.

ამავე დროს, ნაკლები რაოდენობის ამომრჩეველი კიდევ უფრო ნაკლებ ზეგავლენას ახდენს ახალი პოლიტიკური სისტემების ფორმირებაზე და საშუალებას აძლევს იმ პოლიტიკურ ძალებს, რომელთა ხელშიც არის თავმოყრილი რეალური ძალაუფლება, ათობით სხვადასხვა უკანონო მეთოდის გამოყენებით გააყალბონ არჩევნების შედეგები თავის სასარგებლოდ და არჩევნებზე არმოსული ამომჩევლების ხარჯზე.

თანამედროვე არჩევნები საქართველოში იდეოლოგიურიდან პირადი დაინტერესების რეალიზების საშუალებად იქცა. თანდათან ხდება ახალი საარჩევნო სტილის "გაადამიანურება" ("ჰერსონალიზება"). მოსახლეობა (განსაკუთრებით, რეგიონებში) ადგილობრივ ნომენკლატურას აძლევს ხმას - ერთის მხრივ, მას არ სურს რეალურად არსებულ ერთადერთ ძალაუფლებასთან ურთიერთობის გაფუჭება, რაც საკმაოდ დიდი საფრთხის შემცველია და, მეორეს მხრივ, ადგილობრივი კლანების წარმომადგენლებთან პირადი კონტაქტების და კონკრეტული დაპირებების შესრულების საშუალებით იმუდოვნებს მძიმე საარსებო პირობების გაუმჯობესებას.

იმ რეგიონებში, სადაც სამოქალაქო საზოგადოება კიდევ უფრო სუსტია (ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული ანკლავები) ან ადგილობრივი ავტოკრატების სრული კონტროლის ქვეშ იმყოფება (რეგიონები), არჩევნების პერიოდში ელექტორატის ქცევაში ბატონობს პატრიარქალური სტილი - მოსახლეობა უსიტყვოდ აძლევს ხმას იმას, ვის მხარდაჭერასაც უბრძანებენ.

საბოლოო ჯამში, არჩევნების შედეგები მხოლოდ დასავლეთის დემოკრატიული საზოგადოების თვალში ახდენს ხელისუფლების ლეგიტიმაციას. დასავლეთის წამყვანი ქვეყნები, რომლებიც კარგად ფლობენ ინფორმაციას არსებული სიტუაციის შესახებ, პოლიტიკური (ძირითადად, გერისტრატეგიული) მოსაზრებების გამო, გაურბიან თავისი პოზიციის მკვეთრ გამოხატვას და კამაყოფილდებიან იმით, რომ საქართველოში შედარებითი სტაბილიზაციაა მიღწეული.

სხვა საკითხია, სინამდვილეში რამდენად ლახავს ანალოგიური საქციელი დასავლეთის დემოკრატიულ იმიჯს საქართველოს მოსახლეობის თვალში და პერსპექტივაში რამდენად სახიფათოა ეს პროცესი.

ფაქტიურად, ერთადერთ გზას, რომლის სამუალებითაც მოსახლეობას ქვეყნაში მიმდინარე პროცესებისადმი თავისი უარყოფით დამოკიდებულება შეუძლია გამოხატოს, კანონთა უპატივცემულობა წარმოადგენს. ყოველდღიურობაში სახეზეა არა ცხოვრების გაქცევა კანონისაგან (რაც ისჯება მოქმედი კანონმდებლობით), არამედ კანონისა - ცხოვრებისაგან (კანონბისათვის გვერდის ავლა).

საქართველოში სახეზეა ანთროპოლოგიური კრიზისის (მ. მამარდაშვილისეული განსაზღვრა) გამოვლინება. საქართველოს მოსახლეობა ან არ ცნობს ქართულ სახელმწიფოებრიობას და მის მესვეურთ, ან მტრულად არის მათდამი განწყობილი. ამავე დროს, რიგითი მოქალაქე ცდილობს, ინდივიდუალურად გამონახოს საერთო ენა ნომენკლატურული ელიტის ცალკეულ წარმომადგენლებთან და ამ გზით მიაღწიოს თუნდაც მიზერული უზრუნველყოფის დონეს.

სწორედ ამ გარემოებით უნდა აიხსნას სოციალური ენერგიის ეკონომიკურობა და გარკვეულ ეტაპამდე ძლიერი სოციალური კატაკლიზმების არასებობა მძიმე სოციალ-ეკონომიკური კრიზისის პირობებში. ამ შემთხვევაში კლიენტურური ურთიერთობები სოციალური სტაბილურობის გარანტად გვევლინება.

დღეისათვის ქვეყნაში არსებობს ორი ტენდენცია: საზოგადოების სოციალური თუ ეკონომიკური დიფერენციაციის შენელებისა და საღი სოციალური კოლექტივიზმის (მათ შორის, ელიტაშიც) კვდომის პროცესი.

და ბოლოს, ზოგიერთი ქართველი ინტელექტუალის იმედი, რომ დემოკრატიული რეფორმები მოსახლეობის მონაწილეობის გარეშე ან მისი იძულებით შეიძლება წარიმართოს, არა მარტო საფუძველს არის მოკლებული, არამედ საკმაოდ დიდ საფრთხესაც შეიცავს, რაღაც მმართველ ელიტას აძლევს მორალურ უფლებას, გაამართლოს ნებისმიერი ძალადობა მოსახლეობის მიმართ.

## 2. პოლიტიკური პარტიები

საქართველოს პოლიტიკური სპექტრი, საკმაო სიჭრელის მიუხედავად, ორ ძირითად ჯგუფად შეიძლება დავყოთ:

- პოლიტიკური პარტიები, რომელთა რიგებშიც, ძირითადად, გაერთიანებულია ყოფილი ნომენკლატურა და/ან გარკვეული (რეგიონული, ნათესაური და ა.შ.) კლანის წარმომადგენლები. ამ პარტიებს გააჩნიათ დიდი პოლიტიკური, ეკონომიკური და, როცა საჭიროა პარტიისათვის, იძულების ბერკეტები თავიანთი მიზნების განსახორციელებლად;
- პოლიტიკური მოძრაობები და დაჯგუფებები, რომლებიც წევრთა მეტად მცირე რაოდენობას მოიცავს. ასეთი პარტიების აქტივობა ან არჩევნების პერიოდში იჩენს თავს, ან ლოკალური დაუმორჩილებლობის კამპანიებით თუ უშედეგო საპროტესტო აქციებით შემოიფარგლება.

მართალია, როგორც დიდ, ისე მცირე პოლიტიკურ გაერთიანებებში არსებობს ინტელექტუალთა გარკვეული ოდენობა, რომელიც ამა თუ იმ პარტიას იდეოლოგიური მოსაზრებების გამო ექმნავა, მაგრამ ასეთები გამონაკლისს შეადგენენ.

ამავე დროს, ქართულ პოლიტიკურ სამყაროში გამოიკვეთა ერთი, მეტად მნიშვნელოვანი, ტენდენცია - სუსტი პარტიების გადარჩენის შანსი დღითიდღე კლებულობს. არჩევნებიდან არჩევნებამდე თუ მიტინგიდან მიტინგმდე ზოგი დაჯგუფება საერთოდ წყვეტს არსებობას.

იმისათვის, რომ პარტია გადარჩეს არსებობისათვის მიმდინარე ბრძოლაში, აუცილებელია მეტ-ნაკლებად გარანტირებული სტაბილური შემოსავალი, რომლის მიღებაც მხოლოდ იმ პარტიებს ხელეწიფებათ, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაში და თავიანთ რიგებში აერთიანებენ კორუმპირებულ თუ არაკორუმპირებულ სახელმწიფო მოხელეებს.

ფაქტიურად, საქმე გვაქვს კლანურ-პოლიტიკურ წარმონაქმნებთან, სადაც პარტიის ჩამოყალიბების (დასავლური გაეგბით) პროცესთან ერთად მიმდინარეობს კლანთა ბრძოლა ძალაუფლებისათვის.

აღნიშნულ პარტიებს გააჩნიათ თავიანთი სოციალური ბაზაც: სახოგადოებაში სახელმწიფოს მხრიდან სოციალური გარანტიების მიღების ილუზია მაშინ, როცა სახელმწიფო ინსტიტუტებს არ გააჩნიათ არც შესაბამისი ნება და არც შესაბამისი ფინანსური შესაძლებლობანი, მოსახლეობის შედარებით "მოხერხებულ" ფერებს აიძულებს, მწირი რესურსების განაწილების პროცესში შემოვლითი გზებით ჩაერთონ. სწორედ ეს ნდება სახელმწიფო კლიენტელიზმის ჩამოყალიბების ერთ-ერთი მიზეზი.

პოლიტიკური პარტიები პრეტენზიას აცხადებენ პოლიტიკური ელიტის როლზე და შეძლებისდაგვარად ახერხებენ ამ როლის შესრულებას, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ საკმაოდ ძნელია მსხვილი პარტიული სტრუქტურებისა და სახელმწიფო ინსტიტუტების საქმიანობის ურთიერთგამიჯვნა.

თუ გავიზიარებთ კლასიკურ განმარტებას იმის თაობაზე, რომ "ელიტა საერთო ინტერესებისათვის მებძოლი სოციალური ჯგუფია, რომელმაც მოიპოვა რესურსების ფლობის უფლება," მაშინ მსხვილი პოლიტიკური პარტიები, გარკვეულწილად, მართლაც წარმოადგენენ პოლიტიკური ელიტის ჩანასახს.

აღნიშნულ პარტიათა შემადგენლობების ანალიზისას შესაძლებელია სამი თვისებრივად განსხვავებული ჯგუფის გამოყოფა:

1. ბევრი კომუნისტური ნომენკლატურა, რომელმაც ფაქტიურად უკვე მოახერხა კომუნისტური რეჟიმის არსებობის 70 წლიან პერიოდში შექმნილი როგორც ფინანსური შესაძლებლობების, ისე სოციალური პრივილეგიების ლეგალიზება. ეს ჯგუფი კერჯერობით ყველაზე მრავალრიცხოვანია ისეთ პარტიებში, როგორიც არის საქართველოს მოქალაქეთა კავშირი და "საქართველოს დემოკრატიული აღორძინება". აღნიშნული ფერა შეიძლება დახასიათდეს, როგორც "კერძო" ადმინისტრაციული ძალაპილების მფლობელი სახელმწიფო ბურჟუაზია, რომელმაც თავისი ქონება სახელმწიფო ძალაუფლების გადამეტებითა და კორუფციის წყალობით მოიპოვა;
2. კლიენტელური ურთიერთობები დღეისათვის ბატონობს არა მარტო ტრადიციულ სოციალურ ურთიერთობებში, არამედ ეკონომიკის სისტემაშიც შეაღწია. საშუალო და მსხვილი ბიზნესის ბევრი წარმომადგენელი უკვე აქტიურად იწყებს პოლიტიკაში ჩარევას, რათა ბიუროკრატიასთან ბრძოლაში შეტანოს არა მარტო ეკონომიკური, არამედ არსებობის უფლების დაცვა. როგორც ითქვა, ქართული ეპონომიკისათვის განვითარების აღნიშნულ ეტაპზე დამასასიათებელია ბიუროკრატიული ბურჟუაზიის წარმოშობა. სახელმწიფოს თუ მისი წარმომადგენლების მხრიდან განხორციელებულ კანონიერ თუ

უკანასონო ზეწოლას მეწარმეები იმით პასუხობენ, რომ ემებენ "ქოლგებს" (შდრ. სლენგი - "კრიშა") სახელმწიფო აპარატის გავლენიან წარმომადგენერა შორის. ცივილიზებული ლობიზმის მომენტი აქ არ არსებობს - მისი ადგილი კვლავ არაფორმალურ ურთიერთობებს უჭირავს;

3. ბოლო დროს საქამაოდ აქტიური როლის თამაში დაიწყეს ლოკალურმა ელიტებმაც. ამ უკანასკნელთა წარმომადგენლები, ძირითადად, რაიონებიდან არჩეული მაჟორიტარი დეპუტატები არიან, რომელთაც თავიანთ რაიონებში მართვის მნიშვნელოვანი ბერკეტები უპყრიათ ხელთ. ამ ძალამ უკვე დაიწყო შემჭიდროება და უნდა ვივარაუდოთ, რომ უახლოეს მომავალში დედაქალაქის კლიენტელურ-ნომენკლატურულ ელიტას მოუწევს, სერიოზული ანგარიში გაუწიოს რეგიონულ ელიტებს.

ამრიგად, საქართველოში თანდათან ყალიბდება ახალი მმართველი კლასი. მასში შედიან: სახელმწიფო ადმინისტრაცია, სახელმწიფო ბურჟუაზია და რეგიონალური მმართველი ჯგუფები. ძალაუფლებისათვის ბრძოლა და კოალიციების შექმნა მათ შორის წარმოებს. ამასთან, მათ აერთიანებთ საერთო მიზანი - არ სურთ რადიკალური ცვლილებები.

მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ეს დაჯგუფებები ერთმანეთს ებრძვიან, ისინი მაინც ერთიანნი არიან. ჩვენი ქვეყნის მმართველობა უკვე აღარ არის ნომენკლატურული, მაგრამ მმართველი ზედაფენა ჯერ კოდევ არ არის ელიტა.

ახალი მმართველი კლასის წინაშე დგას მეტად დიდი პრობლება - მართალია, მან მოახდინა სოციალიზმის ეპოქაში დაგროვილი ფინანსური თუ სოციალური კაპიტალის ლეგალიზება, მაგრამ საზოგადოების თვალში ის მაინც არალეგიტიმურია - არ მომხდარა მისი საზოგადოებრივი ლეგიტიმაცია. ეს თანაბარად ეხება ყველა დიდი პარტიის ნუვორიშებს.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ეს ძალა მაინცდამაინც არც ცდილობს თავისი ძალაუფლების ლეგიტიმაციას და იმედოვნებს, კვლავ ლ. ბრეჭნევის ეპოქისათვის დამახასიათებელი ნახევრად ტოტალიტარულ-პოლიციური მეთოდებით მართოს ქვეყანა.

მიუხედავად ამისა, პოლიტიკური ელიტის ფორმირების პროცესი მაღე დააყენებს დღის წესრიგში ამ საკითხს, ვინაიდან პარტიების განვითარების პროცესი, პარლამენტული არისტოკრატიიდან პლებიციტური ტიპის საწარმოებულებები შეუქცევად ხასიათს ატარებს. დღევანდელ ეტაპზე საქართველოს მნიშვნელოვანი პოლიტიკური ძალები გარდამავალ - პატივსაცემი ლიდერების აღიარების - დონეზე იმყოფებიან.

აქვე არ შეიძლება, არ შევეხოთ ისეთ საკითხს, როგორიც არის ლიდერობა, ვინაიდან საქართველოს უახლეს ისტორიაში ყველა უმნიშვნელოვანები ფიგურა (ზ. გამსახურდაი, ე. შევარდნაძე, ა. აბაშიძე და ა.შ.) მეტ-ნაკლებად ატარებდა და ატარებს ხარიზმის ნიშნებს. ყველა მნიშვნელოვანი პოლიტიკური პარტია (მათ შორის, ლიბერალური ღირებულებების მქადაგებლებიც) გაერთიანებული იყო და არის ხარიზმულ ლიდერთა გარშემო.

ხარიზმული ბატონობა თავისი არსით მკვეთრად უპირისპირდება როგორც რაციონალურ, ისე ტრადიციულ საწყისებს. ერთის მხრივ, იგი ვერ ეგუება პატრიარქალურ და პატრიმონიულ ურთიერთობებს, ხოლო, მეორეს მხრივ, ეყრდნობა ამ უკანასკნელთ.

წმინდა ხარიზმა უარყოფს მატერიალურ შეწირულობათა, როგორც შემოსავლის წყაროს, წმინდა სახით გამოყენებას, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ხარიზმა ყოველთვის უარს ამბობდა საკუთრების შექმნაზე. ხარიზმული პარტიული ბელადი ვალდებულია, ზრუნავდეს თავისი

ძალაუფლებისათვის მატერიალური სახსრების მოპოვებაზე, იქნება ეს მეცნატური "საჩუქრები" თუ "ფორმალურად", მშვიდობიანი გამომძალველობის გზით მოპოვებული რესურსი.

ხარიზმული ლიდერები ეყრდნობან (ან ცდილობენ, დაეყრდნონ) მასოვრივი ლეგიტიმაციის პრინციპს და ბოლოს და ბოლოს გადადიან ტრადიციულ ხელისუფლებაში. ლიდერობის ამ ფორმის ანტიავტორიტარულად გააზრებას რაციონალიზებისაკენ მივყავართ. ეს არის ის განსხვავება, რითაც კლასიკური ხარიზმული ლიდერი, პრეზედნტი ზ. გამსახურდია, განსხვავდება ყოფილი უქსერტული ძალაუფლების მქონე ლიდერის, პრეზიდენტ ე. შევარდნაძისაგან.

ამავე დროს, ხარიზმული ლიდერი იძულებულია, მასების გულის მოსაგებად მეტ-ნაკლებად ითამაშოს სოციალური დიქტატორის როლი. საქართველოში ამის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს ე. შევარდნაძის მიერ ჯერ 70-იან, ხოლო შემდეგ 90-იან წლებში წამოწყებული ანტიკორუფციული კამპანია.

ე. შევარდნაძემ მოახერხა, თავის თავში მეტ-ნაკლებად გაექრთიანებინა მ. ვებერისეული ლეგიტიმური ბატონობის სამივე ფორმა: ტრადიციული, ხარიზმული და რაციონალურ-სამართლებრივი. ასრულებს რა ხარიზმული ლიდერის ორივე უმთავრეს მოვალეობას - ეროვნული პოლიტიკური ინტეგრაციის უზრუნველყოფას და სახელმწიფო აღმინისტრაციულ მანქანაზე კონტროლის დაწესებას - ე. შევარდნაძემ მოახერხა, შედარებით უსისხლოდ გაენერიტრალებინა მისი მოწინააღმდეგე დაჯგუფები, მოახდინა პოტენციური კონკურენტების "გასვრა" საზოგადოების თვალში (მათვის მთელი რიგი პრივილეგიების გადაცემის გზით) და დღეგანდელ ქართულ პოლიტიკაში შეუცვლელ ფიგურად იქცა.

მიუხედავად ამისა, მმართველ ეშელონებში სხვადასხვა დაჯგუფებებს შორის ძალაუფლებისა და შემოსავლებისათვის მიმდინარე ბრძოლები მეტად საეჭვოს ხდის მოქალაქეთა კაშირის მონოლითურ, პრეზიდენტის პარტიად ჩამოყალიბების შანსს.

ასევე საეჭვოა მოსახლეობის დიდი ნაწილის დარწმუნება იმაში, რომ ოპოზიციის გამარჯვების შემთხვევაში ხელისუფლების სათავეში მოვლენ "შშივრები" და მათ გამდიდრებამდე ქვეყანაში ქაოსი იქნება. საქმე ის არის, რომ ყველაზე ძლიერი ოპოზიციური ძალები, როგორც მოქალაქეთა კავშირი, ყოფილი საბჭოური ბიუროკრატით არის დაკომპლექტებულნი. ამასთან, საყოველთაოდ ცნობილია, რომ ოპოზიციური ლიდერების უმეტესობა საქართველოს უმდიდრეს პირთა რიცხვს ეკუთვნის.

საკითხის არსი ის კი არ არის, რომ "მშიერი" ბიუროკრატი გაძარცვავს მოსახლეობას, არამედ ის, რომ "მაძღარი" ბიუროკრატი სრულებითაც არ ამბობს უარს არალეგალური შემოსავლების საშუალებით კიდევ უფრო გამდიდრებაზე.

პარტიული კორუფცია სახეზეა ყველა დონეზე. მისი ერთ-ერთი უმთავრესი არენა გახდა პარტიული დაფინანსება - ამომრჩეველთა ხმების ყიდვა პოლიტიკური ძალაუფლების უზრუნველსაყოფად. ეს ყველაზე ნათლად ჩანს არჩევნებთან დაკავშირებით (როგორც წინასარჩევნო დაპირებების, ისე მათი რეალიზების შერივ). საარჩევნო კანონის გაუმართაობა შედეგად იძლევა იმას, რომ პროპორციული პრინციპის საშუალებით დაბალგანვითარებული საზოგადოება, წინააღმდეგობის შემთხვევაშიც კი, კიდევ უფრო აძლიერებს იმ ძლიერ პარტიებს, რომელთა წინააღმდეგაც ხმა მისცა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დღეისათვის პოლიტიკური წრეებისათვის დამახასიათებელია ორი გარემოება:

- პოლიტიკური ანალიზი და განზოგადება დაშორებულია ერთიმეორისაგან;

- საზოგადოებაზე საუბარი საერთოდ არ მიმდინარეობს ანდა ხალხს იხსენიებენ, როგორც "ელექტორატის".
- ხშირ შემთხვევაში პოლიტიკური პარტიები არჩენების შემდეგ ახდენენ გარიგებებს და ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ახდენენ არჩევნების შედეგების ფალსიფიცირებას.

### 3. სახელმწიფო აპარატის პერსონალია

როცა საუბარი მიღის ინსტიტუციურ განვითარებასა და, საერთოდ, სახელმწიფო ინსტიტუტთა ფუნქციონირებაზე, აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული, ჯერ ერთი, თვით ამა თუ იმ სახელმწიფო სისტემის არსი და მეორეც - ნომენკლატურის შემადგენლობისა და მისი წარმომადგენლობის (და, აქედან გამომდინარე, ქცევის ნორმების) საკითხი.

მხოლოდ სახელმწიფოებრივი წყობის ფორმით აპარატის ქცევაზე მსჯელობა შეუძლებელია. თუ მარტო ამ კრიტერიუმს დავეყრდნობით, აღმოჩნდება, რომ აშშ-ს, პიტლერულ გარმანიას და, ვთქვათ, დღევანდელ ქართულ სახელმწიფოს, კლასიკური (მონტესკიე) გაგებით, აბსოლუტურად ერთნაირი სახელმწიფო სტრუქტურები აქვთ.

ამავე დროს, ბიუროკრატიის ხელში მეტად დიდი ძალაუფლების კონცენტრაციის მიზეზად თვით ბიუროკრატიის ძალაუფლების დამაბალანსებელი თავისუფალი სოციალური სტრატების არარსებობა უნდა იქნას მიჩნეული.

არა შინაარსობრივად, არამედ იურიდიულად და მატერიალურად ძლიერი სახელმწიფო სისტემა, თუ ასეთის რეალიზება მოხდა, იქცევა იმ ტრადიციულ ღირებულებად, რომელიც ყოველი მხრიდან იზიდავს საჭირო თვისებების მქონე პირებს და მათი მხრიდან თუნდაც მცირე უნარის გამოვლენის შემთხვევაშიც კი იღებს თვალსაჩინო შედეგს. აქედან გამომდინარე, მეტისმეტი ინსტიტუციონალიზება, ასეთივე ძლიერი საზოგადოებრივი ლეგიტიმაციისა და კონტროლის გარეშე, მეტად სახიფათოა სახელმწიფოსათვის.

ამის მაგალითად საქართველოს შინაგან საქმეთა უწყების ფუნქციონირება შეიძლება იქნას მოყვანილი. ჯერ საბჭოთა მილიციამ, შემდეგ კი ქართულმა პოლიციამ საზოგადოების თვალში დიდი ხანია დაკარგა საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი ინსტიტუტის ფუნქცია და აშკარა კორუუფციის მასტიმულირებელ ინსტრუმენტად იქცა. ეს, თავის მხრივ, ასუსტებს მოსახლეობის ნდობას სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი და შიდა თუ გარედან ინსპირირებული კრიზისების პერიოდში სახელმწიფოს ართმევს ზემოქმედების უმთავრეს ბერკეტს - საზოგადოების მხარდაჭერას.

უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი გარემოება: განვითარებადი საზოგადოება ყოველთვის გარდამვალ პერიოდში იმყოფება და არ წარმოადგანს ტრადიციულ ღირებულებას. თუ საზოგადოება ტრადიციულ ღირებულებებზე დაყრდნობით იწყებს ფუნქციონირებას, როგორც წესი, მასში პატრიმონიული მმართველობის ტიპი მკვიდრდება.

ფრონტალურ შეტევებს ტრადიციულ ფასეულობებზე და მოლოდინზე არასოდეს არ მოუტანია შედეგი. მრავალი ქვეყნა, გასაგები მიზეზების გამო, აუცილებლობის გარეშე არ მოსპობს უძირითადეს და გარკვეულწილად დადგებით ტრადიციულ ფასეულობებს. ამ ფაქტორის გათვალისწინებით არის ჩამოყალიბებული პრობლემის გადაწყვეტისადმი ოთხი მიღებომა:
1. გადაწყვეტილების მიღების პროცესის ისეთი სტრუქტურის შემუშავება, რომელიც ნომენკლატურის რიგებიდან გამორიცხავს პიროვნებებს, რომლებიც შეიძლება თავისი დიდი ოჯახის ან კლანის ზეწოლის ქვეშ აღმოჩნდნენ, და დატოვებს მათ, ვინც უზრუნველყოფს მკვეთრ და არაორაზროვან მითითებებს და შემოიღებს გაფორმების მარტივ და სწრაფ პროცედურებს;
2. აღნიშნული მითითებების ფართოდ გამოყენება - იმ ფაქტის ხაზგასმით, რომ სახელმწიფო მოხელეებმა უნდა იმოქმედონ ასე და არა სხვაგარად, საფუძვლის დადგება ნებისმიერი ტრადიციული მოლოდინის ახალ რეალობასთან ადაპტაციის პროცესს;
3. ყველა დონის სახელმწიფო მოხელის კვალიფიკაციის ამაღლების ეფექტიანი სისტემის შემოღება, ამასთან, მკვეთრად განსაზღვრული ეთიკური მითითებებისა და ქცევის წესების ფორმულირება და გავრცელება;
4. ისეთი აღმინისტრაციული ღონისძიებების გატარება, რომლებიც უზრუნველყოფს ყველა დონის ხელმძღვანელის კორუფციის გამოვლინებაზე პასუხისმგებლობას უზრუნველყოფს, რასაკვირველია, მათი კომპეტენციის ფარგლებში.

ცივილიზაციის განვითარებამ ხელი შეუწყო კლიენტელიზმის ახალი ფორმების წარმოშობას. რესპუბლიკური წყობილების დროს, მეტისმეტად დიდი ფუნქციების გადაცემის გამო, პოლიტიკური ლიდერი, ფაქტიურად, აბსოლუტური მონარქის მსგავსი ფუნქციებით იქნა აღჭურვილი.

იმ ქვეყნებში, სადაც მეტად ძლიერი იყო ტრადიციული ლირებულებების გავლენა, აღნიშნულმა გარემოებამ სახელმწიფო ინსიტიტუტებში, რა თქმა უნდა, განახლებული, მაგრამ, ფაქტიურად, მაინც ფეოდალური ურთიერთობების ახალი რედაქცია მოგვცა.

საბჭოური საზოგადოების პოლიტიკური კულტურა, გარკვეულწილად, სწორედ პატრონუმური (გლეხური) წარმოშობის მენტალობას ეფუძნებოდა. საბჭოური სივრცის სამხრეთ ნაწილში ამას ერთვოდა წვრილაზნაურული მენტალობის რეციდივებიც.

სოციალიზმის იდეების პროპაგანდაში გაღატაკებული არისტოკრატის (გ. პლეხანოვი, ვ. ულიანოვი, ფ. ძერჟინსკი და ა.შ.) როლი საყოველთაოდ არის ცნობილი. საქართველოში ამის მაგალითად კ. ჩხეიძის, კ. წერეთლის, ს. ორჯონიშვილის, ა. წულუევისა და სხვათა როლი გამოდგება. მნელი სათქმელია, ამ აქტივობას სოციალური რევანშის სურვილი განაპირობებდა, უცხო ეთნიკური წარმოშობის ბურჟუაზიის წინააღმდეგ მიმართული ნაციონალური გრძნობა თუ სხვა სახის მოტივაცია.

ამ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვნია არა მარტო გენეტიკური წარმოშობა, არამედ აზროვნების წესის ტრადიციული ფორმები. ოჯახის უფროსისა თუ გვარში უპირველესისადმი მორჩილების გრძნობა საქართველოში ყოველთვის თამაშობდა და დღესაც თამაშობს მნიშვნელოვან როლს. ამასთან, ნაკლები ფურადღება ეთმობა საკითხს, თუ რა გზებით იქნა მიღწეული ეს პრივილეგია.

ამ გარემოებას ისიც უწყობდა ხელს, რომ სოციალისტურ სისტემაში (რომლის მემკვიდრედაც გვევლინება თანამედროვე ქართული სოციუმი) ისევე, როგორც ძველი დროის აგრარულ საზოგადოებებში, საკმაოდ დიდი იყო გაურკვევლობის (ხვალინდელი დღის შიშის) მნიშვნელობა და პიროვნული კონტაქტების გზით ამა ქვეყნის ძლიერთაგან გარკვეული უსაფრთხოების გარანტიების მიღების სურვილი. პრივილეგირებულ სკოლაში შვილის მიღებით დაწყებული, მნიშვნელოვანი სახელმწიფო თანამდებობის დაკავებით დამთავრებული, დღესდღეობითაც სწორედ ძლიერი პატრონის მხრიდან დახმარება მიიჩნევა საქმის წარმატებულად დაბოლოების აუცილებელ წინაპირობად.

ძველი, კომუნისტური წესრიგის იდეოლოგიურმა, ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა კრახმა გააჩინა ახალი შიში - უმუშევრობის (სახელმწიფო აპარატში უფუნქციონ დარჩენის) შიში, რაც შეიძლება გამოიხატოს შემდეგი გავრცელებული ფრაზით: "მთელი ცხოვრება აქ მიმუშავია და რას მიშვრებიან!"

რა თქმა უნდა, ცხოვრებისეული მიდგომა ხშირად იცვლებოდა, მაგრამ აღნიშნული პრინციპი ყოველთვის განაგრძობდა არსებობას. სწორედ ამაშია განსხვავება სტალინური (შიშისა და ფიზიკური გადარჩენის ინსტიქტიდან გამომდინარე) და ხრუშჩოვური ("ჩალიჩსა" და მატერიალური კეთილდღეობის მიღწევის სურვილზე დაფუძნებული) გაწვევის ნომენკლატურებს შორის.

საქართველოს პოლიტიკური ელიტის მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ ხრუშჩოვურ-ბრეზნევური გაწვევის ნომენკლატურისაგან შედგება. ამ პირებმა თავიანთი კარიერა 50-60-იან წლებში დაიწყეს, როცა მოწინააღმდეგის ფიზიკური ლიკვიდაციის პრინციპი მისი ნეიტრალიზების პრინციპით იცვლება.

მართალია, თანამდებობისათვის წარმოებულ კონკურენტულ ბრძოლაში დამარცხებული ჩინოვნიკი სოციალურად კვდება (გადაყენებული მნისტრებისა თუ გამგებლების მთელი წყება), ზოგ შემთხვევაში კი ფიზიკურადაც ნადგურდება (მაგალითად, ს. ხაბეიშვილი), მაგრამ ეს ახალი ტიპის ტერორი

პრინციპულად განსხვავდება სტალინური ტიპის ტერორისაგან. პოლიტიკაში წამყვანი გახდა ჩვეულებითი სამართლის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი - იცხოვრე კარგად და სხვასაც (იგულისხმება, ნომენკლატურის სხვა წარმომადგენლებსაც) მიეცი კარგად ცხოვრების საშუალება.

საქართველოს უმაღლესი მმართველობის (მათ შორის, საქართველოს პრეზიდენტისაც) დამოკიდებულება აღნიშნული პრინციპისადმი გასაგებს ხდის, თუ, ტერორს მიჩვეული მოსახლეობისდა გასაოცრად, რატომ არ ნადგურდებიან პოლიტიკურ ბატალიებში დამარცხებული ან შევიწროებული მმართველი ძალის ოპონენტები და "სხვა" კლანთა წარმომადგენლები (კ. პატიაშვილი, ფ. ინჯია და ა.შ.). ამ უკანასკნელთა სოციალური საკვდილის თუ ფიზიკური განადგურების საკითხი მხოლოდ მაშინ შეიძლება დადგეს, თუ მათ უშუალოდ შეუქმნეს საფრთხე პრეზიდენტის ან მისი დაჯუფების წევრთა პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ძალაუფლებას.

ახლა ვნახოთ, როგორია თვით სახელმწიფო ინსტიტუტების უმთავრესი აგენტის, ნომენკლატურის შემადგენლობა და ქცევის წესები.

\* \* \*

ჩვენი აზრით, საინტერესოა ქვეყნის მმართველი ელიტის სოციალური მახასიათებლების დადგენა. სამწუხაროდ, დროისა და ბროშურის ფორმატის შეზღუდულობის გამო, ვერ ვახერხებთ სრული ანალიზის გაკეთებას და ვამაყოფილდებით მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელთა ბიოგრაფიული მონაცემების ანალიზით.

აღმასრულებელი ხელისუფლების არჩევა იმ გარემოებამაც განაპირობა, რომ რეალურად პოლიტიკას საქართველოში (და, საერთოდ, პოსტსოციალისტურ სამყაროში), საკანონმდებლო სისტემის მზარდი როლის მიუხედავად, სწორედ აღმასრულებელი ხელისუფლება განსაზღვრავს.

თუ ერთმანეთს შევადარებთ უმაღლეს აღმასრულებელ სახელისუფლო სტრუქტურათა (სახელმწიფო კანცელარია, სამინისტროები) 1997 წლის ბოლოდან 1999 წლის ბოლომდე მოქმედი ხელმძღვანელების ბიოგრაფიულ მონაცემებს, შესაძლებელი გახდება მოელი რიგი ტენდენციების გამოვლენა.

უპირველეს ყოვლისა, თვალში საცემია საშუალო ასაკის გაახალგაზრდავების ტენდენცია - 1997-1999 წლებში, შესაბამისად, 48 და 47 წელი. ამავე დროს, იზრდება 45 წელზე ახალგაზრდა მინისტრთა რაოდენობაც (41%-დან 45%-მდე). თუ გავიხსენებთ საბჭოთა პერიოდის ლიდერების ასაკს, პროგრესიაშემაც სახეზეა.

იცვლება აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელთა სოციალური სტრუქტურაც, კერძოდ:

- გაიზარდა ქალაქელების, კერძოდ, თბილისელთა (45%-დან 50%-მდე) და საქართველოს დიდ ქალაქებში (18%-დან 23%-მდე) დაბადებულ პირთა წილი. ამავე დროს, შემცირდა საბჭოური პერიოდისათვის დამახასიათებელი სოფლად დაბადებულთა წილის სიჭარბე (36%-დან 27%-მდე).
- პროფესიული დაყოფის მიხედვით, პუმანიტარები შეადგენენ, შესაბამისად, 18%-სა და 23%-ს, საბუნებისმეტყველო განათლების მქონენი - 18%-სა და 32%-ს, ხოლო ტექნოკრატები - 36%-სა და 23%-ს. მცირეა პროფესიონალი იურისტების (14% და 9%) და ეკონომისტების (14% და 14%) რაოდენობა;
- თუ 1995 წელს საქართველოში ქალი მხოლოდ ერთი სამინისტროს ხელმძღვანელობდა, 1999 წლის შემოდგომისათვის უკვე 2 მინისტრი ქალია.

რა თქმა უნდა, ეს მონაცემები პირობითობის საკმაოდ დიდ პროცენტს შეიცავს. ქვეყნის ხელმძღვანელის რიგმა სუბიექტურმა გადაწყვეტილებებმა შესაძლოა ძირეულად შეცვალოს არსებული სურათი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, აღნიშნული ტენდენცია დამახასიათებელია საერთოდ ყოფილი სოციალისტური ბლოკის ქვეყნებისათვის და საქართველოც არ წარმოადგენს ამ მხრივ გამონაკლისს.

აღნიშნულ პერიოდში (1997-1999 წლები) სამინისტროთა ხელმძღვანელების როტაციამ (22 აღმასრულებელი სტრუქტურა) 50% (ზუსტად ნახევარი) შეადგინა. ეს ასევე დამახასიათებელია დღევანდელი ქართული პოლიტიკისათვის. მინისტრების ხშირი ცვლა, ძირითადად, გამოწვეულია სურვილით, იპოვონ "განტევების ვაცი" განზრახ თუ უნგბლიერ არასწორი სახელმწიფო კურსით გამოწვეული სოციალური უკმაყოფილების გასანეიტრალებლად.

კიდევ ერთი საყურადღებო მომენტია თანამედროვე მართვის პროცესში ძველი (საბჭოური) ნომენკლატურის ხევდრითი წილის სიდიდე.

სამინისტროთა ხელმძღვანელების 41%-ს ის პირები წარმოადგენენ, ვისაც საბჭოთა პერიოდში მნიშვნელოვანი პოლიტიკური, ადმინისტრაციული თუ პარტიული თანამდებობები ეკავათ.

ამავე დროს იზრდება იმ ადამიანთა ხელმძღვანელითი წონა, რომლებიც კარიერას საბჭოთა პერიოდში იწყებდნენ, მაგრამ ძველი რეჟიმის პირობებში ვერ მოასწრეს თავიანთი ამბიციების რეალიზება და მხოლოდ ცალკეულ ორგანიზაციათა თუ დაწესებულებათა პარტიული მდივნების თუ კომკავშირული ლიდერების დონეს მიაღწიეს. ასეთი პირების წილი 1997-1999 წლებში, შესაბამისად, არის 14% და 18%.

რაც შეეხება ნომენკლატურის იმ წარმომადგენლებს, რომლებსაც საბჭოთა პერიოდში არავითარი სახელმწიფო თანამდებობა არ ეკავათ და რომლებმაც თავიანთი პოლიტიკური კარიერა საქართველოს დამოუკიდებელობის მიღწევის შემდეგ დაიწყეს, მათი წილი, შესაბამისად, 45%-სა და 41%-ს აღწევს.

შედარებისათვის აღვნიშნავთ, რომ რუსეთის ფედერაციაში პირველი ორი კატეგორიის წარმომადგენლები 40%-ს აღწევენ, რაც საქართველოსთან შედარებით (დაახ. 55-60 %%) მნიშვნელოვნად ნაკლებია.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების ნახევარზე მეტს ძველი, საბჭოური ნომენკლატურა შეადგენს.

აღნიშნული სურათი ფიქსირდება ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკათა უმეტესობაში, ამასთან, უფრო ნათლად ჩანს შეა აზისა თუ ამიერკავკასიის სახელმწიფოებში. ეს სწორედ ის რესპუბლიკებია, სადაც კომუნისტური ტოტალიტარიზმის ზეობის პერიოდშიც მკვეთრად იყო გამოხატული პატრიმონიული ურთიერთობანი.

პერსონალიაზე საუბრისას არ შეიძლება, ყურადღება არ გავამახვილოთ ტრაიბალიზმისა და ნებოტიზმის როლზე ახალი ქართული ნომენკლატურის ფორმირების პროცესში. ამ მოვლენათა დასახასიათებლად ავიღოთ დღეისათვის საქართველოში მოქმედი ძალაუფლების ორი პოლუსი - ცენტრალური ხელისუფლება (ე. შევარდნაძის დაჯგუფება) და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მმართველი აპარატი (ა. აბაშიძის დაჯგუფება).

საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ერთი თვალის გადავლებაც საქმარისა, რომ დავინახოთ საქართველოს პრეზიდენტის ელუარდ შევარდნაძის მშობლიური კუთხის, გურიის, წარმომადგენლოთა სიჭარბე. ამასთან დაკავშირებით უნებურად გვახსენდება 70-იანი წლების საქართველოში გავრცელებული

ხუმრობა, საქართველოს მთავრობა, კერძოდ, კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, გურიის მეოთხე რაიონს წარმოადგენს.

თუ გურიის მოსახლეობა საქართველოს მოსახლეობის 3%-ზე ნაკლებია, გურულთა წილი მმართველობაში, ჩვენს მიერ განხილულ შემთხვევაში, 41%-სა და 36%-ს შეადგენს (იგულისხმება 1997 და 1999 წლების მდგომარეობა). თუ ამ მაჩვენებლებს გარკვეული ტენდენციის მატარებლად ჩავთვლით და არა შემთხვევით მოვლენად, მაშინ სახეზეა პოლიტიკურ ელიტაში გურულთა წილის შემცირება და მათ ხარჯზე საქართველოს სხვა რეგიონთა წარმომადგენლების როლის ზრდა. მაგრამ აშკარაა, რომ დღეისათვის საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებაში ძლიერია ტრაიბალისტური ტენდენციები.

პატრიმონიული ურთიერთობის განსხვავებულ ნაირსახეობას ვხვდებით აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში. აქ კლასიკური ფორმით არის წარმოდგენილი ნეპოტიზმი. აღმასრულებელი ხელისუფლების 57% (14-დან 8), საკანონმდებლო ხელისუფლების 54% (80-დან 43) და ადგილობრივი მმართველობის ზედა დონის მმართველთა 33% (8-დან 2) აჭარის ლიდერის, ასლან აბაშიძის უახლოეს ნათესაობას წარმოადგენს.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ ტრაიბალიზმი და ნეპოტიზმი ქართული პოლიტიკური ელიტის ქცევათა ნორმების განუყოფელ ნაწილს შეადგენს.

\* \* \*

ნომენკლატურის ქცევის ნორმების განხილვისას გამოსაყოფა კანონთან და პიროვნულ ურთიერთობებთან მიმართების საკითხი.

საქართველოში არსებული საკანონმდებლო ანარქია, მიღებულ კანონთა ურთიერთდაპირისპირება და, შესაბამისად, კანონიერი ქმედებების განუსაზღვრელობა ბიუროკრატიის ბევრ წარმომადგენელში "ძლიერი ხელის" ნოსტალგიას იწვევს, ამასთან, იმ პირობით, რომ ეს "ძლიერი ხელი" ნომენკლატურისათვის სასარგებლო უნდა იყოს.

აღნიშნული სიტუაციით უკმაყოფილოა თვით ბიუროკრატიაც. ჩინოვნიკებს აშინებთ საკუთარი მომავლის გაურკვევლობა. კულურარებში და პირად საუბრებში ხშირად გაისმის მოსაზრება, რომ თუ ბიუროკრატმა ყველა კანონი დაიცვა, მუშაობა საერთოდ შეუძლებელი გახდება. ამრიგად, თუ ნომენკლატურას უკლებლივ ყველა კანონის დაცვა მოვთხოვთ, საქართველოში რეალურად შეიძლება შეიქმნას XIX-XX სს მიჯნაზე იტალიის პოლიტიკარიატის მიერ აპოდინებული გაფიცვის პრინციპის გამოყენების საფრთხე - კანონთა გაუმართაობის პირობებში ყველა კანონის დაცვა, უწვრილმანესი დეტალების ჩათვლით - რაც საერთოდ შეუძლებელს ხდის საერთოდ რაიმე შედეგის მიღწევის შანსს.

რაც შეეხება პიროვნულ ურთიერთობებს, აქ კავშირების დანახვა საკმაოდ ძნელდება. ურთიერთობის ეს ფორმა ტაბუდადებულ ნაწილს წარმოადგენს და ყველა (როგორც პატრონი, ისე კლიენტი) ერიდება მის აფიშირებას. მთუხედავად ამისა, მაინც შეიძლება გარკვეული დასკვნების გაკეთება.

საქართველოში ანალოგიური სამუშაო, როგორც უკვე აღინიშნა, დღემდე არ ჩატარებულა. სამაგიეროდ, იგი ჩატარდა ბევრ პოსტსოციალისტურ ქვეყანაში. ამ გამოკვლევათა შედეგად მიღებული სურათების ურთიერთმსგავსება საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ჩვენს ქვეყანაშიც ანალოგიურ (რა თქმა უნდა, გადახრის მეტ-ნაკლები ხარისხით) სიტუაციასთან უნდა გვქონდეს საქმე.

მაგალითად მოვიტანთ რუსეთის ფედერაციაში ჩატარებულ კვლევას, რომელიც განახორციელა მოსკოვის საზოგადოებრივი სამუციერო ფონდის კონსტიტუციური კვლევის ცენტრმა. ამ კვლევის ფარგლებში ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვების შედეგად დადგინდა, რომ:

- ჩინოვნიკთა ნაწილი (რუსეთში - 35%) თვლის, რომ ნაცნობობის გარეშე საერთოდ შეუძლებელია დაწინაურებაზე ფიქრი და რომ თანამდებობრივი დაწინაურებისათვის პირველ ადგილზეა ნაცნობობა, ხოლო მეორეზე - დავალებათა უსიტყვიდ შესრულება;
- ამავე დროს, ახალგაზრდა ან ახალბედა ჩინოვნიკები კლიენტელიზმს ბუნებრივ მოვლენად მიიჩნევენ, ძველი, სტაჟიანი ნომენკლატურა კი პირიქით, უარყოფითად არის განწყობილი ამ მოვლენის მიმართ (რუსეთში, შესაბამისად, ახლები: +55, -30; ძველები: +25, -65);
- რაც უფრო დიდია მუშაობის სტაჟი, მით უფრო დარწმუნებულია ჩინოვნიკი კარიერის პროცესში პირადი ურთიერთობის გადამწყვეტ როლში (პირველ ადგილზეა პირადი ურთიერთობები, მეორეზე - "ზემლიაკობა");
- ყველაზე უფრო მეტად კანონმდებლობის ზუსტი დაცვის მომხრე "გორბაჩოვის გაწვევის" ნომენკლატურაა. ძველი თაობა და, რაც უფრო ცუდია, უახლესი გაწვევის ნომენკლატურაც კანონებისადმი მიდგომის საკითხში "პერსონალისტები" არიან;
- ჩინოვნიკთა აბსოლუტური უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ხელმძღვანელთან კონფლიქტის დროს სასამართლოში ჩივილს პირადი მოლაპარაკება სჯობს.

ამრიგად, კლიენტელიზმი თვით ჩინოვნიკთა შეგნებაშია დამკვიდრებული. ფსიქოლოგიურად ეს მოვლენა შეიძლება პატრონსა და კლიენტს შორის სანგრძლივი ურთიერთობითა და მიჩვევის ფაქტორით ავტსნათ. მაგრამ სოციალურ ფაქტორს არანაკლები, თუ არა უმთავრესი, მნიშვნელობა ენიჭება. არაფორმალური კანონებისა თუ წესების დარღვევა დამრღვევის მიმართ სანქციათა მთელ კომპლექსს იწვევს, დაწყებული თანამდებობიდან გადაყენებით და დამთავრებული (უკიდურეს შემთხვევაში) ფიზიკური განადგურებით. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ, მიუხედავად მიღწეული პოზიციების მნიშვნელობისა, უფრო ზუსტად, სწორედ მის გამო, გამოკითხულ მოხელეთა 60% განიცდის გაურკვევლობისა და დაუცველობის გრძნობას და შიშის ხვალინდელი დღის წინაშე.

საქართველოს შემთხვევაში ზემოთ ჩამოთვლილ განწყობებს ერთვის ტრაიბალიზმისა და ნეპოტიზმის გავლენაც. ზემოთ უკვე იყო ამაზე საუბარი და ამჟამად ამ საკითხზე აღარ შეგზერდებით. ავლიშნავთ მხოლოდ, რომ საქმე გვაქვს კლასიკურ პატრიმონიულ ან კლიენტელურ-ბიუროკრატიულ ურთიერთობებთან.

ნომენკლატურის ზემოხსნებული პოზიციიდან გამომდინარე, მართალია, სხვადასხვა მოტივაციით, როგორც ძველი, ისე ახალი ბიუროკრატია ეწინააღმდეგება რეალურ ცვლილებებს. ჩვენი აზრით, სწორედ ამით უნდა აიხსნას მთელი რიგი სახელმწიფო ინსტიტუტების წარმომადგენელთა უარყოფითი დამოკიდებულება საკვალიფიკაციო გამოცდების მიმართ, რაც ნათლად გამოჩნდა საქართველოში სასამართლო სისტემის რეფორმის პროცესში. ბიუროკრატიის დიდ ნაწილს ეშინა, რომ შეიძლება მთლიანად დაკარგოს თავისი პრივილეგიები.

#### 4. საკანონმდებლო ბაზა

1995-1999 წლების პარლამენტის ანუ საქართველოს ისტორიაში მეოთხე პარლამენტის ერთ-ერთი თავისებურება ის იყო, რომ მას აკლდა ხარისხი, მიზანმიმართულება და "საქმით მეტყველი სული" - ანუ ისეთი კანონმდებლების არსებობა, რომლებიც თავად იქნებოდნენ კანონმოშიშნი, და ისეთი კანონების სიმრავლე, რომლებიც ქვეყანაში სახელმწიფო კორუფციის წინააღმდეგ მიმართულ ინსტიტუციურ

გარემოს შექმნიდნენ. თუმცა არ შეიძლება, არ აღინიშნოს ის ნაბიჯები, რომლებიც ამ მხრივ გადაიდგა. კერძოდ, მომზადდა:

1. კანონი "დროებითი საგამოძიებო კომისიის შესახებ;"
2. კანონი "საჯარო სამსახურის ინტერესთა შეუთავსებლობის და კორუფციის შესახებ;"
3. კანონი "ლობიზმის შესახებ;"
4. კანონპროექტი "საქართველოს პრეზიდენტთან არსებული კორუფციასთან ბრძოლის სპეციალური სამსახურის შესახებ"

და სხვა მრავალი კანონი, რომელიც ირიბად ასახავდა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სხვადასხვა ასპექტს. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ უმრავლეს შემთხვევაში არც ერთი ამ კანონთაგანი არ მოქმედებს. ამ გარემოების უმთავრესი მიზეზია როგორც კანონის შინაარსობრივი არასრულყოფილება და ბუნდოვანება, ისე მისი ფუნქციონირებისთვის საჭირო გარემო.

მეთოდოლოგია, რომლითაც გვიჩვით, შევაფასოთ ზემოთ ჩამოთვლილი კანონები და კანონპროექტები, საკონისმდებლო შეფასების ახალი ტექნიკის რაგება განვითარება და ცნობილია კანონების და კანონპროექტების ღირებულება-სარგებლობის ანალიზის (A-C-B) სისტემის სახელით.

მეთოდოლოგია საინტერესოა იმით, რომ სხვადასხვა გზით არის შესაძლებელი იმ სავარაუდო ეფექტების და შედეგების სისტემატიზება, რომლებიც შეიძლება გამოიწვიოს სამართლებრივი დოკუმენტის მიღებამ. კანონების და კანონპროექტების A-C-B ანალიზში პრივილეგირებული იქნება ცვლადთა ოთხი დიდი თემატური ბლოკი, რომლებიც დაკავშირებული არიან:

1. ადამიანის და კონსტიტუციური უფლებების კატეგორიებთან;
2. სახელმწიფო საქმიანობის გამჭირვალეობასა და ეთიკურ ასპექტებთან;
3. ეკონომიკურ, გარემოს დაცვის, სოციალურ და უწყებრივ ასპექტებთან;
4. სამოქალაქო საზოგადოების და, საერთოდ, მოსახლეობის ყველაზე მწვავე მოთხოვნებთან.

აღსანიშნავია, რომ, როდესაც ლეგალური მექანიზმი დამკვიდრებულია ცხოვრებაში, არ არის აუცილებელი, ზემოქმედება მოახდინოს აღნიშნული ოთხი ბლოკის ყველა შემადგენელ ნაწილზე. საუბარია იმაზე, რომ უნდა შეგვეძლოს, რაც შეიძლება ზუსტად გავაანალიზოთ, ამ შემადგენელი ელემენტებიდან რომელი მოხვდება ზემოქმედების ქვეშ.

პატრონ-კლიენტელური ურთიერთობების და ნეპოტიზმის პრობლემები მსოფლიო სამართლებრივ პრაქტიკაში ეთიკის ნორმატიული აქტების რანგში გადის. A-C-B სისტემით ანალიზის შემთხვევაში, თუ პრიორიტეტულად მივიღებთ კანონში კლიენტელიზმის და ნეპოტიზმის ფენომენის ანალიზს, იგი სისტემის მეორე ბლოკთან იქნება დაკავშირებული. ქართული პარლამენტარიზმის პრაქტიკაში მხოლოდ ერთი პრეცედენტი არსებობს, სადაც გამახვილებულია ყურადღება სახელმწიფო მოხელის დამოკიდებულებაზე ნეპოტისტური მოვლენებისადმი, ისიც არასრულყოფილად, და არაფერია ნათევამი კლიენტელიზმის ეთიკურ ნორმებზე. საუბარია კანონზე "საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობის და კორუფციის შესახებ".

ეთიკის საკანონმდებლო ნორმებით დარევულირებას და გამჭვირვალეობის კრიტერიუმებით აღჭურვას სავსებით არის მოკლებული კანონი "აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ". კანონში, რომელიც განსაზღვრავს აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა სისტემას, ამ დაწესებულებათა ფორმირების წესს, ხელისუფლებითი და ორგანიზაციული საქმიანობის

სამართლებრივ საფუძვლებს, მინიშნებაც კი არ არის, თუ რა ეთიკური ნორმების დაცვა მოეთხოვებათ აღმასრულებელი სტრუქტურების უმაღლეს ეშელონთა წარმომადგენლებს.

აქედან გამომდინარე, გასაკვირი არ არის შედეგები, რომლებიც აისახა საქართველოს პარლამენტის კორუფციასთან ბრძოლის დროებითი საგამოძიებო კომისიის საინფორმაციო გამოცემაში, სადაც კომისიის მიერ გამოძიებული რამდენიმე მასალა საქართველოში სახელმწიფო აღმასრულებელ ხელისუფლებაში გამჟღვებული კლიენტელიზმის და ონტულორიენტირებული ქცევის კლასიკურ მაგალითებად გამოდგება. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია "კავშირგაბმულობის და ფოსტის სამინისტროს სისტემის შესწავლის მასალები", "თურქეთის კრედიტის განაწილების, ათვისების და დაფარვის მდგომარეობის შესწავლის მასალები", "თურქეთის რესპუბლიკიდან მიღებული ბუნებრივი აირის საფასურის ანაზღაურების შესწავლის მასალები". თითოეული ეს საქმე სამინისტროსა და უწყებებში მათი ხელმძღვანელების მიერ ორგანიზებული კლიენტელური სტრუქტურების მიერ სახელმწიფო მრავალმილიონიანი ქონების არამიზნობრივი, დანაშაულებრივი ხარჯვისა და გაფლანგვის კლასიკური მაგალითია.

ანტიკორუფციული კანონპროექტების რიგში განსაკუთრებით საფურადლებოა კანონი "საქართველოს პრეზიდენტთან არსებული კორუფციასთან ბრძოლის სპეციალური სამსახურის შესახებ". კანონში ჩამოყალიბებულია სამსახურის მოხელეთა სამართლებრივი და სოციალური გარანტიები, მათი უფლებამოვალეობები, მაგრამ არაფერია ნათქვამი, თუ რა კრიტერიუმებით უნდა მოხდეს ამ უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო სტრუქტურის დაკომპლექტება და როგორი ქცევის ანუ ეთიკური ნორმის ჩარჩოში უნდა იყოს მოთავსებული მოხელის მოღვაწეობა სამსახურში. ყოველივე ეს გადატანილია სამსახურის დებულების პრეროგატივად, რაც ბუნდოვანს და გაუმჭვირვალეს ხდის სამსახურის მოხელეებით დაკომპლექტების პროცესს და ამ მოხელეების შემდგომ მოღვაწეობას. დებულების პრეროგატივად არის ქცევი, აგრეთვე, სამსახურის საქმიანობის საჯარობა, რაც ერთობ მნიშვნელოვანი კრიტერიუმია ესოდენ დიდი უფლებამოსილებით აღჭურვილი სტრუქტურისათვის.

სიტუაცია, რომელიც ხშირ შემთხვევაში წარმოიქმნება ქართულ საპარლამენტო პრაქტიკაში, დაკავშირებულია ამა თუ იმ სამინისტროს ან უწყების კლიენტელური სტრუქტურების საკანონდებლო ინიციატივასთან, გადის რა საპრეზიდენტო ვიზირებას და პარლამენტში წარდგება განსახილველად. საპარლამენტო პროცედურების გავლის შემდეგ იღებენ კანონს, რომლის ამოქმედებას მოჰყვება კიდევ ერთი აღმასრულებელი სტრუქტურის შექმნა. გარკვეული დროის შემდეგ პარლამენტი დებულობს ახალ სამართლებრივ აქტს, რომელიც აუქმებს ზემოაღნიშნულ კანონს და შესაბამის აღმასრულებელ სტრუქტურას. ასეთი რეალობა შეიქმნა მას შემდეგ, რაც მიღებული იქნა კანონი "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ", რომლის მნიშვნელობა სახელმწიფო კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში უდიდესია, რამდენადაც მსოფლიო პრაქტიკაში ცნობილია, რომ საბიუჯეტო დანაკარგები სახელმწიფო შესყიდვების დროს, უკეთეს შემთხვევაში, ამ მიზნით გამოყოფილი თანხის მესამედს შეადგენს. ჩვენი ქვენისთვის ეს წილი გაცილებით მეტია.

შესყიდვების პროცესის დამარეგულირებელ კანონს უნდა მოეწესრიგებინა ეს პროცესი, გარკვეულ ინსტიტუციურ ჩარჩოში მოეთავსებინა, მაგრამ ეკონომიკის სამინისტრომ ანუ სახელმწიფო სტრუქტურაში შესყიდვების პროცესის რეგულირების მონიპოლიზება მოახდინა, მაშინ, როდესაც მსოფლიოში არ არსებობს სამართლებრივი პრაქტიკა, რომელიც იყმლევა უფლებას, სახელმწიფო შესყიდვების პროცესი ერთი სახელმწიფო სტრუქტურის ხელში მოექცეს, ხოლო დამოუკიდებელი საშემსყიდველო ორგნიზაციები თამაშებარე მდგომარეობაში დარჩნენ. ამ კანონის მიღებიდან ექვსი თვეს შემდეგ ზოგადი აღმინისტრაციული კოდექსის მიღებამ გააუქმა აღმასრულებელი სტრუქტურის კლიენტელის ლობირებით მიღებული კანონი "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ".

ქართული საპარლამენტო ცხოვრებისათვის მეტად სიმპტომური გახდა ისეთი კანონების მომრავლება, რომლებიც თავიანთი მნიშვნელობით, შინაარსით და სარისხით საკმაოდ მაღალ სტანდარტებს აკმაყოფილებენ, მაგრამ რეალურ საკანონმდებლო სივრცეში მათ განხორციელება არ უწერიათ. ამ პარადოქსული სიტუაციის ამოცნობა მხოლოდ კანონის მოქმედების სოციალურ და პოლიტიკურ გარემოში უნდა ვეძებოთ. ამის რეალური მაგალითია კანონი "ლობიზმის შესახებ", რომელიც პარლამენტის მკვდრადშემობილ პროცესზეად იქცა. პროცესზეად, რომელსაც საზოგადოების პოლიტიკური ცნობიერების და სოციალური აქტიურობის დაბალი დონის გამო რეალური ამოქმედება დღეს არ უწერია. ამის სანაცვლოდ, მუშაობს სახელმწიფო ადმინისტრაციული კლიენტელიზმის უძლიერესი ინსტრუმენტი, რომელიც ასოლუტურად სპობს ლობიზმის კანონის მოქმედების აუცილებლობას.

კლიენტელიზმის მეტად საინტერესო ტრანსფორმაციასთან გვაქვს საქმე, როდესაც მისი გამოვლენის სახელმწიფოებრივი მასშტაბი ტოტალურ სახეს ღებულობს. აქ კლიენტელურ ელიტას, ან პოლიტიკური ელიტის კლიენტელას, ისეთი პრობლემების "გადაწყვეტაც" ხელიწიფება, როგორიც არის პრეზიდენტის მიერ დამტკიცებული "ჩრდილოვანი ეკონომიკის წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამის" განხორციელება. პროგრამა და მისი შესრულების გრაფიკი, რომელიც უშუალოდ პრეზიდენტის დავალებით შეიქმნა და დამტკიცდა, უკვე წელიწადნახევარია, რაც შესაბამისი საშტატო განრიგით ფუნქციონირებს ეკონომიკის სამინისტროსთან. ამ ხნის განმავლობაში არც ერთ სახელმწიფო სტრუქტურას არ მოუთხოვა პასუხი, თუ როგორ სრულდება, ან საერთოდ სრულდება თუ არა, ეს პროგრამა. სახელმწიფო პოლიტიკურმა კლიენტელურმა ელიტამ ფაქტიურად პრეზიდენტის მიერ დამტკიცებული ამ უმნიშვნელოვანესი ანტიკორუფციული პროექტის საბოტირება მოახდინა.

## 5. რეალური ფუნქციონირება

ახლა ვნახოთ, თუ რეალურად როგორ მუშაობს ზემოთ განხილული პერსონალით დაკომპლექტებული სახელმწიფო ინსტიტუტები მოცემული საკანონმდებლო ბაზის პირობებში.

უპირველეს ყოვლისა, ორიოდ სიტყვა უმაღლესი მმართველობის შესახებ.

სოციალიზმის ეპოქის ლიდერობის პრინციპი, როცა ყოველი ახალი გენერალური თუ პირველი მდიგანი თავის მმართველობას იწყებდა კოლექტიური ხელმძღვანელობის იდეით, ხოლო საკუთარი პოზიციის გამყარების შემდეგ გადადიოდა ერთპიროვნული მმართველობის სტილზე, დღესაც დამახასიათებელია პოსტსაბჭოთა ქვეყნების და, მათ შორის, საქართველოს მმართველთათვის.

ამის მაგალითად შეიძლება მოვიტანოთ სახელმწიფო მეთაურის პოსტის თანდათანობითი ტრანსფორმაცია პრეზიდენტის თანამდებობად. საქმე მხოლოდ ტერმინში არ არის - პარლამენტზე ბევრად უფრო დამოკიდებული სახელმწიფოს მეთაურის თანამდებობის შეცვლამ პრეზიდენტის თანამდებობით მნიშვნელოვნად გააძლიერა ერთპიროვნული მმართველობის პოზიციები. ეს მოვლენა კი სახიფათოა იმდენად, რამდენადაც სიტუაციის განვითარებას დამოკიდებულს ხდის პიროვნულ ფაქტორებზე - თუ ვინ იქნება პრეზიდენტის მექვიდრე.

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის 27 პოსტკომუნისტური ქვეყნის განვითარების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ახალი კონსტიტუციის მიღებამდე ერთპიროვნული ძალაუფლების გაძლიერება, მიუხედავად იმისა, თუ ვინ ფლობს ასეთ ძალაუფლებას, დიდი რისკის მატარებელია.

თავად ახალი საკანონმდებლო ბაზის ფორმირების პროცესის სწორად წარმართვა და საზოგადოების თვალში სახელმწიფო ინსტიტუტების ლეგიტიმაციის ხარისხის ზრდა დიდად არის დამოკიდებული

აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურულ თუ შინაარსობრივ ცვლილებასა და ამ ხელისუფლებისთვის გადაცემულ უფლებამოსილებათა ხარისხზე.

ძველი სტრუქტურების უცვლელი სახით დატოვება, როცა ამ სტრუქტურათა უფლებები იზრდება, მნიშვნელოვნად ანელებს ეკონომიკური რეფორმების პროცესს. სამწუხაროდ, საქართველომ, ისევე, როგორც პოსტკომუნისტური სივრცის ზოგიერთმა ქვეყანამ (სომხეთმა, აზერბაიჯანმა, უკრაინამ, ყაზახეთმა, მოლდოვამ და ა.შ.), ეს თავის თავზე გამოცადა.

დღეისათვის ცხადი ხდება, რომ რეფორმების პროცესში დაწყებულ ბრძოლაში საკანონმდებლო და აღმასრულებელ სტრუქტურებს შორის ეს უკანასკნელი იმარჯვებენ. მაგრამ ეს პიროსის გამარჯვებას ჰგავს. არსებობს დიდი შინაგანი წინააღმდეგობანი თვით აღმასრულებელი ხელისუფლების შტოებს შორის. ხშირია პრეზიდენტის ერთგულების დეკლარირების საფარქვეშ საკუთარი პოლიტიკის გატარების შემთხვევები. ხშირია, აგრეთვე, არა მარტო პრეზიდენტის განკარგულებების, არამედ კანონთა და თვით კონსტიტუციის იგნორირებისა თუ აშკარა დარღვევის შემთხვევებიც. საკანონმდებლო ბაზის არასრულყოფილება, კანონთა გაუმართაობა, ურთიერთშეუსაბამობა და ხშირი ცვლილება კიდევ უფრო ამძიმებს სიტუაციას.

მაგრამ ზემოთქმული არ ნიშნავს, რომ საქმე გვაქვს ბიუროკრატიულ-ჩინოვნიკურ სახელმწიფოსთან ამ სიტყვის კლასიკური გაგებით. სინამდვილეში, როგორც აღმასრულებელი (რესურსების ფლობის უფლება), ისე საკანონმდებლო (კლანური ინტერესების ლობირების საშუალება) ხელისუფლება, ფაქტიურად, მხოლოდ შირმას წარმოადგენს ცალკეული არაფორმალური და, რაც მთავარია, უკანონო მიზნებისა და მეთოდების მქონე ინტერესთა ჯგუფების საქმიანობის პროცესში.

ასევე მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული საქართველოს როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკა და ცალკეულ კლანთა თუ ლობისტთა ეკონომიკური ინტერესები - დაწყებული უკანონო საგადასახადო შეღავათებით და დასრულებული პირადი მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით ისედაც მწირი ეროვნული რესურსებისა თუ საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან მიღებული დახმარების არამიზნობრივად გამოყენებით.

გარეგნული ძლიერების მიუხედავად, მცირდება პოლიტიკურ ლიდერთა შანსი, თავის გავლენას დაუმორჩილონ კლანური დაჯგუფებები. უმაღლესი მმართველები - ბელადები - ძველებურად ვეღარ მართავენ კადრებს. უფრო მეტიც, ისინი ამ კადრებზე (უფრო ზუსტად, ბიუროკრატიულ კლანებზე) ხდებან დამოკიდებული. ამავე დროს, კლიერტის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების აუცილებელ წინაპირობად პატრონის თანამდებობრივი დაწინაურება ხდება. ასე ყალიბდება ორმხრივი დაინტერესების საფუძველზე წარმოქმნილი ურთიერთობის ფორმა - კლიერტელიზმი - კლასიკური ფორმით.

რაგინდ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, ხშირად პატრონები იძულებულნი ხდებან, ანგარიში გაუწიონ კლიენტთა მეტისმეტ ინტერესებს და ზოგჯერ თავისი სურვილის საწინააღმდეგოდ და საკუთარი ინტერესების საზიანოდ იმოქმედონ.

სავსებით ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში ფორმალური ინსტიტუტებისა და საკანონმდებლო ბაზის დომინირების ნაცვლად ქცევის ნორმათა განმსაზღვრელი ხდება არაფორმალურ ურთიერთობათა ჩამოყალიბებული სისტემა და მისი უძლიერესი მექანიზმი - კორუფცია.

კორუფცია ოფიციალურ სტრუქტურებში გამოიხატება ფავორიტი ორგანიზაციებისათვის სახელმწიფო თანხებისა და სხვა სახის რესურსების სხვადასხვა სახით გადაცემაში. ამავე დროს, მთავრობა სისტემატურად იყენებს კორუფციის ფაქტორს პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ და საკუთარი

ძალაუფლების განმტკიცების მიზნით. ეს მარტო ეთიკური საკითხი არ არის. ცხოვრების ასეთი სტილის უარყოფით შედეგებს საზოგადოება თავის ყოველდღიურ ცხოვრებაში აწყდება.

აღნიშნულის მაგალითად გამოდგება სახელმწიფოს ვითომდა გაურკვეველი პოლიტიკა გადასახადების ამოღებისა და რესურსების (მათ შორის, მწირი საბიუჯეტო სახსრების) განაწილების პროცესში.
1998 წლის ბიუჯეტში ისეომა შემოსავლებმა, რომელთა გაღებაც მოსახლეობის ფართო ფენებს უწევთ (დღგ, საბაჟო, აქციზი) 600 მლნ. ლარი შეადგინა, ხოლო საშემოსავლო და მოგების გადასახადმა, რომლებიც, ძირითადად, საზოგადოების მატერიალურად უფრო უზრუნველყოფილი ფენების დასაფარია - დაახლოებით 70 მლნ. ლარი.
ამავე დროს, რესურსთა განაწილების პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია უკანონი შეღავათებსა და პრივატულების. მაგალითად, საგადასახადო განაკვეთის შემცირება ბოლნისის რაიონის საგადასახადო სამასურისთვის, რომელსაც 1998 წელს შესრულების გეგმა 1997 წელთან შედარებით 9.5-ჯერ შეუცირეს, ბადებს ეჭვს, რომ ამ შემთხვევაში საქმაოდ ძლიერი უკანონი ლობირების გამოვლენასთან გვაქვს საქმე.
სამწუხაოდ, აღნიშნული შემთხვევა გამონაკლისს არ წარმოადგნს. შეიძლება მოტრანსილი იქნას მრავალი მაგალითი, სადაც ნათლად იკვეთება გადაწყვეტილების მიღების პროცესში არც თუ სუფთა მეთოდების გამოყენება:
1. გაუქმებული იქნა "ჩათვლების" სისტემა, რომელიც დღგ-ის დაბრუნებას ითვალისწინებდა საქონლის დაბალი ფასით რეალიზებისა და მოგების არარესბობის შემთხვევაში. ძლიერი "ქოლგის" მქონე კომერციულ ფირმებს მოესპონ საშუალება, საბუღალტრო ანგარიშების გაყალბების გზით, სახელმწიფოს სარჯზე გაეზერდათ თავისი შემთხვევალი. მაგრამ ეს თეორიაში. რეალურად მხოლოდ მი ორგანიზაციებმა იზარალეს (არასამთავრობო და სხვა არასაბიუჯეტო, "უპატრონო" ორგანიზაციები), რომელიც საშემოსავლო გადასახადს ბოლომდე იხდიდნენ და რომელთა ვალიც სახელმწიფოს პერიოდი ნულოვანი დაბეგვრის პრინციპიდან გამომდინარე;
2. საბაჟო სისტემის პრივატიზების პროცესი, როცა გამართულ ტენდერში ბრიტანულმა "ITS"-მა მოიპოვა გამარჯვება, რეალურად ჩაიშალა. ბრიტანელ მებაჟებს ბევრ საბაჟო პუნქტში რეალურად არ უშვებენ. და ეს შეეხება არა მარტო ცხინვალის რეგიონისა თუ აჭარის საბაჟოებს, სადაც ცენტრალური ხელისუფლების გადაწყვეტილებათა იგნორირება ხდება;
3. უკანონი შემოსავლების გაზრდის კიდევ ერთ ნაირსახეობას წარმოადგენს "პატრონანი" ფირმების არასაგადასახადო მოგებებით შემოსული თანხების არა ეროვნულ ბანკში, არამედ სპეციალისტებზე გადარიცხვა. 1998 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 18 მუხლის მოთხოვნა 1 ოქტომბრამდე აღნიშნული ანგარიშების გაკონტროლების შესახებ რეალურად არ შესრულებულა.
ეს და სხვა მრავალი საშუალება, რომელსაც კომერციულ საქმიანობას თუ სახელმწიფო ინსტიტუტებს ამოფარებული კლიენტელური გაერთიანებანი იყენებენ (ხელფასების თვეობით გაუცემლობის ფონზე თვისთა რემონტების ჩატარება, ნომენკლატურისათვის პრესტიული უცხოური წარმოების აეტომანქანების შეძენა და ა.შ.), საბოლოო ჯმში, ისევ მოსახლეობის სარჯზე ხდება.

ამრიგად, ნომენკლატურის წევრებს შორის იდება თავისებური "სოციალური ხელშეკრულება": ურთიერთობა დაუუძნებულია არა ტერორის შიშჩე, არამედ ერთგულების სანაცვლოდ გარკვეული რენტის მიღების შესაძლებლობაზე.

თუ გარკვეულ ეტაპზე ნომენკლატურა, თავისი არალეგელური პრივილეგიების ლეგალიზების მიზნით, მხარს უჭერდა რეფორმას და მოხდა სახელმწიფო ორგანიზაციების გარდაქმნა სააქციო საზოგადოებებად, ამჟამად იგივე ნომენკლატურა წინააღმდეგია რეფორმათა შემდგომი გაღრმავებისა, ვინაიდან არ სურს მოპოვებული ფინანსური თუ ადმინისტრაციული პოზიციების დათმობა.

მოვიტანთ კიდევ ერთ მაგალითს ქვეყანაში მიმდინარე პროცესების დასახასიათებლად.

სახეზეა კონფლიქტის გაძლიერება სააქციო თუ ნახევრადსახელმწიფო საწარმოთა დირექტორებსა და სახელმწიფო აპარატის წარმომადგენლებს შორის. ეს ხდება საწარმოთა მიერ გადასახადების დამალვის ფონზე. და ეს იმ დროს, როდესაც სახელმწიფო მოხელეები ყოველდღიურად ეჯახებიან მოსახლეობის

მხრიდან მზარდ სოციალურ უკმაყოფილებას სახელმწიფო დაწესებულებათა მიერ ფინანსური თუ სხვა სახის ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დღეისათვის შეინიშნება ახალი ტენდენცია: თუ ადრე ნომენკლატურა ახალი მეწარმეების გაჩენას ეჭვის თვალით უყურებდა, ამიერიდან იგი, ყოფილ სახელმწიფო საწარმოთა ხელმძღვანელებთან შედარებით, სწორედ ამ მეწარმეებს ანიჭებს უპირატესობას. ბუნებრივია, საქმე აქ კანონიერი გადასახადების ამოღებას არ ეხება - ძლიერი ადმინისტრაციული მექანიზმების არსებობის პირობებში იოლია კერძო, კომერციულ სტრუქტურებზე ფარული თუ პირდაპირი ზეწოლის განხორციელება საკუთარი ჯიბის სასარგებლოდ.

ამრიგად, პატრიმონიალიზმი ხელს უწყობს პოლიტიკისა და ბიზნესის მშეიდრო ურთიერთობას, ვინაიდან ინდუსტრიის ყველა გასაღები მთავრობას უპყრია ხელთ.

პოლიტიკური ნების სისუსტე კანონებისა და იურიდიული ნორმების შეუსრულებლობას იწვევს, რაც აძლიერებს არაჯანსაღი მეწალობის პოზიციებს სახელმწიფო აპარატში. სახელმწიფო მოხელეები ყოველგვარ სამთავრობო თანამდებობას განიხილავნ, როგორც პიროვნულად მიკუთვნებულ ეკონომიკური რესურსს, რომელიც ძალაუფლების შესანარჩუნებლად გამოიყენება. ეს განსაკუთრებით ნათლად კლინდება არჩევნების პერიოდში.

სწორედ ამ ფონზე მთავრობა ცდილობს, საერთაშორისო ორგანიზაციებში გააძლიეროს საქართველოს, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს, იმიჯი, რაც გარკვეულწილად შეესაბამება მოსახლეობის გარკვეულ მოთხოვნებს და, ამავე დროს, გარეგნულად კიდევ უფრო აძლიერებს ხელისუფლების ღვარისტიმურობის ხარისხს.

რეალურად სახეზეა სახელმწიფოსადმი მოსახლეობის ნდობის დაკარგვა. "USIA"-ის ეგიდით მოწყობილი საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვები გვიჩვენებს, დროთა განმავლობაში როგორ მცირდება მოსახლეობის ნდობა სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი. 1996 წელთან შედარებით 1998 წელს გაიზარდა მოსახლეობის იმ ნაწილის რაოდენობა, რომელსაც არ სკერა ხელისუფლებისა:

არ სკერა	1996 წ.	1998 წ.
საკანონმდებლო ხელისუფლების	58%	70%
აღმასრულებელი ხელისუფლების	44%	75%
სასამართლო ისტემის	66%	74%
ადგილობრივი ხელისუფლების	53%	67%

ამრიგად, საქართველოში ყალიბდება პოსტინდენტურული პატრონაჟის ყოვლისმომცველი სისტემა, რომელსაც ახასიათებს სპეციფიკური სოციალური ურთიერთდახმარების მექანიზმები, ბატონობის სტილი და მმართველობის რეალიზებული საშუალება.

თუ რ.ალექსანდრე განსაზღვრას მოვაწვევლიებთ, შეიძლება ვთქვათ, რომ სახეზეა კორუფციის ნაცრისფერი მოდელის ჩამოყალიბება, რომელიც ბოროტებისადმი საზოგადოების შეგუების გრძნობას ემყარება, კონსტიტუციური და გარდამავალი პერიოდის ქვეყნებში იჩენს თავს და განსხვავდება კორუფციის როგორც თეორი (ტოტალიტარული პატრონ-კლიენტური სისტემისათვის დამახასიათებელი საზოგადოების აშკარა იძულება), ისე შავი (პოსტინდუსტრიულ ქვეყნებში გავრცელებულ საკონინდებლო ნორმებზე ფარული ძალადობა) მოდელებისაგან. საზოგადოებამ ჩვენთან ყველაფერი კარგად იცის, შეუძლია დაუპირისპირდეს აღნიშნულ მოვლენას, მაგრამ ამის ნაცვლად საყოველთაო აპათიის გაძლიერებასთან გვაქვს საქმე.

## V. დასკვნები

რა დასკვნები შეიძლება გაკეთდეს ყოველივე ზემოთქმულიდან?

ჩვენი აზრით, ცალ-ცალკე უნდა იქნას განხილული სახელმწიფო სტრუქტურებში და, საერთოდ, საზოგადოებაში არსებული სიტუაცია, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციების დამოკიდებულება აღნიშნული პრობლემებისადმი.

**სახელმწიფო ინსტიტუტების** დახასიათებისას თვალში საცემია ის გარემოება, რომ თანამედროვე ქართველი ბიუროკრატია, რომელიც თვისებრივად კომუნისტური ნომენკლატურის მემკვიდრედ შეიძლება ჩაითვალოს, ატარებს მკვეთრად გამოხატულ კლიენტელურ-ფეოდალურ ნიშნებს.

საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუტებში დღეისათვის არსებობს პატრიმონიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ყველა ფორმა: ნეპოტიზმი, რეგიონალიზმი (ტრაიბალიზმი), კლანიზმი, რეგიონულ და ეროვნულ დონეებზე არსებული კლიენტელიზმი.

საქართველოში სახელმწიფო აპარატში არსებული კორუფციის მიზეზების გამოკვლევა ხაზს უსვამს იმ ტრადიციული ფასეულობების და ჩეკების სიცოცხლისუნარიანობას, რომლებიც ეწინააღმდეგება თანამედროვე ბიუროკრატის მოთხოვნებს. ბიუროკრატთა უმრავლესობას ფასეულობათა ორი ნაკრები აქვს. თუმცა ისინი აღზრდილნი არიან თანამედროვე ორგანიზაციის ნორმების მიხედვით, სულის სიღრმეში მაინც ტრადიციული ნორმებისადმი არიან მიღრებილნი.

ტრადიციის ძალა იმდენად დიდია, რომ თუ ბიუროკრატი არ აღიარებს საზოგადოების რწმენას ტრადიციული ფასეულობებისადმი, ის განიცდის მუდმივ ზეწოლას, რათა დათმობაზე წავიდეს ამ ფასეულობების, ამ ფასეულობების მატარებელი პერსონალიების და საზოგადოების წინაშე. მაგალითად, იმისათვის, რომ თავიდან აიცილოს უმაღლერების ბრალდება, პოლიტიკოსებმა და უმაღლესმა სახელმწიფო ჩინოვნიკებმა საკუთარი გარემოცვა თავიანთი ახლობლებითა და ნათესავებით უნდა დააკომპლექტონ. ასეთი სიტუაცია იწვევს გართულებებს და ურთიერთობის პერსონალიცირებულ, პირად ინტერესებზე დაუფუძნებელ ფორმებს ქმნის თანამედროვე დემოკრატიის სამართლებრივი მოთხოვნების განხორციელების პროცესში.

საერთოდ, პატრიმონიული პროცესები მეტისმეტად სუსტდება, თუ ინსტიტუციური სისტემები საზოგადოებრივი ნდობით სარგებლობს. იდეალურ სიტუაციად გვესახება მდგომარეობა, როცა აღნიშნული ინსტიტუტები არა მეტისმეტად ძლიერია, არამედ ნდობაზე დაფუძნებული. სწორედ ნდობის ფაქტორის ტრადიციული სიმცირე ხდება არსებული სიტუაციის მიზეზი. ამასთან, საქართველოში არსებული პროტექციონიზმის პრაქტიკა გამომდინარეობს განვითარების წინა ეტაპიდან მემკვიდრეობით მიღებული და შემდგომ გაძლიერებული პატრიმონიული ურთიერთობებიდან.

თვით დასავლური ყაიდის რეფორმები, კერძოდ, პრივატიზების პროცესი, ნომენკლატურისათვის იყო და არის საკუთარი გამდიდრების უმნიშვნელოვანების წყარო. ამ პროცესის პირველმა ეტაპმა (როცა საწარმოებმა მეტი თავისუფლება მიიღეს, რადგან სახელმწიფომ, ფაქტიურად, თავიდან მოიცილა ისინი) ძლიერი კლანური ურთიერთობების დამკვიდრებას შეუწყო ხელი.

მთელი რიგი ეკონომიკური, სოციალური თუ პოლიტიკური ფაქტორების გამო **საზოგადოებაში** კვლავ ძლიერია კომუნისტური და ნაციონალისტური ნისტალგია. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ძველი სისტემის აღდგნის შესაძლებლობას, რადიკალურად განწყობილი უმცირესობის გარდა, ყველა სკეპტიკურად უყურებს.

სამოქალაქო საზოგადოება, კერძოდ, III სექტორი, სუსტია და ფაქტიურად დასავლელი დონორების დახმარების წყალობით არსებობს. მისი გავლენა საზოგადოებრივ აზრზე ჯერაც სუსტია. ეს სექტორი, რუსული ხუმრობის ("третий лишний") თავისებურ პერიფერაზს თუ გავაკეთებთ, საზოგადოებისათვის მეხუთე ბორბლის როლს ასრულებს.

ასეთ პირობებში ტოტალიტარული რეჟიმის ალტერნატივად თანამედროვე კლიენტელური ურთიერთობების გაძლიერება გვევლინება. მთელ რიგ სტრუქტურათა მაფიიზაცია ხდება არა მარგინალური მოვლენა, არამედ სოციუმის იზომორფული თვისება, რაც სახელმწიფოსათვის ყველაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენს.

საზოგადოების გარკვეულ ნაწილში დამკვიდრებული აზრის თანახმად, რომელსაც ჩვენც ვიზიარებთ, მთავარ პრობლემას საზოგადოების მხრიდან ინსტიტუციური სისტემებისადმი ნდობის შემცირება ქმნის. სწორედ ეს არის თანამედროვე კლიენტელიზმის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი. იგივე მიზეზი უნდა ედოს საფუძვლად პატრიმონიულ ურთიერთობათა სხვა ფორმების (დაზარესავება, ძმაკაცობა, ფსევდონათესაობა) ჩამოყალიბებასაც.

ანალოგიური დამასინჯებების უმთავრეს მიზეზს რეფორმების პროცესში საზოგადოების გაუთვითცნობიერებლობა წარმოადგენს. რეფორმებს (თუნდაც ძალზე დემოკრატიულს) ჩვენთან, როგორც წესი, ხელისუფლების უმაღლესი ეშელონები იწყებენ და ახორციელებენ. საზოგადოება ნაკლებად ერევა ამ პროცესში და ნებისმიერ ცვლილებას უშუალოდ მის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად აღიქვამს.

ანალოგიური სიტუაცია, მართალია, მეტ-ნაკლებად, ფაქტიურად, ყველა პოსტსოციალისტურ ქვეყანაში გვხვდება. ეს ბურებრივიც არის, რადგან როცა ტრადიციული სტრუქტურები ემხობა და ტრადიციული შემზღვევები არ მოქმედებს, იწყება ანომია.

ერთი რამ ფაქტია - სახელმწიფო სტრუქტურების დახურულობა და ნომენკლატურის მიერ "ექსპერტულობის" როლის თამაში საზოგადოების მხრიდან ნდობის შემცირებას იწვევს. ამავე დროს, პოლიტიკურ ელიტაში ძველი სტრუქტურებისა და ძველი მეწალობის თითქმის უცვლელად არსებობა აღნიშნული დამოკიდებულების გაძლიერების ერთ-ერთი მთავარი მიზეზია.

ამავდროულად, არ შეიძლება განვაცხადოთ, რომ საქართველოში კლანური მენტალობის კლასიკური ფორმა იდეალური სახით არსებობს. ყველაფრის მიუხედავად, ქვეყანაში ნელა, მაგრამ მაინც ყალიბდება სამართლებრივი სახელმწიფოს მექანიზმები, მოქმედებს თავისუფალი პრესა და განვითარებულია მესამე სექტორი. ამრიგად, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ორგანიზაციებში საქმაოდ ძლიერია სახელმწიფოებრივი ღოვიცაც.

რა როლს თამაშობს ამ სიტუაციაში დასავლური ორგანიზაციები?

90-იანი წლების საქართველოში აღსანიშნავია საერთაშორისო კლიენტელიზმის მონაწილეთა ცვლა. თუ ადრე პატრონის როლში რუსული (კომუნისტური) ბიუროკრატია გამოდიოდა, დღეისათვის საქართველოს გაერთიანებამ საერთაშორისო ფინანსურ ორგანიზაციებში საშუალება მისცა სახელმწიფო სტრუქტურას, დონორთა კაპიტალის დახმარებით მოახდინოს კლიენტელური ურთიერთობის ფორმათა რეპროდუქცია და გაძლიერება.

თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო ბანკება და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში (WTO), ასევე სხვა მსხვილმა ეკონომიკურმა ორგანიზაციებმა, ბოლო ხანებში საერთაშორისო მასშტაბით

დაიწყეს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა. ამჟამად ჩვენ არ შეგვიძლია იმის განსაზღვრა, თუ რამდენად იმოქმედებს ეს პროცესი საქართველოში დღესდღეობით არსებულ სიტუაციაზე. ერთადერთი, როსი მტკიცებაც შეიძლება, ის არის, რომ შედეგი თვით საერთაშორისო ორგანიზაციების პრინციპულობასა და თანმიმდევრულობაზეა დამოკიდებული.

\* \* \*

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვაკეთებთ შემდეგ დასკვნებს:

- აღნიშნული პრობლემის კვლევისას, უპირველეს ყოვლისა, გასათვალისწინებელია ამა თუ იმ ქვეყნისა თუ რეგიონის მმართველობის ფორმების ისტორიული ტრადიციების განვითარების დონე. იქ, სადაც სახელმწიფოებრიობის ტრადიცია სუსტია, მოსახლეობა თვითონ ქმნის შესაბამის, თუნდაც არაფორმალურ, სტრუქტურუებს. მეორეს მხრივ, აღნიშნულ არაფორმალურ ინსტიტუტთა მიერ ჩადენილი საერთაშორისო დანაშაული ხშირად აყენებს კითხვის ნიშნის ქვეშ ამა თუ იმ განვითარებადი სახელმწიფოს იურისდიქციისა და სუვერენიტეტის საკითხს;
- ქართული კლიენტელიზმის ბუნება პიბრიდულია და მოიცავს როგორც ტრადიციულ, ისე თანამედროვე ფორმებს. დღესათვის საქართველოში მიმდინარეობს პოსტნომენკლატურული ინსტიტუტის პრივატიზებისა და კლიენტელური (კერძო ან ჯგუფური) ურთიერთობების ერთადერთ მმართველ ძალად ჩამოყალიბების პროცესი;
- საზოგადოებას არჩევანის გაკეთება უწევს სტაბილურობასა და განვითარებას შორის. კლანური ურთიერთობების აგენტებს, რომლებმაც სხვადასხვა გზით მიაღწიეს რესურსების ფლობისა და მათგან სარგებლის მიღების უფლებას, სტაბილურობის შენარჩუნება სურთ, რათა საბოლოოდ დააკანონონ თავიანთი პრივილეგიები. ამავე დროს, სტაბილურობა (მუდმივი და არა გარდამავალი კონსტიტუციის მიღება, დემოკრატიული და სწრაფად განვითარებადი ქვეყნის იმიჯის შექმნა და ა.შ.) აღიქმება არა როგორც ქვეყნის შემდგომი განვითარების წინაპირობა, არამედ როგორც არსებული მდგომარეობის შენარჩუნების საშუალება;
- ასეთ პირობებში, პატრიმონიული მემკვიდრეობის წყალობით, კორუფცია და კანონთა სისუსტე გარდამავალ ფაზას კი არა, მუდმივმოქმედ პრობლემას ქმნის და თუ რეალური და მკვეთრი ზომები არ იქნა მიღებული, საეჭვოა, ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევას უახლოეს მომავალში ველოდოთ;
- ამ შემთხვევაში არსებობს ორი გზა: სოციუმი ან უნდა დაიღუპოს, ანდა განვითარების ახალი ფორმა იპოვოს. როგორც საზოგადოებამ, ისე სახელმწიფომ უნდა გააცნობიერონ ის პრინციპი, რომ დემოკრატია ღირსებებზე დაფუძნებულ სელექციურ პოლიარქიას წარმოადგენს, და ამის შესაბამისად განახორციელონ შემდგომი ქმედებები.

## VI. განვითარების პერსპექტივები

როგორ შეიძლება წარიმართოს ქართული სახელმწიფოს განვითარების პროცესი?

1. აუცილებელია, გათვალისწინებული იქნას იმ სოციალური და ეკონომიკური ფაქტორების როლი, რომლებიც უშუალოდ იწვევენ სახელმწიფო სისტემის ინსტიტუციური განვითარების პროცესში პატრიმონიული ურთიერთობების მეტად დიდ ხარისხს.

ა. დღეისათვის ქართულ პოლიტიკურ ელიტაში სახეზეა განვითარების ორი - ნომენკლატურიდან სახელმწიფო კაპიტალიზმზე გადასვლისა და ინდივიდუალური "ჩაწყობების" სისტემიდან ჯგუფური ლობიზმის ჩამოყალიბების - პროცესი.

არის სიახლეები: შეიქმნა ახალი (რეგიონული) კლიენტელიზმის წარმოშობის საფრთხე. ამის მაგალითად შეიძლება მოტანილი იქნას თბილისისა და აჭარის კლანებს შორის სულ უფრო და უფრო მზარდი კონფრონტაციის ფაქტი.

ბ. არანაკლებ მნიშვნელოვანია ეკონომიკური ფაქტორიც. თუ კორუფცია სისტემატურ ხასიათს ატარებს, რეფორმები ვერ მოიტანს რეალურ შედეგს. ადმინისტრაციული ზომების შედეგად დაკარგული შემოსავლების ნაცვლად ბორიკრატია გმირნახავს ახალ "სახსრებს" თავისი ამბიციებისა თუ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, ხოლო მაღალი ჩინოსნები შიდააუდიტის მექანიზმის გამოყენებით შანტაჟს გაუწევენ ბიუროკრატიის საშუალო და დაბალი საფეხურების წარმომადგენელთ.

2. დღევანდელ ქართულ სახელმწიფოში არსებული სიტუაცია წააგავს განვითარებადი ქვეყნებისათვის დამახასიათებელ წინარევოლუციურ სიტუაციას. სუსტი სახელმწიფო ინსტიტუტებისა და ეკონომიკური თუ სოციალური კრიზისის შედეგად საზოგადოების ფართო ფენების სახელმწიფოსადმი გაუცხოების პირობებში, დანაშაულებრივი სამყაროს მზარდი გაძლიერების ფონზე, კლანური სისტემების განვითარება სოციალური მღელვარებებისა თუ პოლიტიკური ანარქიის საკმაოდ დიდ საფრთხეს შეიცავს.

ასეთ პირობებში ხელსაყრელი მომენტის დადგომისთანავე შესაძლებელია მოხდეს ქვეყნის "ფიდელიზაცია" (კუბაზე ბატისტას კორუმპირებული სისტემის წინააღმდეგ ფ. კასტროს ხელმძღვანელობით მომხდარი გადატრიალება) ან "ხომენიზაცია" (ირანში შაჰის პატრიმონიული რეჟიმის წინააღმდეგ განხორციელებული პოლიტიკური ამბოხი). ასეთ შემთხვევაში, მმართველობის სათავეში მოსული ახალი ხელისუფლება დასავლეთს ზოგადად მიიჩნევს ყოველგვარი უბედურების მომტან პანდორას ყუთად და გადადგამს რეალურ ნაბიჯებს ქვეყნის იზოლაციონიზმის გასაძლიერებლად.

3. არსებობს განსხვავებული პერსპექტივა - ინსტიტუციური რეფორმების გატარება კლანური სისტემის წინააღმდეგ კარგად ორგანიზებული და განხორციელებული ბრძოლის ფონზე. ასეთი ქმედება, მართალია, არა ერთბაშად, მაგრამ თანაბათანობით მაიც დაუბრუნებს სახელმწიფოს საზოგადოებრივ ნდობას, რაც, თავის მხრივ, პოლიტიკური ელიტისთვის, მისი მიზნების მიღწევის პროცესში, რეალურ ბერკეტად იქცევა.

როცა საუბარია ინსტიტუციურ გარდაქმნაზე, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს სტატიური მიზანი კი არ არის, მუდმივად განახლებადი მდგამარეობაა. არ შეიძლება მიზნად იქნას დასახული რომელიმე, დროსა თუ სიგრცეში გარკვეული მდგომარეობის მიღწევა. თანამედროვე ბიუროკრატია აღარ ჯდება მ. ვებერისეულ განმარტებათა ჩარჩოში. სახელმწიფო აპარატის საქმიანობის პროცესში ჩნდება კონტროლისა და მართვის ახალი სისტემები. სახელმწიფო უკვე ვალდებულია, ყურადღება მიაქციოს ისეთ რეალიებს, როგორიც არის, მაგალითად, ადამიანის უფლებათა დაცვა და სხვ. თანამედროვე

მსოფლიოში ნათლად გამოიკვეთა ახალი ტენდენცია - ბიუროკრატია იცვლება ინტელექტუალური ("intelligent") სამსახურით. საჭირო ხდება ახალი მაღალპროფესიური კადრების მოზიდვა, მაღალი ინტელექტის მქონე ადამიანებს კი უფრო დემოკრატიული აზროვნების სტილი ახასიათებთ. ხდება სახელმწიფო სისტემის გადემოკრატიულება.

**4.** ამ შემთხვევაში საზოგადოებრივ მხარდაჭერას, სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების პროცესს, მეტად დიდი როლი ენიჭება. საზოგადოებრივი სექტორის ზრდა ამსხვრევს სახელმწიფო მონოპოლიას. ცალკეული სამოქალაქო აქტივობების მხარდაჭერის შედეგად ინტელექტუალური კუნძულების შექმნა მოსახლეობაში და სახელმწიფოს მხრიდან არა მარტო მათი არსებობის უფლების, არამედ მათი დიდი მნიშვნელობის აღიარება სახელმწიფოებრივი განვითარების ერთ-ერთ უმთავრეს საყრდენად იქცევა.

რა თქმა უნდა, არ შეიძლება მხოლოდ საზოგადოების განათლების იმედად ყოფნა. საჭიროა სტრუქტურული გარდაქმნების მთელი კომპლექსი. სამოქალაქო საზოგადოების არსებობა თანამედროვე განვითარებული სახელმწიფოს აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა.

მეორეს მხრივ, საჭიროა ქვეყანაში არსებული მენტალური ტრადიციების გათვალისწინება. მაგალითად, სახელმწიფო აპარატის უფლებათა ზრდამ, რისი ტენდენციაც დასავლეთში შეიმჩნევა, ჩვენთან, შესაბამისი საკანონმდებლო ბაზისა და განხორციელების მექანიზმთა არარსებობის ან სისუსტის პირობებში, ტრაგიკულ შედეგებამდე შეიძლება მიგვიყვანოს.

ამრიგად, დღის წესრიგში დგება ტრადიციული საკითხი - რა და როგორ გარდავქმნათ?

**5.** ამ საკითხის გადაწყვეტა მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული იმაზე, თუ ვინ ახორციელებს გარდაქმნას. აუცილებელია, ნათლად იქნას წარმოდგენილი, თუ ვინ იქნებინ ამ პროცესში მონაწილე აგენტები და რა უფლება-მოვალეობები დაუკისრებათ მათ.

დასკვნის სახით უნდა განვაცხადოთ, რომ სწორედ ამაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორ განვითარდება მოვლენები მომავალში. პოლიტიკური ნების, რეალისტური გეგმებისა და კარგად გააზრებული ტაქტიკის არსებობის პირობებში საქართველოში დღეისათვის შექმნილი სიტუაცია უიმედო მდგომარეობად კი არა, მეტად მტკიცნეულ გარდამავალ პროცესად უნდა იქნას მიჩნეული.

## VII. რეკომენდაციები

ყოველივე ზემოთქმული საშუალებას გვაძლევს, გამოვკვეთოთ ის ძირითადი პრიორიტეტები, რომელთა მიმართულებით მუშაობაც საშუალებას მოგვცემს, წარმატებით განვახორციელოთ ინსტიტუციური გარდაქმნები, გავზარდოთ სახელმწიფოებრივი პოლიტიკის სფეროში საზოგადოების დაინტერესებისა და სახელმწიფო ინსტიტუტების ლეგიტიმაციის დონე და შევამციროთ საზოგადოებაზე პატრიმონიული ურთიერთობების ზემოქმედების ხარისხი.

ამ პრობლემების უყურადღებოდ დატოვება მომავალში აუცილებლად მიგვიყვანს ტრაგიკულ შედეგებამდე. ჯერ კიდევ ნ. მაკიაველი აღნიშნავდა, რომ "ომის თავიდან აცილების მიზნით, არამც და არამც არ უნდა მისცე ამა თუ იმ ბოროტებას ზრდის ნება, ვინაიდან ამ გზით ომს კი არ იცილებენ თავიდან, არამედ, თავისდა საზიანოდ, მხოლოდ დროებით გადადებენ მას".

შექმნილი სიტუაციის დაძლევის გზების ძიებისას უნდა გვახსოვდეს, რომ გამოსავალი ლიბერალური სახელმწიფოებრივი აზროვნებისა და შესაბამისი სისტემების ამოქმედებაში უნდა ვეძიოთ. ამასთან, ძლიერი სახელმწიფოებრიობის დამკიდრება უნდა ხდებოდეს არა რეფორმის ნაცვლად, არამედ რეფორმის გასატარებლად.

უპირველეს ყოვლისა, საჭიროა გავიაზროთ, თუ რატომ არ მოქმედებს სახელმწიფო ინსტიტუტები იმ ხარისხით, რომელსაც მისგან ელოდნენ. უნდა გავიგოთ ნომენკლატურის "ცუდად ქცევის" მიზეზები და შესაბამისი ლონისძიებებისა და საზოგადოებრივი ლეგიტიმაციის გზით მოვახდინოთ ბიუროკრატიული მოტივაციების ლეგალიზება.

გვვინაია, არ ვიქნებით ორიგინალურნი, თუ ვიტყვით, რომ ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯი სწორედ სახელმწიფომ უნდა გადადგას. საფუძველშივე მცდარად გვეჩენება მოსაზრება, რომ საზოგადოება ჩვენთან მზად არ არის დემოკრატიისათვის და რომ სანამ საზოგადოება არ გამოსწორდება, შეუძლებელია სახელმწიფო სისტემის წარმატებულ ფუნქციონირებაზე საუბარი.

ჩვენი აზრით, ფატალიზმამდე მისული მასობრივი აპათიისა და სახელმწიფოსადმი საზოგადოების ტოტალური უნდობლობის უმთავრესი მიზეზი სწორედ სახელმწიფოს მიერ დღემდე განხორციელებულ პოლიტიკაში უნდა ვეძიოთ. ვისაც ახსოვს ის მასობრივი აღტყინება და საყოველთაო ეფურია, რომელმაც ქართული საზოგადოება 80-იანი წლების დასასრულს მოიცვა, დაგვეთანხმება, რომ ქართულმა სახელმწიფომ (იგულისხმება როგორც ზ. გამსახურდიას, ისე ე. შევარდნების მმართველობის ეპოქა) ხელიდან გაუშვა ბრწყინვალე შანსი, ამ ეფურიის განხლებამდე განხხორციელებინა ძირული რეფორმებისათვის დამახასიათებელი მტკიცნეული გარდამავალი ეტაპი. დღეისათვის ნათელია, რომ რეალურ გარდაქმნებს საქართველოში უკვე დიდი დრო დასჭირდება. ისეც იმ შემთხვევაში, თუ სწორი მიმართულებით მოქმედება ახლავე დაიწყო.

უპირველეს ყოვლისა, პრეტენზიები სწორედ სახელმწიფო სისტემისადმი უნდა მივმართოთ და მასში არსებული ხარვეზების გამოსწორებას შევეცადოთ. ქვეყანაში ინსტიტუციური მშენებლობის პროცესში სახელმწიფოს მხრიდან ყურადღება უნდა გამახვილდეს სამ ძირულ მომენტზე:

### ა. მმართველობის ლიბერალიზება

- დღევანდელ პირობებში გამჭირვალეობა (ადამიანის უფლებათა დაცვა) სახელმწიფოს მხრიდან პრიორიტეტული ხდება არა მარტო სოციალურ თუ პოლიტიკურ, არამედ ეკონომიკურ პროცესებშიც, და ნომენკლატურა ვალდებულია, დამტკიცილოს ამ მოთხოვნას.
- თანამედროვეობის მეორე მოთხოვნა კონტროლის სისტემის გაძლიერებაა. რესურსების (ბიუჯეტი, საერთაშორისო დახმარება) ხარჯვის არასწორ პოლიტიკას ტრაგიკულ შედეგებამდე მივყავართ არა მხოლოდ მოსახლეობისათვის, არამედ თვით ნომენკლატურისთვისაც. ამის მაგალითს გვაძლევს აფრიკული ქვეყნების მთავრობათა მიერ მწირი სახსრების გაფლანგვა და შედეგად სოციალური თუ კლანური ანგარიშესწორების ხშირი შემთხვევები.
- ეკონომიკური ლიბერალიზების პოლიტიკური ხაზი ეხმიანება დასავლეთის მთელ რიგ ქვეყნებში 80-იან წლებში განხორციელებულ სახელმწიფო მენეჯმენტის რეფორმებს. საყურადღებოა, რომ ფაქტიურად ყველგან რეფორმათა ინიციატორად ფინანსური ბიუროკრატია ("კლიენტური ინიციატივებული სამსახური", მომსახურების პრივატიზება და დეცენტრალიზება) გვევლინება.
- ამავე დროს, სახელმწიფო მშენებლობის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას გარკვეული საკანონმდებლო და სოციალური უზრუნველყოფის სისტემის შექმნა და ამოქმედება წარმოადგენს.

### პ. სტრუქტურული ცვლილებები

- აღნიშნული საქმიანობა წარმართული უნდა იყოს ძირეული სტრუქტურული ცვლილებების ფონზე - ადამინისტრაციული აპარატის გარდაქმნა, სტრატეგიის შემუშავება, კორუფციისთან ბრძოლა და საკადრო როტაცია ურთიერთშეთანხმებულად უნდა ხორციელდებოდეს.
- აუცილებელია, დაიწყოს ბრძოლა ფაქტიური ფეოდალიზაციის - პატრიმონიული ურთიერთობების წინააღმდეგ. სახელმწიფომ არ უნდა დაუშვას არაფორმალურ მესაკუთრეთა ხელში ძალაუფლების კონცენტრირება, ვინაიდან ეს თვით სახელმწიფოსათვის შეიცავს დიდ საფრთხეს. აღნიშნული ქმედებანი უნდა წარიმათოს გაზრდილი ბიუროკრატიული აპარატის შემცირების, სახელმწიფო სტრუქტურათა ფუნქციების გამიჯვნისა და საერთაშორისო კრედიტების სწორად ხარჯვის ფონზე. ამავე დროს, არასასურველია აღნიშნული საქმიანობის ერთდროულად დაწყება ყველა (განსაკუთრებით, ძალოვან) სახელმწიფო ინსტიტუტები, რადგან ბიუროკრატის წინააღმდეგობამ სახელმწიფოში დესტაბილიზაციის რეალური საფრთხე შეიძლება შექმნას.
- აღნიშნული საქმიანობა უნდა ხორციელდებოდეს საზოგადოებრივი აქტივობის ზრდის ფონზე. ასეთ პირობებში აუცილებელი ხდება სამართლებრივი რეგულირების მექანიზმთა შექმნა პოსტსოციალისტურ სახელმწიფო დაწესებულებებში და დამოუკიდებელი საშუალებრივი ინსტიტუტების (პროფესიონელი და ა.შ.) ჩამოყალიბების ხელშეწყობა სახელმწიფოს მონაწილეობის გარეშე.
- საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად აუცილებელია შიდა აუდიტის მექანიზმების ჩამოყალიბება, რათა გაირკვეს, რამდენად სრულდება კანონები, რომელთა სიმრავლითა თუ დასავლური სტანდარტებისადმი შესაბამოსობით ასე ამაყობს დღევანდელი სახელმწიფო აპარატი.
- უნდა გაძლიერდეს საკანონმდებლო და სასამართლო შტოების კონტროლი აღმასრულებელ ხელისუფლებაზე, განსაკუთრებით ისეთ სფეროებში, როგორიც არის ადამიანის უფლებათა დაცვა, ზეუწყებრივი კონტროლი, ხარჯების კანონიერების შემოწმება. ამ მიმართულებით მიღწეული თუნდაც სულ მცირე წარმატება ხელს შეუწყობს მართვის გამჭირვალეობისა და, შესაბამისად, საზოგადოების მხრიდან სახელმწიფოსადმი ნდობის ზრდის პროცესს.
- სახელმწიფო ინსტიტუტების საქმიანობის გამჭირვალეობა, ბიუროკრატიული აპარატის შემცირება და მისი ფუნქციების განსაზღვრა, დაქირავების მორალის მთელი სისტემის შექმნა, შიდა და გარე აუდიტის მექანიზმების ჩამოყალიბება და სრულყოფა, ნომენკლატურის ეთიკური კოდექსის ნორმათა განსაზღვრა საქმიანობის ის სფეროებია, რომლებშიც სახელმწიფომ მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს საზოგადოებასთან.

## ვ. ბიუროკრატიის დაცვა უკანონო ზეწოლისაგან

1. აღნიშნული საქმიანობის განხორციელებისას გათვალისწინებული უნდა იქნას ბიუროკრატიის ინტერესებიც. გაბერილი სახელმწიფო აპარატის შემცირების პარალელურად უნდა ხდებოდეს სწორი სელექციის შედეგად სახელმწიფო სისტემაში დარჩენილი ნომენკლატურისათვის რეალური მატერიალური შემოსავლის - ხელფასების მნიშვნელოვანი გაზრდა. ამ შემთხვევაში უნდა ვიხელმძღვანელოთ იმ პრინციპით, რომ როცა საზოგადოება მთავრობის ფუნქციონირებს ღირსეულ გასამრჯელოს უხდის, ის ყიდულობს დამცავ ფენას პატრონაჟისა და მექროთამების წინააღმდეგ.
2. ბიუროკრატიის მეორე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს შიში ხვალინდელი დღის წინაშე, რომლის დაძლევაც აუცილებელია. პარადოქსია, მაგრამ ბიუროკრატიულ სახელმწიფოში ერთ-ერთ ყველაზე უფრო დაუცველ (როგორც ეკონომიურად, ისე სოციალურად) ფენას სწორედ ბიუროკრატია წარმოადგენს. ასეთი მდგომარეობა აიძულებს ჩინოვნიეს, ერთის მხრივ, ეძღვოს არაფორმალური შემოსავლები, ხოლო, მეორეს მხრივ, დაცვისათვის მიმართოს არა სახელმწიფოს, არამედ პატრიმონიულ (ჩვენს შემთხვევაში - კლიენტურებს).
3. ამ საქმიანობას მეტად მნიშვნელოვანი მიზანი აქვს. პატრონისადმი (ბოსი, შეფი, ზემდგომი ბიუროკრატი) ერთგულება უნდა შეიცვალოს კანონისადმი ერთგულებით. ეს კი მოხდება იმ შემთხვევაში, თუ კანონი აიღებს თავის თავზე ბიუროკრატის უფლებების დამცავ ფუნქციებს..
4. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ, შესაძლოა, სწორედ ბიუროკრატიული აპარატის შემჭიდროება, მისი კვალიფიკაციის ამაღლება და აუცილებელი უნარ-ჩვევების განვითარება იქცეს რეფორმების წარმატებული განხორციელების საწინდრად. ნომენკლატურისათვის დამახასიათებელი ისეთი თვისებები, როგორიც არის კანონმორჩილება, სოციალური ერთობა, კვალიფიციურობა, ფუნქციებისა და პასუხისმგებლობის დანაწილება (მოკლედ, ყველაფერი ის, რაც შორს არის ლიბერალური აზროვნებისაგან კლასიკური გაგებით), შესაძლოა, სწორი წარმართვის პირობებში, სწორედ ლიბერალური რეფორმების სამსახურში იქნას ჩაყენებული. სწორედ ეს ძალა (ბიუროკრატია) უნდა ვაძლევოთ, გაიაზროს თავისი როლი სახელმწიფოებრიობის ასპექტში. წინააღმდეგ შემთხვევაში სახელმწიფოებრიობა არა რაციონალურ, არამედ ეგზისტენციალურ საკითხად დარჩება.

\* \* \*

სახელმწიფო სისტემის რეფორმირებასთან ერთად აუცილებელია უდიდესი ყურადღების მიქცევა თამაშის ისეთი აგენტებისთვის, როგორებიც არიან **საზოგადოება და საერთაშორისო ორგანიზაციები**.

### საზოგადოება

1. საზოგადოების ინდიფერენტიზმს, სახელმწიფოსადმი უნდობლობას და, რაც ყველაზე სახიფათოა, სახელმწიფო სისტემისადმი მტრულ დამოკიდებულებას განაპირობებს ისეთი ფაქტორები, როგორიც არის:

- ხელისუფლების არალეგიტიმურობა (არა იურიდიული, არამედ მენტალური);
- მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა;
- კორუფცია სახელმწიფო აპარატში;
- ბიუროკრატიის მხრიდან თავისი ძალაუფლების გადამეტების შემთხვევები.

2. ამ მდგომარეობის დასაძლევად აუცილებელია მოსახლეობის ყველაზე აქტიური ნაწილის, სამოქალაქო საზოგადოების აგენტთა (თავისუფალი მასშედია, არასამთავრობო ორგანიზაციები) გაძლიერება. ეს ძალა საქართველოში, ფაქტიურად, დასავლური დემოკრატიის "მეხუთე კოლონას" წარმოადგენს, რომელმაც უნდა დაარღვიოს გაბატონებული პატრიმონიული წყობა ქვეყნაში.

### საერთაშორისო ორგანიზაციები

1. ამ პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო (პოლიტიკური თუ ფინანსური) ორგანიზაციების პოზიციას. საქართველოში ტრადიციულად არსებობს ნომენკლატურის, რბილად რომ ვთქვათ, ქედმაღლური დამოკიდებულება მოსახლეობისადმი. საეჭვოა, რომ ბიუროკრატია თავისი ნებით წავიდეს საკუთარი ცხოვრების წესის რადიკალურ ცვლილებაზე, იგი სამოქალაქო საზოგადოებამ და საერთაშორისო ორგანიზაციებმა უნდა აიძულონ. ამასთან, უპირველეს ყოვლისა, სწორედ დასავლეთის ქვეყნებმა უნდა გადაწყვიტონ, რა სურთ და როგორ ესახებათ განვითარებად სამყაროსთან (ჩვენს შემთხვევაში, საქართველოსთან) მომავალი ურთიერთობა.

2. საერთაშორისო დონორმა ორგანიზაციებმა და განვითარებულმა სახელმწიფოებმა ყურადღება ჩვენთან, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს ინსტიტუციურ განვითარებასა და პატრიმონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაზე უნდა გაამახვილონ. საერთაშორისო აუდიტის გამოყენება კლიენტელიზმის წარმომშობი მიზეზების აღმოფხვრის პროცესში და შიდააუდიტის მიერ ჩატარებული სამუშაოს შედეგების შემოწმების მექანიზმების ამჟამაგება მეტად გაზრდის თვითკრიტიკულ დამოკიდებულებას სახელმწიფო აპარატში.

3. ტაქტიკური პოლიტიკური მოსაზრებებით აღნიშნულ პრობლემებზე თვალის დახუჭვა, რასაც, სამწუხაროდ, დღეს აქვს ადგილი, ვერ იქნება ეუექტიანი და დიდი დროისა და მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსების დახარჯვის შემდეგ, ფაქტიურად, ისევ საწყის პოზიციაზე დაგვაბრუნებს.

4. რაც შეეხება საერთაშორისო (იგულისხმება დასავლური) ორგანიზაციების უნარს, გაატარონ თავიანთი პოლიტიკა და ხელი შეუწყონ საქართველოში სტაბილური და განვითარებადი საზოგადოების, როგორც საიმედო პარტნიორის, ფორმირების პროცესს, მათ გააჩნიათ ხელისუფლებაზე ზემოქმედების უძლიერესი ბერკეტი - ფინანსები.

5. სახელმწიფო სისტემის გარდაქმნისათვის წარმოებულ მუშაობაში დასავლეთს ჰქონდება ერთგული მოკავშირე - მესამე სექტორი, რომელიც სისხლხორცეულად არის დაინტერესებული საქართველოში ლიბერალური ღირებულებების დამკვიდრებით. სწორედ ამ ორი ძალის (სამოქალაქო საზოგადოება და საერთაშორისო ორგანიზაციები) დახმარებით შეძლებს ქართული სახელმწიფო, მიაღწიოს მიზანს, რომელსაც თანამედროვე სახელმწიფოებრიობა ეწოდება.

## ბიბლიოგრაფია

1. გორდაძე თ., "კლიენტელიზმი და მის კვლევასთან დაკავშირებული პრობლემები", ხელნაწერი, პარიზი, 1999;
2. იერინგი რ. ფონ, "ბრძოლა უფლებისათვის", ქუთ., 1908;
3. კიაბიძე კ., "თანამდეროვე ინსტიტუციურ-ეკონომიკური თეორია, რენტულორიენტირებული ქვეყანალიერელიზმი და სახელმწიფო კორუფციის პრობლემები საქართველოში," ჟურნ. "სახელმწიფო მოხელე", №5, ოქტომბერი, 1999;
4. კოუსტინი ა. დე, "რუსეთი 1839 წელს", თ, 1990;
5. ლოსაბერიძე დ., "ადვილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნები და საზოგადოება," კონფერენცია "მოქალაქეთა საარჩევნო უფლებების მირითადი გარანტიები", სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი და ფრიდრიხ ებერტის ფონდი, თ, 1997;
6. ლოსაბერიძე დ., "თვითმმართველობა საქართველოში (განვითარების ტენდენციები)," თ, 1998;
7. მაკიაველი ნ., "მთავარი", თ, 1984;
8. მეთოდური დოკუმენტებია, პროექტი "სახელმწიფო მართვის სისტემის სრულყოფა დემოკრატიული მშართველობის განვითარებისათვის", გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამა (UNDP) და საქართველოს მთავრობა, თ, 1998;
9. გაზეთი "რეზონანსი", №273 (1680), 6 ოქტომბერი, 1999;
10. რუსო ჟ.ჟ., "სოციალური ხელშეკრულება", მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის გამოცემა, თ, 1997;
11. საქართველოს კონსტიტუცია, თ, 1996;
12. საქართველოს კონსტიტუცია, საფუძვლებისა და შინაარსის მიმოხილვა, სემინარის მასალები, საქართველოს კონსტიტუციის დაცვის ლიგა და ფრიდრიხ ებერტის ფონდი, თ, 1997;
13. "საქართველოს პარლამენტის უწყებები", თ, 1992-1999;
14. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებები და განკარგულებები, თ, 1995-1999;
15. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებათა კრებული, თ, 1990-1991;
16. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებათა კრებული, თ, 1992-1999;
17. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურის დადგენილებათა კრებული, თ, 1992-1995;
18. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, თ, 1990-1991;
19. შპენგლერი ო., "პოლიტიკის ფილოსოფია", მ.ვებერი, "ხარიზმული ბატონობა," თ, 1995;
20. პუმანური განვითარების ანგარიში, საქართველო, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამა (UNDP), თ, 1995-1999:
21. Von Alemann U., *Corruption in Germany. The Debate in Politics and Political Science*, Facultat de Dret Universitat Pompeu Fabra, Barcelona, 1995;
22. Bauman Z., *Comment of Eastern Europe*, Studies in Comparative Communism, Vol. XII, No 2-3, 1979;
23. *Building Sustainable Capacity*, NY, 1996;
24. Clapham C., *Private Patronage and Public Power : Political Clientelism in the Modern State*, 1982;
25. Crozier M., *The Bureaucratic Phenomenon*, Chicago, 1964;
26. Dahl A.H., *Democracy and its Critics*, Yale University Press, New Haven, 1989;
27. Eisenstadt S.M., *Political Clientelism, Patronage and Development*, LA, 1981;
28. Eisenstadt S.M., *The Political Systems of Empires*, 1992;
29. Eisenstadt S.M., *The Protestant Ethic and Modernization : A Comparative View*, 1996;
30. Eisenstadt S.M., *Socialism and Tradition*, S.M.Eisenstadt (Ed.);
31. Eisenstadt S.M., Roniger L., *Patrons, Clients and Friends, International Relations and the Structure of Trust in Society (Themes in the Social Sciences)*, Cambr., 1984;
32. *Elections in Georgia, 5 November, 1995*, Caucasian Institute for Peace, Democracy and Development, Tbilisi, 1995;

33. Fridrich C., Bzezinsky Z., *Totalitarian Dictatorship and Autocracy*, Cambr., 1965;
34. Frye T., *A Politics of Institutional Choice: Post-Communist Presidencies*, Comparative Political Studies, A Bimonthly Journal, Vol. 30, No. 5, October, 1997;
35. *The Georgian Chronicle*, Caucasian Institute for Peace, Democracy and Development, Tbilisi, 1993-1998;
36. *Georgia Profile*, Caucasian Institute for Peace, Democracy and Development, Tbilisi, 1996, No. 6-12, 1997, No. 1-10;
37. Huntington S.H., *The Third Wave : Democratization in the Late Twentieth Century*, University of Oklahoma Press, Norman, 1991;
38. Higly J. & Pakulski J., *Elite Power Games and Democratic Consolidation in Central and Eastern Europe*, Panel 3 : Democratic Consolidation in Eastern and Central Europe Politics Stream;
39. Israel A., *Institutional Development : Incentives to Performance*, J.Hopkins University Press, Baltimore, 1987;
40. Jensen D.N., *Patrimonialism in Post-Soviet Russia*, 1997;
41. Lehmbruch B., *Fragmented Clientelism : The Transformation of Sectoral Economics Governance in the Russian Timber Industry*, Panel 55: Sectors in Transition, Russian Natural Recourses, 1998;
42. Legg K.R., *Patrons Clients, and Politicans : New Perspectives on Political Clientelism*, (Working Papers on Development Studies No 3), 1975;
43. Leiken R.S., *Controlling the Global Corruption Epidemic*, ICGFM Digest, Vol. VIII, No 1, 1997;
44. March J.G., Olsen J.P., *Rediscovering Institutions : The Organizational Basis of Politics*, The Free Press, NY, 1989;
45. Moe T.M., *The New Economics of Organization*, American Journal of Political Science No 78, 1984;
46. Pinchot C., Pinchot E., *The End of Bureaucracy and the Rise of the Intelligent Organization*, SF, 1998;
47. Rabaut L.S., *Nepotism, Employment and the Law*, Warner Norcross & Judd LLP, Attorneys at Law, 1997;
48. *Results-oriented Monitoring and Evaluation*, NY, 1997;
49. Rigby T.H., *A Conceptual Approach to Authority, Power and Policy in the Soviet Union*, Authority, Power and Policy in the USSR, Essays Dedicte to Leonardo Shapiro, T.N.Rigby and A.Brown (Ed.), Basingstoke, L, 1980;
50. Rigby T.N., *Leadership Selection and Patron-Client Relations in the USSR and Yugoslavia*, 1983;
51. Rigby T.N., *Political Elites in the USSR : Central Leaders and Local Cadres from Lenin to Gorbachev*, T.N.Rigby (Ed.), 1990;
52. Rigby T.N., *Russia's Clientelism, Cliques, Connection and 'Clans' : The Some Old Story?*, Panel 21: Patronage and Clientelism in Twentieth-Century Russia;
53. Roniger L., Ayse Gunes-Ayata (Ed.), *Democracy, Clientelism, and Civil Society*, 1994;
54. Sartori G., *The Theory of Democracy Revised*, NY, 1987;
55. Schmidt S.W., *Friends, Followers, and Factions : A Reader in Political Clientelism*, S.W.Schmidt (Ed.);
56. Weintraub J.W., *Freedom and Community : The Republican Virtue Tradition and the Sociology of Liberty*, University of California Press, Berkley, 1992;
57. Willerton J.P., *Patronage and Politics in the USSR*, Soviet and East European Studies, No 82, 1992;
58. Wright A., *Beyond the Patronage State*;
59. Авалов З., *Независимость Грузии в международной политике 1918-1921 гг*, Пар, 1924;
60. Афанасьев М.Н., *Клиентелизм и российская государственность*, Центр конституционных исследований Московского Общественного Научного Фонда, М, 1997;
61. Вебер М., *Политика как призвание и профессия*, Избр. Произв., М, 1990;
62. Вебер М., *Протенстатская этика и дух капитализма*, Избр. Произв., М, 1990;
63. Восленский М., *Номенклатура, господствующий класс СССР*, Лон., 1984;
64. Гелнер Э., *Нации и Национализм*, М, 1991;

65. Доган М., Пеласси Д., *Сравнительная политическая социология*, М, 1994;
66. Мамардашвили М., *Как я понимаю философию*, М, 1990;
67. Мескон М.Х., Алберт М., Хедоури Ф., *Основы менеджмента*, М, 1990;
68. *На пути к демократической децентрализации*, Брюссель, 1995;
69. Нестеренко А., *Современное состояние основные проблемы институционально-эволюционной теории*, Вопросы экономики, №3, 1997;
70. Норт Д., *Институциональные изменения: рамки анализа*, Вопросы экономики, №3, 1997;
71. Парсонс Т., *Система современных обществ*, М., 1998;
72. Патнем Р., *Процветающая комьюнити, социальный капитал и общественная жизнь*, МЭиМО, №4, 1995;
73. Патнем Р., *Чтобы демократия сработала, Гражданские традиции в современной Италии*, Библиотека Московской школы политических исследований, М, 1996;
74. Притцль Р.Ф.Й., *Коррупция, рентоориентированное поведение и организованная преступность в России*, Politekonom, Российско-Германский журнал по экономической теории и практике, №1, 1997;
75. Роджерс В., *Вовлечение общественности в дела местного управления*, НАИМО, №19, М, 1994;
76. Ронигер Л., *Общественное доверие и консолидация латиноамериканских демократий*, МЭиМО, №6, 1994;
77. Хеллман Дж., *Конституции и экономическая реформа в переходный период*, Конституционное право: восточноевропейское обозрение, № 2 (23), Центр конституционных исследований Московского Общественного Научного Фонда, М, 1998;
78. Фромм Э., *Бегство от свободы*, М, 1989.